# ტ





**ტალახი** – *დასველებული, დამბალი, წყალში აზელილი მიწა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელის თითები გაშლილია და მარცხნივ მიმართული, მარცხენა ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, მომდევნო ფაზაში ხელები იცვლიან კონფიგურაციებს: მარცხენა ხელის თითები გაშლილია, მარჯვენა ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტალღა** – *წყლის რხევითი მოძრაობით გამოწვეული ამონაზნექი ზღვის ან მდინარის ზედაპირზე, ზვირთი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები, თითები გაშლილია და მარჯვნივ მიმართული, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ტალღური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტანვარჯიში** – *სხეულის ვარჯიში, ორგანიზმის გასამაგრებელი გიმნასტიკა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, სხეულისკენ და ქვევით მიმართულია მარჯვენა მხართან განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით, ხდება პოზიციათა და კონფიგურაციათა მონაცვლეობა და მომდევნო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია მარცხენა მხართან განთავსებული მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით და ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული ოდნავ მოხრილი თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ტანი** – *ადამიანის ან ცხოველის სხეული*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ხელები ეხება მკერდს და ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით, სხეულის გასწვრივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტანსაცმელი** – *რასაც ტანზე იცვამენ, ტანისამოსი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ხელები ეხება მკერდს და რკალური ტრაექტორიით სინქრონულად სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტანჯვა** – *მწვავე ფიზიკური ტკივილით ან უსიამოვნო განცდით გამოწვეული გრძნობა, წამება, წვალება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, სრულდება განმეორებითი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან და საჩვენებელი თითები ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტარი** – *სახელური*

ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტაფა** – *ლითონის ბრტყელი, მრგვალი სახელურიანი ჭურჭელი, რაშიც საჭმელს წვავენ ან ხრაკავენ*

ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებითი, წრიული მოძრაობა, ბოლო ფაზაში ზევით მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტაქსი** – *ავტომანქანა, რომელსაც ქირით გადაჰყავს მგზავრები*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, წინ მიმართულია მარცხენა მაჯაზე განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ტაქსი** – *ავტომანქანა, რომელსაც ქირით გადაჰყავს მგზავრები*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები და ნეკი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ბოლო ფაზაში მუშტად შეკრულია თითები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტაქტი** – *თავის დაჭერის უნარი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში წრიულად მოხრილი ცერი და საჩვენებელი თითები ეხება ლოყებს, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ეშვება ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტაში** – *ხელისგულების ერთმანეთზე ცემა მოწონების გამოსახატავად*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტაში** – *აპლოდისმენტი, ყრუთა თემში მოღებული ტაშის ფორმა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა და ხელები მაჯაში ტრიალებს. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ტაშტი** – *ლითონის მოზრდილი, გაშლილი, მრგვალი ჭურჭელი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა შიდა მიმართულებით, ბოლოო ფაზაში მუშტად შეკრული თითებით და ცერებზე შემოხვეული საჩვენებელი თითებით ზევით მიმართულია ხელისგულები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტახტი** – *ხის გრძელი ოთხფეხიანი დგამი, დასაწოლი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით წინ მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---




**ტაძარი** – *საგანგებო შენობა ღვთისმსახურებისათვის, საერთო სამლოცველო, ეკლესია*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პირჯვარი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება პირჯვრის გადაწერის მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ეკლესია“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი და შუა თითები, ხელები მკერდის დონიდან ზევით მიემართება სინქრონულად და ერთმანეთს უახლოვდება. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ტელევიზია** – *ტელეხედვა, ტელემედია*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ტელევიზორი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია ნეკები და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ტელეფონი** – *ელექტროტექნიკური მოწყობილობა შორ მანძილზე ბგერის გადასაცემად და ამ მოწყობილობის საშუალებით სალაპარაკო აპარატი*

ერთხელიანი, სტატიკური, იკონური ჟესტი, სახისკენ მიმართულია ყურთან განთავსებული ხელისგული, გაშლილია ცერი და ნეკი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ტემპერატურა** – *სითბოს ხარისხი, დონე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჰაერი“ – მარცხნივ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიცხე“ – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა იღლიასთან განთავსებული ხელისგული გაშლილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ტემპერატურა** – *სხეულის სითბოს ხარისხი, დონე*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა იღლიასთან განთავსებული ხელისგული გაშლილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---

**ტერიტორია** – *რაიმე საზღვრით შემოფარგლული მიწა-წყალი*



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიწა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელის გაშლილ თითებს უჭირავთ მარცხენა ხელის გაშლილი ნეკი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელი მარჯვნივ მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადგილი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---

**ტერორისტი** – *ვინც ტერორს მიმართავს, ტერორისტული აქტის მონაწილე*



ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია ნეკები და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სრულდება ირიბი ტრაექტორიის განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---

**ტექნიკა** – *მანქანების, მექანიკურ მოწყობილობათა, იარაღების ერთობლიობა*



ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთზე გადაჯვარედინებულია წინ მიმართული საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად. ორივე ხელით ერთად სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტექნიკოსი** – *ტექნიკური განათლების მქონე პირი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ტექნიკა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთზე გადაჯვარედინებულია წინ მიმართული საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით ერთად სრულდება მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ტექსტი** – *წერილობითი ძეგლი ან მისი ნაწილი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნაწარმოები“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ტექსტთა წყობა“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში წრიულად მოხრილი ცერით და საჩვენებელი თითით ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტვირთი** – *გადასატანი, გადასაზიდი სიმძიმე, ბარგი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მძიმე“ – ზევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ, ხელი მაჯაში ტრიალდება და ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს, ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელისგულიც მიმართულია ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტილო** – *ხელის ძაფის ერთგვარი მტკიცე, სწორი ზედაპირის მქონე ქსოვილი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნაჭერი“ – ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით სხეულისკენაა მიმართული, მარჯვენა ხელი მოძრაობს მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გაწმენდა (ჭურჭლის)“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტირილი** – *ცრემლის დენა მწუხარების ან ტკივილის გამო*

ერთხელიანი, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილია და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, საჩვენებელი თითით სახესთან სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ტიტველი** – *ვისაც არაფერი აცვია, შიშველი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული ქვევითაა მიმართული, გაშლილია თითები და ქვევით ჩაწეული შუა თითი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს, მარცხენა ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით ქვევითაა მიმართული, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტიტული** – *მემკვიდრეობითი, საგვარეულო ან ბოძებული ოფიციალური საპატიო წოდება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია მარცხენა ხელის თითები, მარჯვენა ხელის თითები მოხრილია ფალანგებში და მარცხნივაა მიმართული, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტიხარი** – *თხელი გამყოფი კედელი შენობაში*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა  ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, მარცხენა ხელისგულის ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით მიმართულია სხეულისკენ, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტკბილი** – *სასიამოვნოდ შესაგრძნობი, შაქრის, თაფლის გემოს მქონე*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, საჩვენებელი და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ეხება მარჯვენა ლოყას, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ტლანქი** – *დიდი და ულაზათო, მოუქნელი, მოუხეშავი, უხეში*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნელი“ – წინ მიმართულია ხელისგულები, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია და ზევით აღმართული, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხანგრძლივი“ – მუშტად შეკრული თითებით სხეულისკენ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები, მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტოლი** – *თანაბარი, თანასწორი (სიდიდით, მათემატიკურად)*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, ფართოდ გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ტოლი** – *თანაბარი, თანასწორი (სიდიდით, ხნით, მდგომარეობით...)*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და საჩვენებელი თითები ერთმანეთს ეხება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტომი** – *რაიმე თხზულების ან რომელიმე ავტორის თხზულებათა ნაწილი ცალკე წიგნად*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წიგნი“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრული მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დანომვრა“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია სახესთან განთავსებული საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრული მუშტად, სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით, ბოლო ფაზაში თითები ფართოდაა გაშლილი, მხოლოდ ცერია ჩაკეცილი. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.

---



**ტომი** – *ეთნიკური ერთობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმა, რომელიც აერთიანებს საერთო კულტურისა და ტერიტორიის მქონე მონათესავე გვარებს*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ - ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერი და საჩვენებელი თითებით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური  სიტყვა-ჟესტი „ჯგუფი“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული გაშლილი და წრიულად მოხრილი თითებით, ზევით აღმართული ცერებით, ხელები ერთმანეთისკენ სინქრონულად მოძრაობს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ტონა** – *წონის ერთეული მეტრულ სისტემაში, უდრის 1 000 კილოგრამს*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ქვევით მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და საჩვენებელი თითების წვერები ერთმანეთს ეხება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტორტი** – *მრგვალი ან მომრგვალო ფორმის ტკბილი საკონდიტრო კრემიანი ნამცხვარი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული გაშლილი და წრიულად მოხრილი თითებით, ზევით აღმართული ცერებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ნახევარწრიული მოძრაობა ერთმანეთისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---





**ტოტი** – *ხის ან ბუჩქის გამონაზარდი, შტო, რტო*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ხე“ – გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მარჯვენა ხელისგული სხეულისკენაა მიმართული, გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით ქვევით მიმართული მარცხენა ხელისგული ეხება მარჯვენა იდაყვს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „რტო“ – წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია მხრებთან განთავსებული საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე,

---



**ტრაბახი** – *თავის ქება, ბაქიაობა, კვეხნა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ზევით აწეული ცერით, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტრაგედია** – *მძიმე განცდა, ტანჯვა, უბედურება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, არათითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია და წინ მიმართული, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტრადიცია** – *ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობაზე გადაცემული ადათები, წესები, ყოფაქცევის ნორმები*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით, მომდევნო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია  მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ტრანსპორტი** – *საზოგადოებრივი მატერიალური წარმოების დარგი, რომელიც დაკავშირებულია ტვირთის გადაზიდვასთან და ხალხის გადაყვანასთან ერთი ადგილიდან მეორეზე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მანქანა“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება საჩვენებელი თითების წვერებს, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავალფეროვნება“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ფართოდ გაშლილი და ზევით მიმართული ხუთი თითი თანმიმდევრული რხევით მოძრაობს, ხელები განზე იწევა და შორდება ერთმანეთს, სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტრიალი** – *მოძრაობა რისამე ირგვლივ, წრიულად ან თავისი ღერძის გარშემო, ბრუნვა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და ქვევით დაშვებული თითებით მიმართულია სხეულისკენ, მარცხენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ ზევით აღმართული, ფართოდ გაშლილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტროტუარი** – *ქუჩის ორივე მხარეს, სახლების გასწვრივ გაყოლებული, ოდნავ შემაღლებული გზა ფეხით მოსიარულეთათვის*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილია ცერი და საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები მუშტადაა შეკრული, სრულდება მოძრაობა მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტურა** – *ძაღლისებრთა ოჯახის მომცრო ტანის მტაცებელი ცხოველი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია თავთან განთავსებული ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, ასევე გაშლილია ცერები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ზევით, ბოლოს ფაზაში ცერი და საჩვენებელი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ტუტუცი** – *უჭკუო, ქარაფშუტა, მოსულელო, თავხედი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჭკვიანი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, შუბლს ეხება მოხრილი თითების წვერები, მომდევნო ფაზაში სახის წინ განთავსებულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ტუჩი** – *პირის ნაპობის ზედა და ქვედა კიდე, ბაგე*

ერთხელიანი, დინამიკური, მითითებითი ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და საჩვენებელი თითი ეხება ტუჩებს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ტყავი** – *ცხოველის გარეთა, ჩვეულებრივ, ბეწვიანი საფარველი, გარსი, რომელიც შემოკრული აქვს ცხოველის ორგანიზმს, კანი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, მითითებითი ჟესტი, მარცხენა ხელისგული თავისუფლად გაშლილი თითებით მიმართულია ქვევით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ და ქვევით, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, მარჯვენა ხელი ზემოდან ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტყე** – *ხეებით დაფარული ვრცელი ფართობი, მცენარეული საფარის ერთ-ერთი ძირითადი ტიპი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ხელისგულები ერთმანეთს ეხება და ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტყვე** – *ომის ან რაიმე თავდასხმის დროს მტრის მიერ შეპყრობილი მებრძოლი ან მშვიდობიანი მოსახლე*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტყვია** – *რბილი, მძიმე მოლურჯო-ნაცრისფერი ლითონი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ფორმა – სხეულისკენ მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, საჩვენებელი თითი ეხება ტუჩებს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ფორმა – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ქვევით და მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია ცერი და საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ტყუილი** – *რაც მართალი არ არის, რაც სინამდვილეს არ შეეფერება, სიცრუე*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით სხეულისკენაა მიმართული, მარცხენა ხელის თითებზე მაჯით მიყრდნობილი მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ, ზევით აღმართულია გაშლილი  ნეკი და საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარცხნივ-მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტყუპი** –  *ერთი დედის ერთდროულად ნაშობი ორი სულიერი*

ერთხელიანი, დინამიკური  ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ქვევით მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები,  დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ტყუპი**  – *ერთი დედის ერთდროულად ნაშობი ორი სულიერი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური  ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მხრებთან განთავსებული ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი  მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელები ერთმანეთს ეხება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



# უ



**უადგილო** – *რასაც ადგილი არა აქვს, რისთვისაც ადგილი ვერ მოუნახავთ, მიზანშეუწონელი, უსაფუძვლო, შეუფერებელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადგილი“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უაზრო** – *აზრს, მნიშვნელობას მოკლებული, უმართებულო, მიზანშეუწონელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „აზრი“– ხელისგული მიმართულია მარცხნივ, თითები ერთად მოხრილია ზედა ფალანგებში და ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, ხელი თითების წვერებით ეხება საფეთქელს. ჟესტი სრულდება მკერდისა და სახის დონეზე.

---



**უარესი** – *უფრო ცუდი, უვარგისი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით, ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უარი** – *უარყოფითი პასუხი თხოვნაზე, მოთხოვნაზე, წინადადებაზე*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი, ფალანგებში ერთად მოხრილი და სხეულისკენ მიმართული თითებით მიმართულია სხეულისკენ, მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია ზევით, მარჯვენა ხელი წინ მოძრაობს რკალური ტრაექტორიით, ბოლო ფაზაში ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

---



**უარყოფა** – *რამე არსებულის არმიჩნევა, მიუღებლობა, უკუგდება, რამეზე უარის თქმა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უარი“ – მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი, ფალანგებში ერთად მოხრილი და სხეულისკენ მიმართული თითებით მიმართულია სხეულისკენ, მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია ზევით, მარჯვენა ხელი წინ მოძრაობს რკალური ტრაექტორიით, მომდევნო ფაზაში ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მტკიცე“ – მუშტად შეკრული თითებით ირიბ ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელი წინ და ზევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით და ეხება მარცხენა ხელს. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

---



**უარყოფითი** – *1. უარყოფის შემცველი, გამომხატველი; 2. ცუდი, მავნე, მიუღებელი*

ერთხელიანი, დინამიკური, იკონური ჟესტი, ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უახლესი** – *ყველაზე ახალი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით მიმართულია ზევით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგულიც ზევითაა მიმართული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.

---



**უბანი** – *ქალაქის ან სოფლის ერთ-ერთი კუთხე, ნაწილი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია მარცხნივ, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება განმეორებითი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უბედური** – *ცუდი ბედის მქონე, ბედშავი, ბედუკუღმართი, უბედო, უიღბლო*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბედი“ – ხელი მიმართულია სახისკენ, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, საჩვენებელი თითი ჯვარს წერს შუბლზე; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უბედური შემთხვევა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, არათითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია და წინ მიმართული, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**უბილეთო** – *ვისაც ბილეთი არა აქვს*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბილეთი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია ცერები და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უბრალო** – *არაფრით გამორჩეული, ჩვეულებრივი, მარტივი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია წინ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უბრალო** – *არაფრით გამორჩეული, ჩვეულებრივი, მარტივი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება არათითების წვერებს, დანარჩენი თითები გაშლილია, ბოლო ფაზაში ფართოდ გაშლილია თითები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უგემოვნო** – *ვისაც გემოვნება არა აქვს*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გემოვნება“ – ზევით მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება გაშლილი და ზევით აღმართული თითების წვერებს, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უგემური** – *ცუდი, უსიამოვნო გემოს მქონე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „გემო“ – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ზევით აღმართული საჩვენებელი თითი ეხება ტუჩებს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიცარიელე“ / „არა“ – სხეულისკენ და ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უგუნური** – *უჭკუო, მოუსაზრებელი, უაზრო, სულელური*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „გონება“ – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ზევით აღმართული საჩვენებელი თითი ეხება შუბლს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დებილი“ – მუშტად შეკრული თითებით ირიბ ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ერთმანეთის მიმართულებით და ხელები ერთმანეთს ეხება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უგრძნობელი** – *გრძნობის არმქონე, შეგრძნებას მოკლებული*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გრძნობა“ – ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ქვემოთ დაშვებული საჩვენებელი თითი ეხება გაშლილი და ოდნავ მოხრილი თითებით ქვევით მიმართულ მარცხენა ხელისგულის ზურგს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უგულო** – *ვისაც გული არა აქვს, გულქვა, გულცივი, უგრძნობელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „გული“ – ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია სხეულისკენ, ქვევით ჩაწეული შუა თითი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიცარიელე“ / „არა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უდავო** – *რაც დავას არ იწვევს, უეჭველი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კამათი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უდანაშაულო** – *ვისაც დანაშაული არა აქვს, ვისაც ბრალი არ მიუძღვის, უცოდველი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დანაშაული“ / „ბრალი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი და მარცხნივ მიმართული შუა და საჩვენებელი თითების წვერებს და ხელი მსუბუქად ეხება ტუჩებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**უდარდელი** – *ვისაც დარდი არა აქვს, უშფოთველი, კმაყოფილი, მხიარული*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დარდი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, ხელი ეხება მკერდს, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უდედო** – *ვისაც დედა არა ჰყავს, დედით ობოლი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დედა“ – მარცხნივ მიმართულია მარცხენა ლოყაზე მიდებული ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მომდევნო ფაზაში მარჯვენა ლოყაზეა ხელი მიდებული იმავე კონფიგურაციით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.

---



**უდედმამო** – *ვისაც დედ-მამა არა ჰყავს, ობოლი*

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დედა“ – მარცხნივ მიმართულია ლოყაზე მიდებული ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მომდევნო ფაზაში მეორე ლოყაზეა ხელი მიდებული იმავე კონფიგურაციით; ჟესტის მესამე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მამა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით და ჩაკეცილი ცერით, ხელი ეხება ჯერ შუბლს, შემდეგ – ნიკაპს. ჟესტი სრულდება მკერდისა და სახის დონეზე.

---



**უდრის** – *ტოლია, ეთანაბრება, ეთანასწორება*

ერთხელიანი, დინამიკური, იკონური ჟესტი, ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უდროო** – *რაც თავის დროზე არ მოხდა, არადროული, დროის, პირობებისთვის შეუფერებელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დრო“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითების რხევით, ცერი ეხება ნიკაპს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.

---



**უეცრად** – *მოულოდნელად, უცაბედად*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება საჩვენებელ თითებს, დანარჩენი თითები გაშლილია, ბოლო ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უეჭველი** – *რაც ეჭვს არ იწვევს, სარწმუნო, უტყუარი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია ზევით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უვადო** – *ვადის არმქონე, დროის მხრივ განუსაზღვრელი, სამუდამო*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით მიმართულია ზევით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით გაშლილი თითებით და ქვევით ჩაწეული არათითით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და მარჯვენა არათითი ეხება მარცხენა ხელისგულს, მომდევნო ფაზაში ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი ზედ ადევს მარცხენას.  ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უვიცი** – *ვინც არაფერი არ იცის, გაუნათლებელი, უცოდინარი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არაფერი“ – წინ მიმართულია ხელისგული, საჩვენებელი და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არ ცოდნა“ – სახესთან განთავსებული ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.

---



**უვნებელი** – *დაუზიანებელი, დაუშავებელი,  დაუზარალებელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ საშიში“ – მუშტად შეკრული თითებით წინ მიმართულია ხელისგულები, ბოლოო ფაზაში ფართოდ გაშლილი და წინ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უზარმაზარი** – *ძალიან დიდი, მეტისმეტად დიდი*

ორნაწილიანი, ორხელიანი ასიმეტრიული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ძალიან“ – მარჯვენა ხელის ქვეშ განთავსებული მარცხენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ზევით, ოდნავ მოხრილი საჩვენებელი თითი და ცერი გამოსახავენ ღია წრეს, ხელი რკალური ტრაექტორიით მოძრაობს მარცხნივ და ზევიდან ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს, ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელისგული წინაა მიმართული; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მეტი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უზომო** – *ძალიან დიდი, განუზომელი, უსაზღვრო, უკიდურესი*

ორნაწილიანი, ორხელიანი ასიმეტრიული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ძალიან“ – მარჯვენა ხელის ქვეშ განთავსებული მარცხენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ზევით, ოდნავ მოხრილი საჩვენებელი თითი და ცერი გამოსახავენ ღია წრეს, ხელი რკალური ტრაექტორიით მოძრაობს მარცხნივ და ზევიდან ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს, ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელისგული წინაა მიმართული; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ძლიერი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და მარცხენა მკლავზე მიდებულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელი რკალური ტრაექტორიით გადაადგილდება ქვევით და საჩვენებელი თითით ისევ ეხება მარცხენა მკლავს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---

**უზრდელი** – *თავხედი, თავაზიანობას მოკლებული, ბრიყვი, ტუტუცი*



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჭკვიანი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, შუბლს ეხება მოხრილი თითების წვერები, მომდევნო ფაზაში სახის წინ განთავსებულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---

**უზრუნველი** – *ვინც არაფერზე ზრუნავს, უდარდელი*



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიცოცხლე“ – ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელები ეხება სხეულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ტკბილი“ – ტუჩის კუთხესთან მარცხნივ მიმართულია ხელისგული, ცერები და საჩვენებელი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება და ხელი ეხება ლოყას, დანარჩენი თითები გაშლილია, რკალური ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია წელისა და სახის დონეზე.

---

**უზრუნველი** – *ვინც არაფერზე ზრუნავს, ვისაც საზრუნავი არა აქვს, უდარდელი*



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ზრუნვა“ – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი, ზევით აღმართული და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უთანასწორო** – *არათანაბარი, არატოლი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „უდრის“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**უთანხმოება** – *შეთანხმების ვერ მიღწევა, აზრთა სხვადასხვაობა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეთანხმება“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართული და ერთმანეთზე განთავსებულია ხელისგულები გაშლილი თითებით, სრულდება პოზიციის მონაცვლეობითი მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უთვისტომო** – *ვისაც თვისტომი არა ჰყავს, უნათესაო*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება საჩვენებელი თითების წვერებს, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უთო** – *გლუვძირიანი, სახელურიანი გასახურებელი ხელსაწყო თეთრეულისა და ტანისამოსის გასასწორებლად, გასატკეცად*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით მიმართულია ზევით, ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით მიმართულია სხეულისკენ; მარჯვენა ხელი მარცხენა ხელისგულის ზემოთ ასრულებს განმეორებად მოძრაობას მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.

---



**უიმედო** – *ვისაც იმედი არა აქვს, იმედდაკარგული, სასოწარკვეთილი*

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ოცნება“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, თითების რხევით სრულდება მოძრაობა საფეთქელთან; ჟესტის მესამე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „რწმენა“ – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.

---



**უკან** – *იმის მოპირდაპირე მხარეს, საითაც პირი აქვთ, ზურგისაკენ*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული სახისკენაა მიმართული, თითები შეკრულია მუშტად, გაშლილი და მარჯვნივ მიმართულია ცერი, ლოყასთან ხელი უკან და მარჯვნივ მოძრაობს. ჟესტი სრულდება სახის დონეზე.

---



**უკბილო** – *ვისაც ან რასაც კბილები არა აქვს, კბილებჩაცვივნული*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „კბილი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართული საჩვენებელი თითი ეხება ლოყას ტუჩის კუთხესთან, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.

---



**უკეთესი** – *უფრო კარგი, უმჯობესი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ და მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ქვევით დაშვებული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უკვდავება** – *უკვდავად ყოფნა, მარად არსებობა, მარადიულობა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უვადო“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია ზევით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით გაშლილი თითებით და ქვევით ჩაწეული არათითით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და მარჯვენა არათითი ეხება მარცხენა ხელისგულს, მომდევნო ფაზაში ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი ადევს ზედ მარცხენას; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიცოცხლე“ – ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელები ეხება სხეულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე და ოდნავ ქვევით.

---



**უკვე** – *მიუთითებს რაიმე მოქმედების დასრულებაზე, კარგა ხანია, რა ხანია*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, რკალური ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უკლებლივ** – *სრულად, ყველა ან ყველაფერი გამონაკლისის გარეშე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „უარყოფითი“ – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**უკმაყოფილო** – *ვინც კმაყოფილი არ არის, ნაწყენი, გულნაკლული*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კმაყოფილი“ – ხელისგული სხეულისკენაა მიმართული გაშლილი და მარცხნივ მიმართული, ერთმანეთთან შეტყუპებული თითებით, ხელი ქვევით მოძრაობს და ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უკულტურო** – *კულტურის მხრივ ჩამორჩენილი, დაბალი კულტურის მქონე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კულტურა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, შუა თითები მსუბუქად ეხება შუბლს, დანარჩენი თითები გაშლილია, მომდევნო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**უკუღმა** – *შიგნითა ან უკანა მხრიდან*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი ეხება მკერდს და მაჯაში ტრიალებს, იმავე კონფიგურაციით წინ მიმართულია ხელისგული და ხელი ისევ ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ულაპარაკოდ** – *ლაპარაკის გარეშე, უსიტყვოდ, სიტყვის შეუბრუნებლად*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ლაპარაკი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერი ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ულევი** – *ბევრი, უსაზღვრო, გაუთავებელი; აუარებელი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით, ხელი ეხება სახეს და მარჯვნივ მოძრაობს ნიკაპის გასწვრივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ულუფა** – *კერძი; საზრდოს, საკვების წილი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჭამა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება ტუჩებს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „თეფში“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული გაშლილი და წრიულად მოხრილი თითებით, ზევით აღმართული ცერებით. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე.

---



**უმანკო** – *უბიწო, უზადო, უმწიკვლო*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ანგელოზი“ – მაჯებში ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ხელისგულები სხეულისკენაა მიმართული გაშლილი თითებით, ორივე ხელის თითების განმეორებადი მოხრით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა, მომდევნო ფაზაში ზევით აღმართული ცერები ერთმანეთზე გადაჯვარედინებულია, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**უმიზეზოდ** – *მიზეზის გარეშე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიზეზი“ – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უმოქმედო** – *რაც არ მოქმედებს, უმოძრაო, გაჩერებული*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოქმედება“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, ორივე ხელის თითების რხევით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უმცირესობა** – *უმცირესი ნაწილი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი და წინ მიმართული საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უმცროსი** – *ასაკით, წლოვანებით ვინმეზე მცირე, პატარა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ფორმა – სხეულისკენ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პატარა“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზედა ფალანგებში მოხრილი თითებით, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**უმწეო** – *სოციალურად დაუცველი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ძველი ანბანის დაქტილებით გამოსახულია შემოკლება „სოც“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, შეტყუპებული და წრიულად მოხრილი თითებით გამოსახულია ღია წრე, მომდევნო ფაზაში წინ მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია და ზევით აღმართული, ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**უმწეო** – *შემწეობას მოკლებული, უღონო, სუსტი, შეუძლო*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უმწიკვლო** – *უბიწო, შეურყვნელი, წმინდა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით ზედ ადევს მარცხენა მაჯას, მარჯვენა ხელი მარჯვნივ მოძრაობს და ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უმჯობესი** – *რაც სხვას სჯობს, უკეთესი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით ზევით მოძრაობს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---

**უნამუსო** – *უსინდისო, უსირცხვილო*



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნამუსი“ – ქვევით მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული, გაშლილი საჩვენებელი თითი ეხება ლოყას დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და მარჯვნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური ფორმა – წინ მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---

**უნარი** – *შესაძლებლობა, მოხერხება, სიმარჯვე, შნო*



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „გონება“ – ქვევით მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული, გაშლილი საჩვენებელი თითი ეხება შუბლს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეძლება“ – წინ მიმართულია ხელისგულები მუშტებად შეკრული თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით, ბოლო ფაზაში იმავე კონფიგურაციით ქვევით მიმართულია ხელისგულები. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---

**უნაყოფო** – *რაც ნაყოფს არ ისხამს, ნაყოფიერი არ არის, მოუსავლიანი, მწირი*



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მარცვალი“ – ზევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი და წინ მიმართული საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უნახავი** – *რაც ან ვინც ჯერ არ უნახავთ, უცნობი, უცხო*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნახვა“ – სხეულისკენ მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა წინ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არასოდეს“ – წინ მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია და ზევით აღმართული, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**უნდა** – *დამხმარე სიტყვა, იხმარება კავშირებითის ფორმასთან*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარცხნივ-მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უნებლიე** – *ვინმეს ნებისგან დამოუკიდებელი, უნებური*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარცხნივ-მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უნივერსალური** – *საყოველთაო, ყოველმხრივი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ყველაფერი“ – წინ მიმართულია მარცხენა მხარეს განთავსებული ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, ხელი მოძრაობს მარჯვნივ და ბოლო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ფორმა (აღმატებითი ხარისხის ნიშანი) – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი, სხეულისკენ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ზევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**უნიჭო** – *ვისაც ნიჭი არა აქვს*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნიჭი“ – სხეულისკენ მიმართულია თავთან განთავსებული ხელისგული გაშლილი თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება თავს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.

---



**უპასუხისმგებლო** – *ვისაც პასუხისმგებლობის გრძნობა არა აქვს*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პასუხისმგებლობა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, საჩვენებელი თითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს და ეხება მარცხენა ცერს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უპირატესობა** – *უპირატესის, უკეთესის, წარმატებულის მდგომარეობა, უკეთესობა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, მარჯვენა ხელი ზევით მოძრაობს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უპატრონო** – *ვისაც ან რასაც პატრონი არა ჰყავს, ტიალი, ოხერ-ტიალი*

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „მფარველი“ – მარცხნივ მიმართულია მხართან განთავსებული ხელისგული გაშლილი თითებით, ხელი ეხება ყელს; ჟესტის მესამე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაცვა“ – წინ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ურთიერთგაგება** – *ურთიერთშორის გაგება, ერთმანეთის გაგება*

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ურთიერთობა“ – ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „გონება“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი საჩვენებელი თითი ეხება შუბლს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მესამე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გაგება“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა წინ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.

---



**ურთიერთობა –** *გარკვეული დამოკიდებულება, მიმართება, კავშირი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ურნა** – *სანაგვე ყუთი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნაგავი“ – წინ მიმართულია ხელისგული, მუშტად შეკრული თითებით და ცერზე შემოხვეული საჩვენებელი თითით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარცხნივ-მარჯვნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ყუთი“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული გაშლილი და წრიულად მოხრილი თითებით და ზევით აღმართული ცერებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ურწმუნო** – *ვისაც არაფრის რწმენა არა აქვს*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „რწმენა“ – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უსასრულო** – *რასაც დასასრული არა აქვს, დაუსრულებელი, დაუბოლოებელი, უსაზღვრო*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ციკლი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრული მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უვადო“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით მიმართულია ზევით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით გაშლილი თითებით და ქვევით ჩაწეული არათითით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და მარჯვენა არათითი ეხება მარცხენა ხელისგულს, მომდევნო ფაზაში ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი ადევს მარცხენას. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უსაფუძვლო** – *რასაც საფუძველი არა აქვს, დაუსაბუთებელი, უმართებულო*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საფუძველი“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია ზევით, მუშტად შეკრული თითებით მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უსაქმო** – *უსაქმური, ზარმაცი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საქმე“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით და ქვევით ჩაწეული შუა თითებით, ხელები ქვევით მოძრაობს სინქრონულად და ბოლო ფაზაში ქვევით მიმართულია ფართოდ გაშლილი თითები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უსაქმური** – *ვინც არ საქმიანობს, ვინც დროს უქმად ატარებს, უქნარა, ზარმაცი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით მიმართულია ქვევით, მარცხენა ხელის ქვეშ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული ცერით მიმართულია სხეულისკენ, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უსახლკარო** – *ვისაც სახლ-კარი არა აქვს, უბინაო*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „სახლი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზედა ფალანგებში მოხრილი, ერთმანეთისკენ მიმართული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უსიამოვნო** – *რაც სასიამოვნო არ არის, უამური*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიამოვნება“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, ხელი ეხება მკერდს და სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**უსინდისო** – *ვისაც სინდისი არა აქვს, უპატიოსნო*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნამუსი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და სხეულისკენ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, თითი ეხება ლოყას; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არქონა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ერთმანეთთან შეტყუპებული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.



**უსისტემო** – *სისტემას, წესს მოკლებული, უწესრიგო, უთავბოლო*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კანონი“– წინ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**უსინათლო** – *ბრმა, ვინც სრულებით ვერ ხედავს, მხედველობას მოკლებული*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით, ხელი ეხება თვალს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**უსულო** – *რასაც სული არ უდგას, რაც სულდგმული არ არის, უსიცოცხლო*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სუნთქვა“ – ფართოდ გაშლილი თითებით სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უსუსური** – *უმწეო, უღონო, სუსტი, შეუძლო*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უუფლებო** – *ვისაც რისამე უფლება არა აქვს, უფლებაწართმეული*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უფლება“ – მუშტად შეკრული თითებით ქვევით მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უფალი** – *ღმერთი*

ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, შუბლზე მიდებულია მუშტად შეკრული თითებით წინ მიმართული ხელისგული. ჟესტი სრულდება სახის დონეზე.

---



**უფასო** – *რაშიც ფასს, ფულს არ ახდევინებენ, უსასყიდლო*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უფერო** – *უფერული, რასაც ფერი არა აქვს*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფერი“ – ხელისგული მარჯვნივაა მიმართული, სახის წინ ფართოდ გაშლილი თითებით რკალური მოძრაობა სრულდება ზევიდან ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**უფლება** – *რისამე კეთების, განხორციელების შესაძლებლობა და ნებართვა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით ქვევით მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უფროსი** – *ასაკით, წლოვანებით სხვაზე დიდი, მეტი ხნის*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ზევით და მარჯვნივ, ხელი ეხება ნიკაპს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უფსკრული** – *მეტისმეტად ღრმა, თვალუწვდენელი ხევი, ხრამი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, სიტყვა-ჟესტი „მიწა“– სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელის გაშლილ თითებს უჭირავთ მარცხენა ხელის გაშლილი ნეკი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელი მარჯვნივ მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შიგნით“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით მიმართულია ქვევით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით, ხელი გადის მარცხენა ხელისგულსა და სხეულს შორის. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უფულო** – *ვისაც ფული არა აქვს*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფული“ – ხელისგული ზევითაა მიმართული, მარჯვენა საჩვენებელი და შუა თითების წვერებს განმეორებითი მოძრაობით ეხება ცერი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცარიელი“ – მარჯვენა ხელისგული ქვევითაა მიმართული, გაშლილია თითები და ქვევით ჩაწეული შუა თითი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით ქვევითაა მიმართული, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უქმი** – *უსარგებლო, გამოუსადეგარი, ფუჭი, უნაყოფო*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სამუშაო“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უქნარა** – *არაფრის გამკეთებელი, ზარმაცი, მცონარა, უსაქმური*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია სახისკენ, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით, ბოლო ფაზაში მუშტად შეკრულია თითები. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**უღელი** – *1. ურემში შესაბმელი მოწყობილობა; 2. ტვირთი, საზიდი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, მარცხენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილი და წინ მიმართულია ცერი, საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უღელი** – *მოვალეობის, ვალდებულების სიმძიმე, ტვირთი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**უშედეგო** – *რასაც შედეგი არ მოაქვს, უნაყოფო, ფუჭი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შედეგი“ / „პროგრამა“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი, სხეულისკენ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი სამგან ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უშვილო** – *ვისაც შვილი არა ჰყავს*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შვილი“ – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ეხება მკერდს და ქვევით ეშვება რკალური ტრაექტორიით. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

---



**უშინაარსო** – *შინაარსის არმქონე, შინაარსს მოკლებული, უაზრო*

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩადება“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მარჯვნივაა მიმართული, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ერთად მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელი წინ მოძრაობს რკალური ტრაექტორიით და მომდევნო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს; ჟესტის მესამე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „აზრი“ – ხელისგული მიმართულია მარცხნივ, თითები ერთად მოხრილია ზედა ფალანგებში და ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, ხელი ეხება საფეთქელს. ჟესტი სრულდება მკერდისა და სახის დონეზე.

---



**უშიშარი** – *ვისაც არაფრის არ ეშინია, გულადი, გაბედული, მამაცი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შიში“ – ზევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, სრულდება მოძრაობა ზევით და ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უშნო** – *ვისაც ან რასაც შნო, მოხდენილობა აკლია, ულამაზო, ულაზათო*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ლამაზი“ – ზევით და სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წრიულად მოხრილი თითები ეხება ლოყებს, ხელი ქვევით მოძრაობს და ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, შემდეგ ფაზაში ხელი ზევით მოძრაობს და თითების წვერებით ეხება ნიკაპს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**უჩინარი** – *რაც არა ჩანს, თვალით დაუნახავი, უხილავი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნახვა“ – ხელისგული მიმართულია სახისკენ, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გაქრობა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ერთად მოხრილი, ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა, ბოლო ფაზაში მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული ცერებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**უცებ** – *მოულოდნელად, უცაბედად*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით, სრულდება განმეორებითი მოძრაობა – ხელები ტრიალებს მაჯებში და ბოლო ფაზაში ზევით მიმართულია ხელისგულები. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**უცნაური** – *არაჩვეულებრივი, გასაოცარი, საკვირველი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ზევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ზევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უცნობი** – *რასაც ან ვისაც არ იცნობენ, რაც არ უნახავთ, არ სმენიათ*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გაცნობა“ / „ნაცნობი“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია თითებით ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელისგულები; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უცოდველი** – *ვისაც ცოდვა არ ჩაუდენია, უდანაშაულო*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცოდვა“ – მუშტად შეკრული თითებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა სხეულისკენ და ცერებით ხელები ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უცოდინარი** – *ვისაც ცოდნა არა აქვს, გაუნათლებელი, უსწავლელი*

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ფიქრი“ / „ცოდნა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და შუბლზე მიდებულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წიგნიერება“ / „გრამატიკა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, ზევით აღმართულია ცერი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა მარცხნივ; ჟესტის მესამე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**უცოლო** – *ვისაც ცოლი არა ჰყავს*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბიჭი“– ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილი და ფალანგაში მოხრილი საჩვენებელი  თითი ეხება შუბლს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უმეუღლეო“ – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, თითები გაშლილია და თითების წვერებით ხელი ეხება მკერდს, რკალური ტრაექტორიით სრულდება განმეორებადი  მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**უცოლშვილო** – *ვისაც ცოლ-შვილი არა ჰყავს*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბეჭედი“ / „ცოლი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა არათითს ბეჭდის ადგილას და მარცხნივ, ზევით მოძრაობს; ჟესტის მესამე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შვილი“ – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ეხება მკერდს და ქვევით ეშვება რკალური ტრაექტორიით. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

---



**უცხო** – *ვისაც არ იცნობენ, უცნობი, გარეშე, არამშობლიური, სხვა ხალხის კუთვნილი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული შუბლისკენ მიმართული, გაშლილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ, ბოლო ფაზაში წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.

---



**უცხოელი** – *უცხო მხარის მკვიდრი, სხვა გვარტომისა, საზღვარგარეთელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უცხოეთი“ – სხეულისკენ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითების რხევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**უძილო** – *ვისაც არ სძინებია, გამოუძინებელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ძილი“ – სხეულისკენ და ზევით მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული გაშლილი თითებით, სრულდება მოძრაობა სხეულისკენ და ხელი ეხება ლოყას. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.

---



**უძრავი** – *რაც არ მოძრაობს, უმოძრაო, უმოქმედო, გაჩერებული*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოქმედება“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, ორივე ხელის თითების რხევით სრულდება განმეორებადი, სინქრონული მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უწესო** – *წესს, წესიერებას მოკლებული, უწესრიგო, ურიგო*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კანონი“ – წინ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**უწესრიგო** – *რასაც ან ვისაც წესრიგი არ ახასიათებს, მოუწესრიგებელი, უთავბოლო*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წესრიგი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება სპირალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**უწინდელი** – *წინადროინდელი, წინანდელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ძველი“ – ხელისგული სახისკენაა მიმართული, თითები შეკრულია მუშტად, ხელი ეხება ლოყას და ქვევით მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წარსული“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა სხეულისკენ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.

---



**უწმაწური** – *უხამსი, უშვერი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცუდი“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ქვემოთ მიმართული ცერით, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევიდან ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიტყვა“ – მარცხენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ, წრიულად მოხრილია საჩვენებელი თითი და ცერი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უწყება** – *შეტყობინება, ცნობა, მიწერილობა სადმე მიწვევის შესახებ*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეტყობინება“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია ფალანგებში ოდნავ მოხრილი, შუბლთან განთავსებული საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით და მომდევნო ფაზაში საჩვენებელი თითი მოხრილია; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბარათი“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული, გაშლილი და წრიულად მოხრილია საჩვენებელი თითები და ზევით აღმართული ცერები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უჭკუო** – *ვისაც ჭკუა არა აქვს, ჭკუანაკლები, სულელი, ბრიყვი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ჭკუა “ / „გონება“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართული საჩვენებელი თითი ეხება შუბლს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიცარიელე“ / „არა“ – სხეულისკენ და ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**უჭმელი** – *ვისაც არაფერი არ უჭამია, მშიერი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჭამა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან და ხელი ეხება ტუჩებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.

---



**უხელფასო** – *ხელფასის გარეშე, ანაზღაურების გარეშე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხელფასი“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა, საჩვენებელი და არათითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**უხერხული** – *საჩოთირო, უადგილო, შეუფერებელი, მოუხერხებელი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები ზევითაა მიმართული ფართოდ გაშლილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია  მკერდის დონეზე.

---



**უხერხულობა** – *შეუფერებელი, საჩოთირო მდგომარეობა, შეზღუდულობა, მოუხერხებლობა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები ზევითაა მიმართული ფართოდ გაშლილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია  მკერდის დონეზე.

---



**უხეში** – *მოუქნელი, მოუხეშავი, ხეშეში, ტლანქი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, ზევით აღმართულია ცერი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უხვი** – *ბევრი, მრავალი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, ხელი ეხება სახეს და მარჯვნივ მოძრაობს ნიკაპის გასწვრივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**უხილავი** – *რაც არა ჩანს, თვალით დაუნახავი, უჩინარი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნახვა“ – ხელისგული მიმართულია სახისკენ, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ვერა“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილია ცერი და ნეკი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.

---



**უხმარი** – *1.რაც ჯერ არ უხმარიათ, ახალი 2. გამოუსადეგარი, ურგები*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ტარება“ – ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, წინ და ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ეხება მარცხენა არათითს, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უხმო** – *1. უხმაურო, ჩუმი, წყნარი; 2. ხმის უფლების გარეშე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ხმა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართული საჩვენებელი თითი ეხება ყელს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**უჯიშო** – *ცუდი ჯიშისა, უჯილაგო, უხეირო*

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ციკლი“ / „თაობა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრული მუშტებდ, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის  მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ვენა“ / „სისხლი“ – წინ გაწვდილია ზევით მიმართული მარცხენა ხელისგული ოდნავ მოხრილი თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი საჩვენებელი თითი ზევით-ქვევით განმეორებადი მოძრაობით ეხება მარცხენა მაჯას, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მესამე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**უჰაერო** – *სადაც ან რაშიც ჰაერი არ არის*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ჰაერი“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული, ერთმანეთთან მიტყუპებული თითებით,  სრულდება განმეორებადი  მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



ფ



**ფაბრიკა** – *სამრეწველო საწარმო, ქარხანა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფაკულტეტი** – *უმაღლესი სასწავლებლის ცალკეული განყოფილება, სადაც ისწავლება გარკვეული სამეცნიერო დისციპლინები*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სწავლა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, შუბლის წინ სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სპეციალობა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზედა ფალანგებში მოხრილია ერთმანეთისკენ მიმართული თითები, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ფანტაზია** – *შემოქმედებითი წარმოსახვა, მოგონილი, დაუჯერებელი, გაუგონარი რამ*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი, მონაცვლეობითი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ფანქარი** – *ხის ბუდეში ჩასმული გრაფიტის მოგრძო წვრილი ჩხირი, რომელიც იხმარება საწერად, სახატავად, სახაზავად*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება კლაკნილი ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ფანჯარა** – *ნაგებობის კედელში დაყოლებული ღია ადგილი, რომელშიც შემინული ჩარჩოა ჩასმული, სარკმელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მინა“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ გაშლილი თითებით და ქვევით ჩაწეული არათითით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და მარჯვენა არათითი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კარადა“ – წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია ნეკი და საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ფარა** – *ცხვრის ჯოგი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცხვარი“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და თავისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიმრავლე (ცხვრის)“ / „კრებითობა“ – ხელისგულები ქვევითაა მიმართული ფართოდ გაშლილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი წრიული მოძრაობა და ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ფარანი** – *მინისკედლებიანი კოლოფი, რომელშიც მოთავსებულია სანათი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია შუა, საჩვენებელი და არათითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფარდა** – *ფანჯარაზე ან კარზე ჩამოსაფარებელი ქსოვილი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება კლაკნილი ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ფართო** – *რასაც დიდი განი აქვს, განიერი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, ორივე ხელით რკალური ტრაექტორიით სინქრონულად სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფართობი** – *1. განსაზღვრული სიბრტყის ნაწილი; 2. საცხოვრებელი ადგილი, ტერიტორია*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ოთახი“ – მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი და ცერი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელის გაშლილი თითები ეხება მარცხენა ხელისგულს, იცვლის პოზიციას და ისევ ეხება მარცხენა ხელისგულს, ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით სხეულისკენაა მიმართული; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ზომა“ – ხელისგულები მიმართულია წინ, ცერი და საჩვენებელი თითების წვერები ერთმანეთს ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელები ზევით-ქვევით მოძრაობს მონაცვლეობით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ფარული კენჭისყრა** – *ფარული ხმის მიცემით რაიმე საკითხის გადაწყვეტა ან ვისიმე არჩევა*

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საიდუმლო“ – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი ცერი ჯერ მარჯვენა ლოყას ეხება მსუბუქად და ქვევით მოძრაობს, შემდეგ – მარცხენას და ისევ ქვევით მოძრაობს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხმა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი საჩვენებელი თითით ეხება ყელს; ჟესტის მესამე, ბოლო ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხელის აწევა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ფასდაკლება** – *ფასის დაკლება, დაწევა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაკლება“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში ერთად მოხრილია ერთმანეთისკენ მიმართული თითები, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ღირებულება“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით და გაშლილი თითებით ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ფასეული** – *რასაც ფასი აქვს, საყურადღებო, მნიშვნელოვანი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ღირებულება“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით და გაშლილი თითებით ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ძვირფასი“ – ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, მარცხენა ხელისგულზე განთავსებული მარჯვენა ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, მარჯვენა ხელი ზევით მოძრაობს და ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელის თითები გაშლილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფასი** – *ფულადი ღირებულება (საქონლის)*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და გაშლილი თითებით ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფაფა** – *წყალში გაქნილი ფქვილის (ან მარცვლეულის) დუღილით შესქელებული საჭმელი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილია ცერი და საჩვენებელი თითები, დანარჩები თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და საჩვენებელი თითი ეხება ლოყას, ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული ცერით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.

---



**ფაქტი** – *რაც სინამდვილეში მოხდა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფედერაცია** – *რამდენიმე სახელმწიფოსაგან შემდგარი სახელმწიფო, სადაც ყოველი წევრი ინარჩუნებს გარკვეულ სფეროში სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და ერთად ქმნიან ხელისუფლებისა და მმართველობის ერთიან ორგანოებს*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ერთად მოხრილი, წინ მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ფეთქებადი** – *სიფიცხე, ფიცხი ხასიათი; რაც ფეთქდება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ნეკები და ცერები წვერებით ერთმანეთს ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია და ზევით აღმართული, ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფეთქებადი** – *რაც ადვილად ფეთქდება, რაც აფეთქებას იწვევს*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „აფეთქება“ – ქვევით მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ზევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ზევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ზევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფენა** – *თხელი სიგძრივი ნაწილი, შრე*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ახლოს განთავსებული ხელისგულები, საჩვენებელი თითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარჯვნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფერადი** – *სხვადასხვა ფერისა, ნაირ-ნაირი ფერისა, ჭრელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფერი“ – ხელისგული მარჯვნივაა მიმართული, სახის წინ ფართოდ გაშლილი თითებით რკალური მოძრაობა სრულდება ზევიდან ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავალფეროვნება“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ფართოდ გაშლილი და ზევით მიმართული თითების რხევით სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ფერი** – *შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს თვალზე საგნის მიერ ანარეკლი სინათლე*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული მარჯვნივაა მიმართული, სახის წინ ფართოდ გაშლილი თითებით რკალური მოძრაობა სრულდება ზევიდან ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ფერმკრთალი** – *მკრთალი ფერისა, ფერწასული, ფერნაკლული, გაფითრებული*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თეთრი“ – ხელისგული სხეულისკენაა მიმართული, ცერით და საჩვენებელი თითით შეკრულია წრე და ხელი ეხება მკერდს, დანარჩენი თითები გაშლილია, მომდევნო ფაზაში გაშლილია თითები და ქვევით ჩაწეულია შუა თითი; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოდება“ – სახისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილია ცერი და საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი ასრულებს მოძრაობას ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.

---



**ფერფლი** – *ნამწვარზე მოდებული ფქვილივით ნაცარი, ნავლი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა- ჟესტი „შავი“ – საფეთქელთან განთავსებული და სახისკენ მიმართული ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით ეხება თავს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფხვიერი“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი საჩვენებელი და შუა თითების წვერები განმეორებადი მოძრაობით ეხება ცერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფესვი** – *მცენარის ძირითადი ორგანო, რითაც იგი მიწაშია დამაგრებული და მიწიდან იღებს საზრდოს*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ბოლო ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელის ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითები ირხევა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფეხი** – *ცოცხალი არსების კიდური, სასიარულო ორგანო*

ერთხელიანი, დინამიკური, მითითებითი ჟესტი, გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით სხეულისკენ მიმართულია ფეხთან განთავსებული ხელისგული, სრულდება განმეორებითი მოძრაობა წინ და უკან და ხელი ეხება ფეხს. ჟესტი წარმოდგენილია ფეხის დონეზე.

---



**ფეხსაცმელი** – *ფეხზე ჩასაცმელი, ფეხის სამოსი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული მარჯვენა ხელის თითების ქვეშ განთავსებული, გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, ბოლო ფაზაში ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფეხსაწმენდი** – *ფეხის გასაწმენდი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „(ფეხსაცმლის) წმენდა“ – მუშტად შეკრული თითებით და ცერზე შემოხვეული საჩვენებელი თითით ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ მარცხენა ხელის ზემოთ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფეხშიშველი** – *ვისაც ფეხთ არაფერი აცვია*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „ფეხი“ – გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით სხეულისკენ მიმართულია ფეხთან განთავსებული ხელისგული, სრულდება განმეორებითი მოძრაობა წინ და უკან და ხელი ეხება ფეხს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცარიელი“ – მარჯვენა ხელისგული ქვევითაა მიმართული, გაშლილია თითები და ქვევით ჩაწეული შუა თითი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით ქვევითაა მიმართული, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა  მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია ფეხისა და მკერდის დონეზე.

---



**ფიგურა** – *1. სიბრტყის ნაწილი, შემოსაზღვრული დახშული ხაზით, ხატვით ან ხაზვით გამოყვანილი გამოსახულება; 2. ადამიანის ტანის მოყვანილობა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება სხეულის ფორმის რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---





**ფიზიკა** – *ძირითადი საბუნებისმეტყველო მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ნივთიერების ზოგად თვისებებსა და მოძრაობის კანონებს*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფედერაცია“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ერთად მოხრილი, წინ მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---





**ფიზკულტურა** – *ფიზიკური კულტურა, ადამიანის სხეულის გაჯანსაღება, სრულყოფა ფიზიკური ვარჯიშით*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი, განსვლითი მოძრაობა, ორივე ხელი სინქრონულად იხრება და იშლება იდაყვში: მხრებს უახლოვდება და შორდება ხელის მტევნები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ფილმი** – *კინოსურათი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სახისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ფილოსოფია** – *მეცნიერება ბუნების, ადამიანთა საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების უზოგადეს კანონზომიერებათა შესახებ*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფედერაცია“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ერთად მოხრილი, წინ მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „მეცნიერება“ – ხელისგული გაშლილი და ქვედა ფალანგებში მოხრილი თითებით მარცხნივაა მიმართული, განზე გაწეული ცერით ხელი ეხება შუბლის მარჯვენა მხარეს. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და სახის დონეზე.

---



**ფილტვი** – *ადამიანის ან ცხოველის სასუნთქი ორგანო გულმკერდის ღრუში.*

ერთხელიანი, დინამიკური, მითითებითი ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილია თითები და ქვევით ჩაწეული შუათითი ეხება მკერდს ჯერ მარცხნივ, შემდეგ კი რკალური ტრაექტორიით მოძრაობს ხელი და შუათითი ეხება მკერდს მარჯვენა მხარეს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფინალი** – *დასასრული, ბოლო, რისამე უკანასკნელი ნაწილი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ვერტიკალზე განთავსებული ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა სხეულისკენ და ხელები ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფინანსები** – *ფულადი სახსრები*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თანხა" – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ზევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და გაშლილი თითებით ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება" – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფიფქი** – *თოვლის კრისტალი, ფანტელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თეთრი" – ხელისგული სხეულისკენაა მიმართული, ცერითა და საჩვენებელი თითით შეკრულია წრე და ხელი ეხება მკერდს, დანარჩენი თითები გაშლილია, მომდევნო ფაზაში გაშლილია თითები და ქვევით ჩაწეულია შუათითი; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „(თოვლის) მოსვლა" – ქვევით მიმართულია ხელისგულები, ფართოდ გაშლილი თითები ირხევა, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფიქრი** – *თავისთვის, გუნებაში მსჯელობა, რისამე წარმოდგენა, აზრად ქონა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, საფეთქელთან განთავსებული და სახისკენ მიმართული ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითების რხევით მოძრაობს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ფიცარი** – *ორივე მხრით ბრტყელი ხის ნაჭერი, მორის სიგრძივ ჩამონაჭერი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ხე“ – მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მარცხნივაა მიმართული, მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით ქვევითაა მიმართული და თითებით ეხება მარჯვენა იდაყვს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ფორმა – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი, ფალანგებში ოდნავ მოხრილი და ქვევით დაშვებული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ფიცი** – *აღთქმა, სიტყვის მიცემა*

ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური ჟესტი, ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული, ცერები ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფიცი** – *აღთქმა, სიტყვის მიცემა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ფიცი“ / „პატიოსანი“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული, ცერები ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური ფორმა – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფიჭვი** – *წიწვოვანი ხე, ისხამს მსხვილ, კვერცხისებრ გირჩას*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნაძვი“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული, გაშლილი თითების წვერები ერთმანეთს ეხება, ორივე ხელის თითების რხევით სინქრონულად სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წიწვები“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.

---



**ფლობა** – *პყრობა, ჭერა, ქონა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაპყრობა“ – ქვევით მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის ქვევით მიმართული, განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით, მომდევნო ფაზაში ორივე ხელზე მუშტებად შეკრულია თითები; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ავტონომია“ – გაშლილია ცერი და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელისგული სხეულისკენაა მიმართული, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე,

---



**ფოთოლი** – *მცენარის ერთ-ერთი ძირითადი ორგანო, ღეროზე ყუნწით ან უყუნწოდ მიმაგრებული*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები სხეულისკენაა მიმართული, მარჯვენა ხელის ცერით და საჩვენებლი თითით იკვრება წრე და თითები ეხება იმავე კონფიგურაციის მარცხენა ხელის თითების წვერებს, მარჯვენა ხელი მარჯვნივ მოძრაობს რკალური ტრაექტორიით, ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელისგული ზევითაა მიმართული, ცერი და საჩვენებლი თითები მოხრილია, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

---



**ფონდი** – *მარაგი, რესურსები, მიზნობრივი თანხები*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თანხა“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ზევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და გაშლილი თითებით ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „გუდა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით მიმართულია სხეულისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფორთოხალი** – *სუბტროპიკული ციტრუსოვანი ხეხილი; თეთრად ყვავის და ისხამს ნარინჯისფერ, სურნელოვან, წვნიან ნაყოფს*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს, ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელის თითები შემოჭდობილია მარცხენა ხელის თითებზე. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფორმა** – *გარეგნული მოხაზულობა, მოყვანილობა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია ცერები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება მოძრაობა ქვევით რკალური ტრაექტორიით. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მხრებისა და მკერდის  დონეზე.

---



**ფოსტა** – *დაწესებულება, რომელიც აწარმოებს კორესპონდენციებისა და ამანათების  გაგზავნ-გამოგზავნას დანიშნულების ადგილას, ადრესატისათვის გზავნილებათა ჩაბარებას*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ქვევით მიმართულია ფალანგებში მოხრილი საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---

**ფრანგი** – *ფრანგი ეროვნების ადამიანი*





ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საფრანგეთი“ – სხეულისკენ და ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და სხეულისკენ მიმართული თითებით ხელი ეხება მკერდს, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი ისევ ეხება მკერდს;  ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ფრთა** – *ფრინველის ან მწერის საფრენი ორგანო*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელის თითების რხევით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფრთოსანი** – *რასაც ფრთა აქვს, ფრთიანი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფრთა“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელის თითების რხევით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფრთხილი** – *ვინც წინასწარ ზომავს, ითვალისწინებს მოსალოდნელ საფრთხეს და ცდილობს, თავი აარიდოს მას*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით ზევით მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე,

---



**ფრინველი** – *ბუმბულით შემოსილი ხერხემლიანი, ნისკარტიანი და ფრთებიანი ცხოველი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ნისკარტი“ – წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართული საჩვენებელი თითი და ცერი განმეორებითი მოძრაობით ეხება ერთმანეთს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „ფრენა“ – იდაყვებში განზე გაწეულია ხელები, ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ფრჩხილი** – *რქოვანი წანაზარდი თითის წვერზე*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, მითითებითი ჟესტი, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარჯვენა ხელი ქვევით და მარცხნივ გადაადგილდება და საჩვენებელი თითით ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფსიქიკა** – *ცნობიერებაში ობიექტური სინამდვილის ასახვის შედეგი, სულიერ განცდათა ერთობლიობა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია საფეთქელთან განთავსებული ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ფსიქიკური** – *ფსიქიკისა, ფსიქიკიდან გამომდინარე, ფსიქიკასთან დაკავშირებული, სულიერი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფსიქიკა“ – სხეულისკენ მიმართულია საფეთქელთან განთავსებული ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ფსიქოლოგია** – *1. მეცნიერება ფსიქიკური მოქმედების კანონზომიერებათა ევოლუციისა და ფორმების შესახებ, 2. ფსიქიკური თავისებურებანი, სულიერი სამყარო*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფსიქიკა“ – სხეულისკენ მიმართულია საფეთქელთან განთავსებული ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „აკადემია“ – ხელისგული გაშლილი და ქვედა ფალანგებში მოხრილი თითებით მარცხნივაა მიმართული, განზე გაწეული ცერით ხელი ეხება შუბლის მარჯვენა მხარეს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ფსკერი** – *ძირი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიწა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელის გაშლილ თითებს უჭირავთ მარცხენა ხელის გაშლილი ნეკი, მარცხენა ხელის დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელი მარჯვნივ მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადგილი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფული** – *ლითონის ან ქაღალდის ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ღირებულების საზომს ყიდვა-გაყიდვისას*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული ზევითაა მიმართული, მარჯვენა საჩვენებელი და შუა თითების წვერებს განმეორებითი მოძრაობით ეხება ცერი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფუნჯი** – *ტარზე დაგებული ბალნისა თუ ჯაგრის კონა რისამე (საღებავის, წებოს, საპნის) წასასმელად*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია მარცხენა ხელის თითები, მარჯვენა ხელზე გაშლილია არათითი, საჩვენებელი და შუა თითები, ნეკი და ცერი ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფურთხი** – *პირიდან გამოყოფილი ნერწყვის გროვა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით წინ მიმართულია ბაგეების წინ განთავსებული ხელისგული, სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით, ბოლო ფაზაში მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი, შუა და არათითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ფურცელი** – *თაბახი, ქაღალდი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ახლოს განთავსებული ხელისგულები, საჩვენებელი თითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ჯერ განსვლითი, შემდეგ კი ქვევით მიმართული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ფუტკარი** – *მწერი, რომელიც ნესტრით აგროვებს ყვავილის ნექტარს და აკეთებს თაფლს*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კბენა“– მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილია საჩვენებელი თითი და ცერი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მუშტად შეკრული თითებით მარცხენა ხელისგული მიმართულია ქვევით, ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს და საჩვენებელი და ცერი თითები ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „ფრენა“ – იდაყვებში განზე გაწეულია ხელები, ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფუღურო** – *სიცარიელე, სიღრუე, გამოღრუტნული (ხეში)*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ხე“ – გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მარცხენა ხელისგული სხეულისკენაა მიმართული, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით ხელი ეხება მარცხენა იდაყვს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ფორმა – გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მარცხენა ხელისგული წინაა მიმართული, მარჯვენა ხელისგული სხეულისკენაა მიმართული, გაშლილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა საჩვენებელი თითით მარცხენა ხელზე სრულდება წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ფქვილი** – *წმინდა ფხვნილად, მტვრად ქცეული მარცვლეული*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული ზევითაა მიმართული, საჩვენებელი და შუა თითების წვერებს ეხება ცერი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.

---



**ფხა** – *თევზის წვრილი ძვალი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თევზი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია თითები, კლაკნილი ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ფორმა – მარცხნივ მიმართულია ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ცერი ჩაკეცილია, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფხანა** – *ხელის და ფრჩხილების სმა ქავილის გასაქარვებლად*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფხვნილი** – *ნაფშვენი, ნაფხვენი სარეცხის საშუალება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „რეცხვა“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, მარცხენა ხელზე განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფხვნილი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი საჩვენებელი და შუა თითების წვერები განმეორებადი მოძრაობით ეხება ცერს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფხვნილი** – *ფხვიერ ნაწილაკებად ქცეული რამე, ნაფშვენი, ნაფხვენი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი საჩვენებელი და შუა თითების წვერები განმეორებადი მოძრაობით ეხება ცერს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ფხიზელი** – *ვისაც ან რასაც არა სძინავს, მღვიძარე; არა მთვრალი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სახე“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და სახისკენ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება წრიული მოძრაობა სახის გარშემო; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ფორმა – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.

---



**ფხორვა** – *ბუმბულის ან ბეწვის შლა, ჭიმვა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ინდაური“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გაფხორვა“ – წინ მიმართულია ხელისგულები, ფართოდ გაშლილი, ზევით აღმართული თითებით და ჩაკეცილი ცერებით, ორივე ხელის თითების რხევით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



# ქ



**ქადა** – *ნამცხვარი, რასაც გულად აქვს ცხიმში აზელილი, მოხალული ფქვილი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნამცხვარი“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ეხება ლოყას და ქვევით მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „(ნამცხვრის) ფორმა“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა და ხელები წრეს ხაზავენ ჰორიზონტალურ სიბრტყეზე. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ქადაგება** – *ეკლესიაში წარმოთქმული რელიგიურ-დამრიგებლობითი შინაარსის სიტყვა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თხრობა“ – წინ მიმართულია ხელისგულები, შუათითები და და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, მომდევნო ფაზაში ფართოდ გაშლილია ზევით აღმართული თითები; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გავრცელება (ამბის)“ – ქვევით მიმართულია ერთმანეთთან ახლოს მიტანილი ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქათამი** – *მომცრო, შინაური, კაკანა, კვერცხისმდებელი ფრინველი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქალა** – *ადამიანის ან ცხოველის თავის ჩონჩხი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „თავი" – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილი საჩვენებელი თითი ეხება თავს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქალა" – ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ქვევით დაშვებული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ქალაქი** – *დიდი დასახლებული პუნქტი, ჩვეულებრივ, ადმინისტრაციული, სამრეწველო, სავაჭრო და კულტურული ცენტრი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით და ქვევით ჩაწეული შუათითით, მარჯვენა ხელით სრულდება ქვევით მიმართული მოძრაობა და შუა თითი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქალბატონი** – *თავაზიანი მიმართვა ან ხსენება ქალისა საზოგადოებაში*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ქალი“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ჩაკეცილი ცერით, ხელი ეხება ნიკაპს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ეთიკა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში წრიულად მოხრილი საჩვენებელი თითი და ცერი ლოყებს ეხება ნიკაპთან, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.

---



**ქალი** – *მდედრობითი სქესის ადამიანი, დედაკაცი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ჩაკეცილი ცერით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება ნიკაპს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ქამარი** – *სარტყელი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითები და ცერები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ერთმანეთის მიმართულებით და ხელები ეხება წელს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.

---



**ქარავანი** – *საპალნიანი საკიდარი ცხოველების (აქლემების) მოარული რიგი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „აქლემი“ – მუშტად შეკრული თითებით ერთმანეთისკენ მიმართულია მაჯებთან ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ხელისგულები, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თანამიმდევრული სვლა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ჩაკეცილი ცერებით, ორივე ხელით სრულდება თანამიმდევრული  მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქარვა** – *ყვითელი ფერის მაგარი, გამჭვირვალე ფისოვანი ნივთიერება, იყენებენ სხვადასხვა სამკაულებისა და წვრილმანი ნივთების დასამზადებლად*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ყვითელი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია ცერები და ნეკები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით და ნეკები ერთმანეთს ეხება; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქვა“– მუშტად შეკრული თითებით ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელი ზედ ადევს მარცხენას, იმავე კონფიგურაციით ხდება პოზიციათა მონაცვლეობა და ბოლოს ფაზაში მარცხენა ხელი ადევს მარჯვენას. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქართველი** – *ქართული ეროვნების ადამიანი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქართული“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ცერი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ქართლი** – *საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, მისი შუა ნაწილი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ცერები ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქართული** – *საქართველოს და ქართველების კუთვნილი, დამახასიათებელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქართული“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ცერი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია ზევით აღმართული შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქარი** – *ჰაერის ძლიერი მოძრაობა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---





**ქარიშხალი** – *ძლიერი, დიდი ქარი წვიმითურთ*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქარი“ – მუშტად შეკრული თითებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ტრიალი“– ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები და გაშლილი საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---





**ქაღალდი** – *სპეციალური მასალა საწერად, სახატავად ან საბეჭდავად*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქაღალდი“ – მუშტად შეკრული თითებით ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელი ზედ ადევს მარცხენას და ასრულებს განმეორებად მოძრაობას მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ფორმა (ფურცლის)“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს მიტანილი ხელისგულები, საჩვენებელი და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ჯერ განსვლითი, შემდეგ კი ქვევით მიმართული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---

**ქება** – *მოწონებით მოხსენიება, ხოტბის შესხმა*



ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ზევით აწეული ცერით მიმართულია სხეულისკენ, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---

**ქედი** – *წაგრძელებული მთა, სერი, მთაგრეხილი*



ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი წინ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია იმავე კონფიგურაციით ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული, ორივე ხელით სრულდება წინ და ქვევით მიმართული რკალური ტრაექტორიის მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---

**ქელეხი** – *მიცვალებულის მოსახსენებლად გამართული პურის ჭამა დამარხვის დღეს, ორმოცზე ან წლისთავზე, აღაპი*



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „სიკვდილი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია მაჯებთან ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ხელისგულები, გაშლილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სუფრა“ – ზევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით და ზევით აღმართული ცერებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქერტლი** – *კანის რქოვანი უჯრედებისა და კანის ცხიმის წვრილი ნაწილაკები, რომლებიც გროვდება თავზე თმის ძირებთან, ქერცლი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „თავი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილი საჩვენებელი თითი ეხება თავს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფხვნილი“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, ცერი განმეორებადი მოძრაობით ეხება გაშლილ და ქვევით დაშვებულ თითებს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ქექვა** – *მიწის ჩიჩქნა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიწა“ – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული ფალანგებში მოხრილი თითებით და გაშლილი ნეკით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, მარჯვენა ხელის გაშლილ თითებს უჭირავთ მარცხენა ნეკი, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქექვა“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული, ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის ქვევით მიმართული ორჯერადი, განსვლითი მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქვა** – *მაგარი ქანი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელი ზედ ადევს მარცხენას, იმავე კონფიგურაციით ხდება პოზიციათა მონაცვლეობა და ბოლო ფაზაში მარცხენა ხელი ადევს მარჯვენას. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქვაბი** – *ცილინდრული ფორმის სითხის ასადუღებელი ან საჭმლის მოსახარში ლითონის ჭურჭელი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით ზევით მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქვევით** – *ამა თუ იმ ადგილიდან დაბლა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქვევრი** – *კვერცხის მოყვანილობის მიწაში ჩაფლული ღვინის შესანახი თიხის დიდი ჭურჭელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფორმა (ქვევრის)“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ქვევით მიმართული რკალური ტრაექტორიის მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ღვინო“ – ზევით მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილია ცერი და საჩვენებელი თითი, ყელს ეხება საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ქველმოქმედება** – *ქველმოქმედის საქმიანობა, მოღვაწეობა, მოწყალება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კეთილი“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოქმედება“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, ფართოდ გაშლილი და ქვევით მიმართული თითების რხევით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქვეყანა** – *დედამიწა, დედამიწის სფერო, ჩვენი პლანეტა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქალაქი“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით და ქვევით ჩაწეული შუა თითით, მარჯვენა ხელით სრულდება ქვევით მიმართული მოძრაობა და შუა თითი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადგილი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქვეშ** – *რაიმე საგნის ქვევით, ძირს*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული ფალანგებში ერთად მოხრილი, მარჯვნივ მიმართული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით მარცხენა ხელსა და სხეულს შორის. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქვეწარმავალი** – *ხერხემლიან ცხოველთა კლასი, რომლის წარმომადგენლებიც მიწაზე ხოხვით მოძრაობენ, ქვემძრომი*

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიწა" – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული ფალანგებში მოხრილი თითებით და გაშლილი ნეკით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, მარჯვენა ხელის გაშლილ თითებს უჭირავთ მარცხენა ნეკი, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხოხვა" / „ცოცვა" – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და საჩვენებელი თითი იხრება ფალანგებში; ჟესტის მესამე, ბოლო ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება" – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია ზევით აღმართული შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქვიშა** – *წყლის მიერ ფხვიერ მასად ქცეული ქვის წვრილი ნამსხვრევი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიწა" – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული ფალანგებში მოხრილი თითებით და გაშლილი ნეკით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, მარჯვენა ხელის გაშლილ თითებს უჭირავთ მარცხენა ნეკი, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფხვნილი" – ქვევით მიმართულია ხელისგულები, ცერები განმეორებადი მოძრაობით ეხება გაშლილ და ქვევით დაშვებულ თითებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქვრივი** – *ქმარგარდაცვლილი დედაკაცი ან ცოლგარდაცვლილი მამაკაცი*

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მეუღლე“ / „ბეჭედი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი, ქვევით დაშვებული თითებით, მარჯვენა ხელის ცერი და საჩვენებელი თითი შემოჭდობილია მარცხენა არათითზე, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარცხნივ და ზევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „სიკვდილი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია მაჯებთან ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ხელისგულები, გაშლილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად; ჟესტის ბოლო, მესამე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უმეუღლეო“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და სხეულისკენ მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი თითების წვერებით ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქილა** – *თიხის ან მინის პირფართო ჭურჭელი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, წინ მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული წრიულად მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქინძი** – *საჭმლის შესაკაზმი მწვანილი (ქოლგოსანთა ოჯახისა)*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მწვანილი“ – სხეულისკენ მიმართულია პირის წინ განთავსებული ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქინძი“ – წინ მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ქირურგი** – *ქირურგიის სპეციალისტი ექიმი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ოპერაცია“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ქვევით მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ქიშმიში** – *შემჭკნარი და გამომშრალი ყურძნის მარცვალი, იყენებენ კულინარიაში*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ყურძენი“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია და ზევით აღმართული, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია და მარცხნივ მიმართული, მომდევნო ფაზაში მარჯვენა საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს სცილდება; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გამხმარი“ – მუშტად შეკრული თითებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელები ერთმანეთს ეხება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქიშპობა** – *ცილობა, მეტოქეობა, ჯიბრი, შუღლი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით ზევით და ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ბოლო ფაზაში თითები გაშლილია, ზევით აღმართულია ცერები და თითების წვერებით ერთმანეთს ეხება ხელები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქმარი** – *ცოლის მეუღლე, კაცი იმ ქალის მიმართ, რომელთანაც ქორწინებით არის დაკავშირებული*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მეუღლე“ / „ბეჭედი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი, ქვევით დაშვებული თითებით, მარჯვენა ხელის ცერი და საჩვენებელი თითი შემოჭდობილია მარცხენა არათითზე, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარცხნივ და ზევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ბიჭი“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილი საჩვენებელი თითი ეხება შუბლს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ქოთანი** – *საჭმლის მოსამზადებელი, თიხის პირფართო ჭურჭელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფორმა (ქოთნის)“ – ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები წრიულად მოხრილი თითებით და ზევით აღმართული ცერებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ზევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქილა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული წრიულად მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქოლგა** – *წვიმისა და მზისაგან დასაცავი ხელში დასაჭერი დასაკეცი მოწყობილობა ჯოხზე მიმაგრებულ ჩხირებზე მომრგვალოდ გადაჭიმული ქსოვილით*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, მარცხენა ხელზე ზემოდან განთავსებულია იმავე კონფიგურაციით მარცხნივ მიმართული მარჯვენა ხელისგული, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ზევით და ბოლო ფაზაში ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების  დონეზე.

---



**ქონა** – *ქონება, რამის ფლობა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქონება** – *სიმდიდრე, საკუთრებად არსებული სარჩო-საბადებელი, ნივთეულობა, ფული*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება მოძრაობა სხეულისკენ და ცერი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქოხი** – *ჩალით ან ისლით დახურული წნელის, ხის ან ალიზის უბრალო ნაგებობა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი თითებით ერთმანეთზე გადაჭდობილია ხელები, ორივე ხელით ერთად სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ქრისტე** – *უფალი, ღმერთი, ძე ღვთისა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვნივ მიმართული შუა თითით ხელი ეხება მარჯვენა ხელისგულს, მომდევნო ფაზაში ხდება კონფიგურაციათა მონაცვლეობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქრისტიანი** – *ქრისტიანული რელიგიის მიმდევარი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქრისტე“ – მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვნივ მიმართული შუა თითით ხელი ეხება მარჯვენა ხელისგულს, მომდევნო ფაზაში ხდება კონფიგურაციათა მონაცვლეობა; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ქრონიკა** – *საზოგადოებრივი მოვლენების, ფაქტების ქრონოლოგიური აღნუსხვა, ყოველწლიური ჩანაწერი, მატიანე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ახალი“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ზევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა მარცხენა ხელის ზევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თხრობა“ – წინ მიმართულია ხელისგულები, შუათითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, მომდევნო ფაზაში ფართოდ გაშლილია ზევით აღმართული თითები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქსელი** – *სისტემაში შემავალ ერთეულთა ერთობლიობა და მრავალმხრივი კავშირები*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები, საჩვენებელი თითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ქსოვა** – *გარკვეული წესით ძაფების ერთმანეთში გაყრით გამოყვანა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ, საჩვენებელი თითები ერთმანეთს ეხება წვერებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქსოვილი** – *რაც ქსოვით არის დამზადებული, მოქსოვილი ნაჭერი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნაჭერი“ – სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, იმავე კონფიგურაციით ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია ზევით აღმართული შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ქუდი** – *ადამიანის თავზე დასახურავი, თავსაბურავი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია შუბლთან განთავსებული ხელისგული გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი, მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ქურდი** – *სხვისი საკუთრების მალულად, ფარულად მიმტაცებელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოპარვა“ – წინ მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით, ხელი ზურგით ეხება ნიკაპს, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ და მომდევნო ფაზაში მუშტად შეკრულია თითები; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ქურდობა** – *ქურდის ხელობა, მოპარვა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოპარვა“ – წინ მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით, ხელი ზურგით ეხება ნიკაპს, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ და მომდევნო ფაზაში მუშტად შეკრულია თითები; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ავაზაკი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.

---



**ქურქი** – *ბეწვეულის სამოსელი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა მხართან განთავსებული ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, ხელი ეხება მხარს, სრულდება მოძრაობა წინ და ბოლო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ქუჩა** – *სახლების ორ მწკრივს შორის მოქცეული გზა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარცხენა მარჯვენა გვერდთან განთავსებული ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა იდაყვის წინ განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.

---



**ქუხილი** – *ჭექა- გრიალი ზეცაზე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხმაური“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, შუათითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია და  ზევით აღმართული, სახის დონეზე ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, სინქრონული მოძრაობა  წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ზეცა“ – წინ მიმართულია თავთან განთავსებული ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და სახის დონეზე.

---



**ქცევა** – *საქციელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საქციელი“ / „ქცევა“ / „წესრიგი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება სპირალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოქმედება“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ქვევით დაშვებული თითებით, ორივე ხელის თითების რხევით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია  მკერდის დონეზე.

---



# ღ



**ღაბაბი** – *სიმსუქნისაგან წარმოქმნილი ნიკაპქვეშ ჩამონაზარდი*

ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, მარცხნივ მიმართული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ღალატი** – *გამცემლობა, ვერაგობა, ორგულობა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ჩაკეცილი ნეკით. ხელი ეხება ცხვირს, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ღალატი** – *მეუღლის ღალატი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, წინ მიმართულია ზევით განთავსებული  მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.

---



**ღამე** – *დრო მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, ბოლო ფაზაში თითები მოხრილია ფალანგებში. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ღამურა** – *პატარა მფრინავი ძუძუმწოვარა ცხოველი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ღამურა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელის გაშლილი შუა და საჩვენებელი თითები ადევს მარცხენა ხელის გაშლილ საჩვენებელ თითს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „ფრენა“ – ქვევით მიმართულია განზე გაწეული ხელისგულები გაშლილი თითებით და ჩაკეცილი ცერებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ღარიბი** – *მცირე ქონების პატრონი, ხელმოკლე, უქონელი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები, ცერები და შუა თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, მარჯვენა ხელი ზემოდან ადევს მარცხენას, ბოლო ფაზაში ორივე ხელის თითები გაშლილია, ცერები – ჩაკეცილი. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ღებვა** – *თმის, კვერცხის, ტანსაცმლის საღებავით ფერის ცვლა, გაფერადება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საღებავი“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, ცერები და საჩვენებელი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია ზევით აღმართული შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ღებვა** – *კედლის, იატაკის, ღობის, სახლის, ნახატის საღებავით ფერის ცვლა, გაფერადება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საღებავი“ – მარჯვნივ და სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია ზევით აღმართული შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ღერბი** – *1. სახელმწიფოს ან საგვარეულოს სიმბოლიკა; 2. ოფიციალური ორგანიზაციის ან რამე იურიდიული პირის სიმბოლური ფორმა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „სახელწიფო“ – გაშლილი და ზემოთ აღმართული საჩვენებელი თითი ეხება შუბლს, მოხრილია შუა თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, მარჯვნივ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ღვედი** – *მანქანაში მხარზე გადასაჭერი თასმა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „მანქანა“ – მუშტად შეკრული თითებით ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თასმა“ – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, მოხრილია ცერი და საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი ეხება სხეულს მარცხენა მკერდის ზემოთ, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ღვთისმშობელი** – *იესო ქრისტეს დედა, მარიამი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დედა“ – მარცხნივ მიმართულია მარცხენა ლოყაზე მიდებული ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მომდევნო ფაზაში ხელისგული იმავე კონფიგურაციით ეხება მარჯვენა ლოყას; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „თოთო ბავშვი“ – ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, იდაყვებში მოხრილია გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით ერთმანეთზე განთავსებული ხელები, მარჯვენა ხელი მარცხენას ადევს ზემოდან. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ღვინო** – *ყურძნის ნაწური, თავისით დადუღებული, მათრობელა სასმელი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილია ცერი და საჩვენებელი თითები, ყელს ეხება საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და სახის დონეზე.

---



**ღვიძლი** – *შინაგანი სეკრეციის ორგანო, რომელიც მონაწილეობს სისხლის მომოქცევაში*

ერთხელიანი, დინამიკური, მითითებითი ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და სხეულისკენ მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან და ხელი ეხება სხეულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ქვევით.

---



**ღილი** – *ძვლის, ლითონის ან სხვა მასალის სხვადასხვა ფორმის ფირფიტა სამოსლის შესაკრავად ან მოსართავად*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ეხება მკერდს, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ღიპი** – *დიდი, გამობერილი მუცელი*

ერთხელიანი, დინამიკური, იკონური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი ეხება სხეულს მკერდს ქვემოთ, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი ისევ ეხება სხეულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ქვევით.

---



**ღმერთი** – *უფალი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით წინ მიმართული ხელისგულით სხეულისკენ მოძრაობს და ბოლო ფაზაში შუბლზე მიდებულია ხელი. ჟესტი სრულდება სახის დონეზე.

---



**ღობე** – *წნელით მოწნული, მჭკრივად ჩარჭობილი სარებით ან ფიცრებით შემოვლებული ზღუდე*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით და ჩაკეცილი ცერებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ღომი** – *სიმინდის ღერღილისგან დამზადებული სქელი ფაფის მსგავსი საჭმელი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით მიმართულია ზევით, ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით მიმართულია სხეულისკენ, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ღონე** – *ცოცხალი ორგანიზმის ფიზიკური ძალა, ენერგია*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით, ხელი რკალური ტრაექტორიით გადაადგილდება ქვევით და ორგან ეხება იდაყვში მოხრილ მარცხენა მკლავს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ღონიერი** – *დიდი ღონის მქონე, ძლიერი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მხრებთან განთავსებული ხელისგულები გაშლილი და სხეულისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ზევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ზევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**ღონისძიება** – *ამა თუ იმ მიზნისთვის საჭირო მოქმედება, აქტივობა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოქმედება“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ქვევით დაშვებული თითებით, ორივე ხელი თითების რხევით ასრულებს განმეორებად მოძრაობას მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დღესასწაული“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება შუა თითებს, დანარჩენი თითები გაშლილია და ერთმანეთისკენ მიმართული, ხელები ეხება მკერდს, ბოლო ფაზაში წინ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**ღორი** – *წყვილჩლიქიანი, მოკლეფეხებიანი და დინგიანი ძუძუმწოვარა ცხოველი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**ღორმუცელა** – *გაუმაძღარი, მსუნაგი, ბევრის მჭამელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ღორი“ – წინ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „მუცელი“ – სხეულისკენ მიმართულია მუცლის წინ განთავსებული ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან და ხელი ეხება მუცელს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მუცლის დონეზე.

---



**ღრმა** – *ზედაპირიდან ფსკერამდე დიდი მანძილის შემცველი, სიღრმის მქონე*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი, ზევით აღმართული  თითებით მიმართულია მარჯვნივ, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ღრუბელი** – *წყლის შესქელებული ორთქლი, ჰაერში დაგროვილი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ღუზა** – *გრძელ ჯაჭვზე მობმული რკინის კავებიანი ღერო, რომელიც ზღვის ან მდინარის ფსკერზე ჩაშვებისას კავებით ნიადაგს ეჭიდება და გემს ერთ ადგილას აჩერებს*

ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული, გაშლილი და ქვევით მიმართული მარცხენა საჩვენებელი თითი ეხება მარჯვენა საჩვენებელი თითის სახსარს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---





**ღუმელი** – *აგურის, ქვის ან რკინის მოწყობილობა, რომელიც ხურდება რაიმე საწვავით ან დენით*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „სითბო“ – სხეულისკენ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული ფართოდ გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „(სითბოს, სინათლის) გავრცელება“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---






**ყავა** – *დახალული და დაფქული მარცვლისგან შემზადებული ცხელი სასმელი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით მიმართულია ზევით, მარცხნივ მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილია ცერი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ყავა** – *დახალული და დაფქული მარცვლიდან შემზადებული ცხელი სასმელი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა სხეულისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და სახის დონეზე.

---



**ყალბი** – *არანამდვილი, მაგრამ ნამდვილს მიმსგავსებული*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია ზევით, სხეულისკენ მიმართულია სახის წინ განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ბოლო ფაზაში ცერები ეხება გაშლილი თითების წვერებს, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ყანა** – *თავთავიანი კულტურის ნათესი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბალახი“ / „მცენარე“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ხელისგულები ერთმანეთს ეხება და ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადგილი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი და ქვევით დაშვებული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიიის მოძრაობა მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.

---



**ყანწი** – *ღვინისა და არყის სასმელი რქა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ღვინო“ /„სასმელი“ – მუშტად შეკრული თითებით სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, ხელი სხეულისკენ მოძრაობს და გაშლილი საჩვენებელი თითი ეხება ყელს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „(ყანწის) ფორმა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, მარჯვენა საჩვენებელ თითს ეხება მარცხენა ნეკი, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ და ბოლო ფაზაში თითები მოხრილია. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ყაურმა** – *თავისავე ქონში ხახვით მოხრაკული ცხოველის შიგნეულობა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „ღვიძლი“ – ზევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და სხეულისკენ მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან და ხელი ეხება სხეულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არევა“ – მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ და ქვევით, მარცხენა კი სხეულისკენ და ზევით, ორივე ხელის ფართოდ გაშლილი თითებით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ყაყაჩო** – *წითელყვავილა მცენარე, იზრდება ყანებში და ბალახოვან ფერდობებზე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „წითელი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართული საჩვენებელი თითი ეხება ტუჩებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ყვავილი“ – ზევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, ხელი წინ მოძრაობს და ბოლო ფაზაში გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილია თითები. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.

---



**ყაჩაღი** – *შეიარაღებული თავდამსხელი, მძარცველი, ავაზაკი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ავაზაკი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელი სინქრონულად წინ მიემართება რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ყბედი** – *ბევრის მოლაპარაკე, მოლაყბე, ლაქლაქა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული, ქვევით დაშვებული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ყელი** – *კისრის წინა ნაწილი, სადაც მოთავსებულია საყლაპავი და სასულე მილები*

ერთხელიანი, დინამიკური, მითითებითი ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერი ეხება ყელს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ყვავი** – *ყორნისებრთა ოჯახის საშუალო სიდიდის რუხი ან შავი ფრინველი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „შავი“ – სხეულისკენ მიმართულია თავთან განთავსებული ხელისგული, ფართოდ გაშლილი თითებით ხელი ეხება თავს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ნისკარტი“ – წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ყვავილი** – *მცენარის გამრავლების ორგანო, რომელიც მეტწილად შედგება ყვავილსაფრის, ბუტკოსა და მტვრიანებისაგან*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, ხელი წინ მოძრაობს, ბოლო ფაზაში გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილია თითები. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ყველა** – *გამონაკლისის გარეშე, მთლიანად, სულ, ყოველი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, ბოლო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს და ხელი განთავსებულია მკერდის მარცხენა მხარეს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ყველაფერი** – *ყველა რამე, ყოველივე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ყველა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, ბოლო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს და ხელი განთავსებულია მკერდის მარცხენა მხარეს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავალფეროვნება“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითების რხევით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---

**ყველგან** – *ყოველ ადგილას*



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ყველა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, ბოლო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს და ხელი განთავსებულია მკერდის მარცხენა მხარეს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ფორმა – წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ყველი** – *რძისგან დამზადებული საკვები პროდუქტი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები, საჩვენებელი თითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ყვინთვა** – *წყალში ჩაყურყუმელავება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, მარცხენა ხელისგულის ქვეშ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ზევით აღმართული შუა და საჩვენებელი თითების მონაცვლეობითი რხევით მარჯვენა ხელი წინ და ქვევით გადაადგილდება, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ყვირილი** – *ხმამაღლა ძახილი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია ცერები და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ყიდვა** – *ფულით რისამე შეძენა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელისგული ქვევით დაშვებული თითებით მიმართულია სხეულისკენ, მარჯვენა ხელის თითების წვერები ეხება მარცხენა ხელისგულს და წინ მოძრაობს რკალური ტრაექტორიით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ყინვა** – *ძლიერი სიცივე, სუსხი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ და ქვევით მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ნახევრადწრიული ტრაექტორიის მოძრაობა და ბოლო ფაზაში ხელისგულები იმავე კონფიგურაციით ზევითაა მიმართული. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ყინული** – *ყინვისაგან გამკვრივებულ-გამაგრებული წყალი*

ორნაწილიანი დინამიკური ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიცივე“ /“ყინული“ – ერთმანეთისკენ და ქვევით მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ნახევარწრიული ტრაექტორიის მოძრაობა და მომდევნო ფაზაში ხელისგულები იმავე კონფიგურაციით ზევითაა მიმართული; ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „(ყინულის) სისქე“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია ცერები, ზედა ფალანგებში სწორად მოხრილი ოთხი თითი ცერების პარალელურია ორივე ხელზე, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ყლაპვა** – *(საჭმლის ან ნერწყვის) პირიდან ორგანიზმში ჩაშვება*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და სხეულისკენ მიმართული თითებით, ხელი სხეულისკენ მოძრაობს რკალური ტრაექტორიით და ბოლო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ყმუილი** – *მგლის ან ძაღლის გაბმული ხმიანობა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მგელი“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული წრიულად მოხრილი თითებით, სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ყვირილი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია ცერები და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.

---



**ყოველდღე** – *ყოველ დღეს, ყოველდღიურად, მუდამდღე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ყოველი“ – მუშტად შეკრული თითებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დღე“ – ზევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია სინქრონულად ქვევით გადაადგილებული ხელისგულები, ცერები ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ყოველი** – *მრავალში თითოეულად ყველა, ყველაში თითოეული*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ყოველი“ – მუშტად შეკრული თითებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ფორმა – წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიიის მოძრაობა მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ყოფა-ცხოვრება** – *სიცოცხლე, არსებობა, ყოფნა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელები ეხება სხეულს. ჟესტი წარმოდგენილია წელის დონეზე.

---



**ყოფნა** – *არსებობა, ცხოვრება; სიცოცხლე*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, ხელი სხეულისკენ მოძრაობს რკალური ტრაექტორიით და ცერით ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ყოჩაღ** – *ბარაქალა! მოწონების, წახალისების გამომხატველი სიტყვა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ყოჩაღი** – *გულადი, გამბედავი, მამაცი, მოხერხებული*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მკერდზე მიდებული ხელისგულები გაშლილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ყრილობა** – *დიდი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელთა კრება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით და ცერებზე შემოხვეული საჩვენებელი თითებით ქვევით მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ყრუ** – *ადამიანი, რომელსაც სმენა არა აქვს, ყურში არ ესმის*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, საჩვენებელი თითი სახეს ეხება ყურთან, სრულდება რკალური ტრაექტორიიის მოძრაობა ქვევით და თითი ისევ ეხება სახეს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ყუთი** – *ოთხკუთხა სათავსი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ბოლოს ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, მარცხენა ხელი ზევითაა განთავსებული. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ყუმბარა** – *საარტილერიო ფეთქებადი ჭურვი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ტყვია“ – სხეულისკენ მიმართულია ტუჩებთან განთავსებული ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, საჩვენებელი თითი ეხება ტუჩებს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ფორმა – ზევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.

---



**ყური** – *ადამიანისა და ცხოველის სმენის ორგანო*

ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ყურზე მიდებულია ზევით აღმართული საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ყურადღება** – *გულისყური, ინტერესი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება ნიკაპს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ყურძენი** – *ვაზის ნაყოფი, მტევანი, ხილი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია და ზევით აღმართული, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია და მარცხნივ მიმართული, ბოლოო ფაზაში ერთმანეთს დაცილებულია გაშლილი და წრიულად მოხრილი მარჯვენა საჩვენებელი თითი და ცერი. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

# შ





**შაბათი** – *შვიდდღიანი კვირის მეექვსე დღე*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილია ცერი და ნეკი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**შადრევანი** – *წნევით ამონატყორცნი წყლის ნაკადი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება გაშლილი თითების წვერებს, ბოლო ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**შავი** – *ყველა ფერზე მუქი, ნახშირის, გიშრის ფერი*

ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით, ხელი ეხება თავს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**შარავანდედი** – *სხივი, შუქი, ბრწყინვალება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები, ერთმანეთთან ახლოს განთავსებულია ხელები, ცერები ეხება გაშლილი თითების წვერებს, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა ქვევით, ბოლო ფაზაში ურთიერთსაპირისპიროდ მიმართულია ფართოდ გაშლილი თითები ჩაკეცილი ცერებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შარვალი** – *წელსქვევით ჩასაცმელი ტოტებიანი გარეთა სამოსი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი თითები და ნეკები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ხელები ეხება ფეხებს, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია წელს ქვევით, ფეხის დონეზე.

---



**შარშან** – *გასულ წელს, ერთი წლის წინათ*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია ცერი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**შარშანწინ** – *შარშანდელი წლის წინა წელს*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული, გაშლილია ცერი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**შაქარი** – *ჭარხლის ან ლერწმის გადამუშავებით მიღებული ტკბილი საკვები ნივთიერება*

ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი საჩვენებელი თითი და ცერი ეხება მარჯვენა ლოყას, დანარჩენი თითები გაშლილია და ზევით აღმართული. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**შებოლვა** – *გაკვამლვა, გამურვა, შეჭვარტლვა, კვამლში გამოცხობა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია არათითი, შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შებრუნება** – *უკანვე დაბრუნება, მიბრუნება, შეტრიალება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი, წრიული მოძრაობა მარცხენა ხელის გარშემო. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შებრძოლება** – *ბრძოლის გამართვა, დაწყება, შეიარაღებული შეტაკება, შებმა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი თითებით ერთმანეთზე გადაჭდობილია ხელები, ორივე ხელით ერთად სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**შეგვიანება** – *ცოტა დაგვიანება, შეყოვნება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით, მარცხენა ხელის წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეგზავნა** – *შიგნით გაგზავნა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კაუზაციის ნიშანი“ / „ბრძანება“ – მუშტად შეკრული თითებით ქვევით მიმართულია ხელისგული, მომდევნო ფაზაში გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიდი“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეგნება** – *შინაარსში, არსში ჩაწვდომა, შეცნობა, გაგება, მიხვედრა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „გონება“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და შუბლზე მიდებულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ყველაფერი“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით და ჩაკეცილი ცერით, სრულდება მოძრაობა მარცხნივ და ბოლო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**შეგროვება** – *ერთად მოკრება, თავის მოყრა, მოქუჩება, შეკრება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოგროვება“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ და ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, სიტყვა-ჟესტი „გროვა“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით რკალური ტრაექტორიით სრულდება ქვევით მიმართული სინქრონული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შედარება** – *ერთმანეთთან შეპირისპირება მსგავსება-განსხვავების გამოსარკვევად*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელები ერთმანეთს ეხება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეერთება** – *ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება, გამთლიანება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გაერთიანება“ – ზევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ხელები მაჯაში ტრიალდება შიდა მიმართულებით, ბოლო ფაზაში ხელისგულები სხეულისკენაა მიმართული ქვევით დაშვებული თითებით, საჩვენებელი და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კავშირი“ – წინ მიმართულია მარცხენა ხელისგული, მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, ერთმანეთზე გადაჭდობილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით ერთად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შევიწროება** – *დავიწროება, სიგანის მოკლება, ვიწროდ ქცევა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით, შეტყუპებული და წრიულად მოხრილი თითებით გამოსახულია ღია წრე, მარჯვენა ხელი ზევითაა განთავსებული, ორივე ხელით ერთად სრულდება მოძრაობა ქვევით და ბოლო ფაზაში მუშტად შეკრული თითებით მარჯვენა ხელი ზემოდან ადევს იმავე კონფიგურაციის მარჯვენას. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შევსება** – *გავსება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარჯვენა ხელი წინ მოძრაობს და ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეთავაზება** – *თავაზით შემლევა, მიწოდება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „აზრი“ – ხელისგული მიმართულია მარცხნივ, თითები ერთად მოხრილია ზედა ფალანგებში და ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, ხელი თითების წვერებით ეხება საფეთქელს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „აღიარება“ / „გულიდან გადმოსვლა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ, ხელები ეხება მკერდს და ბოლო ფაზაში ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი, ფალანგებში ოდნავ მოხრილი, წინ მიმართული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**შეთვისება** – *შეთანხმებით ყოფნა, შეგუება, შეწყობა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ზნე“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი შუა და საჩვენებელი თითები ეხება შუბლს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მომდევნო ფაზაში მუშტად შეკრული თითებით ხელი ეხება ტუჩებს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უკვე“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, რკალური ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**შეკავება** – *შეჩერება, დაკავება, დაჭერა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „გონება“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და შუბლზე მიდებულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გამაგრება“ – მუშტად შეკრული თითებით სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება მოძრაობა სხეულისკენ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**შეკავშირება** – *კავშირის გაბმა, ახლო ურთიერთობის დამყარება, შეერთება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული, საჩვენებელი და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, ორივე ხელის საჩვენებელი და ცერი თითები ჯაჭვურად ებმის ერთმანეთს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეკაზმვა** – *საჭმლის შენელება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჭამა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან და ხელი ეხება ტუჩებს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეკაზმვა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება გაშლილი თითების წვერებს, ორივე ხელით სრულდება შიგნით მიმართული რკალური ტრაექტორიის ორჯერადი მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---

**შეკაზმვა** – *ცხენის სამგზავროდ მომზადება*



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცხენი“ – ხელისგულები მიმართულია ქვევით, მარჯვენა ხელის გაშლილი შუა და საჩვენებელი თითები გარდიგარდმო ადევს მარცხენა ხელის გაშლილ და წინ მიმართულ საჩვენებელ თითს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად ორივე ხელზე, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უნაგირი“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება გაშლილი და ქვევით დაშვებული თითების წვერებს, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეკვეცვა** – *სახელოების აკეცვა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები მიმართულია ქვევით, მარცხენა მაჯის ზევით განთავსებული მარჯვენა ცერი ეხება გაშლილი და ქვევით დაშვებული თითების წვერებს, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა მაჯას და სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით, ბოლო ფაზაში მუშტად შეკრულია მარჯვენა ხელის თითები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.

---



**შეკვეცა** – *შეჭრა, დამოკლება, შეკრეჭა, შემცირება, დაპატარავება*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილია ცერი და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ბოლო ფაზაში გაშლილი თითები ფალანგებში მოხრილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეკვრა** – *თოკით, თასმით, წნელით ერთი-მეორეზე დამაგრება, დაკავშირება, შეერთება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მუშტად შეკრული თითებით და ცერზე შემოხვეული საჩვენებელი თითით ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა მარცხენა საჩვენებელი თითის გარშემო. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეკრება** – *თავის მოყრა, შეგროვება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მხრების დონეზე განთავსებული ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით ორივე ხელით სინქრონულად სრულდება შიგნით მიმართული რკალური ტრაექტორიის მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**შეკრეჭვა** – *თმის შეჭრა, დამოკლება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია თავის დონეზე განთავსებული ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**შემაძრწუნებელი** – *ძრწოლის მომგვრელი, შემზარავი, საშინელი, საზარელი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით მიმართულია ქვევით, მარცხენა მოხრილ იდაყვზე განთავსებული მარჯვენა ხელი ზევით გადაადგილდება, ბოლო ფაზაში მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.



**შემდეგი** – *რისამე მომყოლი, მომდევნო, შემდგომი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.



**შემზადება** – *წინასწარი სამზადისი, თადარიგი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაწყება“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ, მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული, გაშლილი საჩვენებელი თითით მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ზევით მიემართება; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მომზადება“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები, ზევით აღმართულია ცერები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შემთხვევა** – *გაუთვალისწინებელი, მოულოდნელად მომხდარი ამბავი, ფაქტი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოულოდნელობა“ / „უცებ“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები სახის დონეზე ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ერთმანეთისკენ და მომდევნო ფაზაში წინ მიმართულია ხელისგულები იმავე კონფიგურაციით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უბედური შემთხვევა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, არათითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია და წინ მიმართული, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**შემოდგომა** – *სეზონი ზაფხულსა და ზამთარს შორის, სექტემბერი, ოქტომბერი და ნოემბერი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები ქვევითაა მიმართული, გაშლილი და წინ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, მარჯვენა ხელის გაშლილი თითები ეხება მარცხენა ხელის გაშლილ თითებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შემოკლება** – *შემცირება, შეკვეცა, დაცოტავება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება მოძრაობა ერთმანეთის მიმართულებით. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**შემოსავალი** – *მიღებული ფული ან მატერიალური ღირებულება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სარგებელი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოგება“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული წრიულად მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ, ხელი ოდნავ ეხება მარცხენა ხელისგულს და ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შემოსვლა** – *გარედან შიგნით, იქიდან აქეთ სვლა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, მარჯვნივ მიმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია წინ განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ერთად მოხრილი, სხეულისკენ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა სხეულისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შემოყვანა** – *გარედან შიგნით მოყვანა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით ქვევით მიმართულია ხელისგული, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შემოშვება** – *შემოსვლის საშუალების მიცემა, შემოსვლის ნების დართვა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თავისუფლება“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერები და საჩვენებელი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ, მომდევნო ფაზაში წინ მიმართულია ხელისგულები იმავე კონფიგურაციით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შემოსვლა“ – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, მარჯვნივ მიმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია წინ განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ერთად მოხრილი, სხეულისკენ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა სხეულისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**შემოწმება** – *აცკარგიანობის გასინჯვა, გარკვევა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები წინ და ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შემოხედვა** – *აქეთ მყოფისკენ, მოლაპარაკისაკენ მზერის მოპყრობა, მოხედვა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ და ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ და ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგული იმავე კონფიგურაციით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და სახის დონეზე.

---



**შემოხტომა** – *შიგნით ხტომით შემოსვლა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია ფალანგებში ოდნავ მოხრილი, ქვევით მიმართული შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შემსუბუქება** – *სიმძიმის მოკლება, გამსუბუქება, გამჩატება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დახმარება“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და გაშლილი ცერით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარცხნივ და ცერი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიმსუბუქე“ – ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შემუშავება** – *დამუშავება, მომზადება, დამზადება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სამუშაო“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეკაზმვა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება გაშლილი თითების წვერებს, ორივე ხელით სრულდება შიგნით მიმართული რკალური ტრაექტორიის ორჯერადი მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შემჩნევა** – *თვალის მოკვრა, ყურადღების მიქცევა, დანახვა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „თვალი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და თვალთან მიდებულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „(თვალით) დაჭერა“ – გაშლილი თითებით წინ მიმართულია ხელისგული, ბოლო ფაზაში მუშტად შეკრული თითებით ქვევით მიმართულია ხელისგული. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**შემცვლელი** – *მაგიერი, მონაცვლე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გადაქცევა“ / „გარდაქმნა“ – ერთმანეთისკენ მიმართული და ერთმანეთზე მიდებულია ხელისგულები, გაშლილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, საჩვენებელი თითებით სრულდება რკალური ტრაექტორიის მონაცვლეობითი, განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**შენაკადი** – *მდინარე, რომელიც სხვა მდინარეს ან ზღვას ერთვის*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ზღვა“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ტალღური ტრაექტორიის მოძრაობა წინ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მდინარე“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია ფალანგებში მოხრილი ცერი და საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, კლაკნილი ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შენახვა** – *1. რისამე სამომავლოდ ისე გადადება, რომ დაცული იყოს, დაცვა; 2. დაფარვა, გაუმჟღავნებლობა; 3. თავის ან სხვისი რჩენა, საზრდოობა, მოვლა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ და ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ერთად მოხრილი თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შენება** – *საშენი მასალისაგან რაიმე ნაგებობის კეთება, დადგმა, აგება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები მიმართულია ქვევით და ერთმანეთისკენ, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით, თითები ერთმანეთს მსუბუქად ეხება მოძრაობისას. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**შენელება** – *სიჩქარის, სისწრაფის მოკლება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნელი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, საჩვენებელი თითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნაზი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, არათითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია და წინ მიმართული, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე და ოდნავ ქვევით.

---



**შენობა** – *ნაგებობა, სახლი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „სახლი“ – გაშლილი ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული და საჩვენებელი თითების წვერები ერთმანეთს ეხება; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შენობა-ნაგებობა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით და ჩაკეცილი ცერით, სრულდება მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**შეპარვა** – *პარვით, მალულად, შეუმჩნევლად შესვლა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ჩუმად“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ტუჩებზე მიდებულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შესვლა“ – წინ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, წინ და ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ და მარჯვენა ხელი გაშლილი თითებით ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**შეპირება** – *სიტყვის, პირობის მიცემა; დაპირება, აღთქმა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები წინაა მიმართული, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ბოლო ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შერევა** – *ერთის მეორეში გარევა, ერთმანეთში არევა, შეზავება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით და ჩაკეცილი ცერებით, ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ერთმანეთზე გადაჭდობილი თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შერთვა** – *შეუღლება, დაქორწინება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი, ქვევით დაშვებული თითებით, მარჯვენა ხელის ცერი და საჩვენებელი თითები შემოჭდობილია მარცხენა არათითზე, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ და ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შერიგება** – *უმძრახად მყოფთაგან ერთმანეთისათვის ხმის გაცემა, დალაპარაკება; მოწინააღმდეგეთა ერთმანეთთან შეთანხმება, მორიგება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ, ბოლო ფაზაში ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია თითებით ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელისგულები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შერცხვენა** – *სირცხვილის განცდა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნამუსი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და სხეულისკენ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა სხეულისკენ და თითი ეხება ლოყას; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საყვედური“ / „გაკიცხვა“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელი ადევს მარცხენას, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება წინ მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი წინ და ზევით გადაადგილდება, მარცხენა – წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**შერცხვენილი** – *სამარცხვინო მდგომარეობაში ჩავარდნილი, დარცხვენილი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სირცხვილი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, მოხრილი თითების ზურგით ხელი ეხება ლოყას, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სირცხვილი“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, ცერები და საჩვენებელი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**შესაბამისი** – *შესატყვისი, შესაფერისი, სათანადო*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ერთმანეთისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შესავალი** – *1. საიდანაც შედიან, შესასვლელი; 2. დასაწყისი, წინასიტყვა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ, მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული, გაშლილი საჩვენებელი თითით მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ზევით მიემართება. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

---



**შესაკრები** – *ერთად შესაგროვებელი, თავმოსაყრელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „მიმატება“ – მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარცხენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილი და მარჯვნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, საჩვენებელი თითები ერთმანეთს ეხება პლიუსის ფორმით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ჯამი“ – ირიბ ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება მოძრაობა ერთმანეთისკენ და ბოლო ფაზაში ერთმანეთთან ახლოს განთავსებულია ხელები, ცერები ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შესამოწმებელი** – *გასასინჯი, დასადასტურებელი, გამოსარკვევი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შემოწმება“ – ხელისგულები წინ და ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უნდა“ – ზევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შესამჩნევი** – *თვალში მოსახვედრი, შესატყობი, დასანახავი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ, მომდევნო ფაზაში ფართოდ გაშლილი თითებით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.

---



**შესაძლებელი** – *მოსახერხებელი, დასაშვები*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით ქვევით მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შესაძლებლობა** – *შეძლება, ძალა, უნარი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით ქვევით მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით, ჯერ – მარჯვნივ, შემდეგ – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შესაჭმელი** – *შეჭმისთვის განკუთვნილი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჭამა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება ტუჩებს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბოლომდე“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი ქვევით ეშვება და ოდნავ ეხება მარცხენა ხელისგულს, ბოლო ფაზაში მარჯვენა ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**შესახებ** – *დამხმარე სიტყვა: თაობაზე, -ზე*

ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, ერთმანეთზე გადაჭდობილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---

**შესახლება** – *ჩასახლება*



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „სახლი“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული და გაშლილი თითების წვერები ერთმანეთს მსუბუქად ეხება; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩადება“ – წინ და მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მარჯვნივაა მიმართული, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ, ბოლო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი სრულდება მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**შესვლა** – *გარედან შიგნით მოქცევა, გარედან შიგნით სვლა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, მარჯვნივ მიმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შესრულება** – *დამთავრება, დასრულება, განხორციელება, გაკეთება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, გაშლილი და წინ მიმართული თითებით მარცხენა ხელისგული მიმართულია მარჯვნივ და ქვევით, იმავე კონფიგურაციით მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ და ზევით, მარცხენა ხელი წინ მოძრაობს და ეხება მარჯვენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შესუსტება** – *ძალ-ღონის შემცირება, სიძლიერის დაკარგვა, დასუსტება, დაუძლურება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სუსტი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შევიწროება“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში წრიულად მოხრილი თითებით გამოსახულია ღია წრე, ზევითაა განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა სხეულისკენ და ბოლო ფაზაში მუშტად შეკრული თითებით მარჯვენა ხელი ზემოდან ადევს იმავე კონფიგურაციის მარჯვენას, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შესწავლა** – *ცოდნის შეძენა, სწავლით რისამე შეთვისება, გაცნობა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სწავლა“ /“თავში ჩადება“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, საჩვენებელი და შუა თითების წვერები ეხება ცერის წვერს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი შუბლის წინ ასრულებს განმეორებად მოძრაობას მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბოლომდე“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი ქვევით ეშვება და ოდნავ ეხება მარცხენა ხელისგულს, ბოლო ფაზაში მარჯვენა ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**შეტანა** – *(განცხადების) მიტანა, მოთავსება*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით და ცერზე შემოხვეული საჩვენებელი თითით მარცხნივ მიმართულია ხელისგული, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეტანა** – *გარედან შიგნით მიტანა, მოთავსება, შეზიდვა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით და ცერზე შემოხვეული საჩვენებელი თითებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---





**შეტრიალება** – *შებრუნება, შექცევა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მარცხნივ მიმართულია ხელისგული, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარცხნივ და ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგული იმავე კონფიგურაციით. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---





**შეტყობინება** – *ცნობება, გაგებინება, თქმა, ამბის გადაცემა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილია შუბლთან მიტანილი საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით და ბოლო ფაზაში მარცხნივ მიმართული მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მხრებთანაა განთავსებული. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.

---



**შეუთავსებელი** – *შეუწყობელი, შეუთანხმებელი, შეუხამებელი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ერთმანეთისკენ, ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეუთანხმებელი** – *რაც არ არის შეთანხმებული, მოუგვარებელი, დაუდასტურებელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თანხმობა“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები, ზევით აღმართულია ცერები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**შეუკავებელი** – *რაც ვერ შეაკავეს, ვერ შეაჩერეს, შეუჩერებელი*

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „გონება“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და შუბლზე მიდებულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოთმენა“ – ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით მარცხნივაა მიმართული, ზევით მიმართული ცერი სხეულს ეხება მკერდთან და ხელი ქვევით მოძრაობს; ჟესტის ბოლო, მესამე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**შეურაცხყოფა** – *უპატიოდ, უხეშად, არასაკადრისად მოპყრობა, დამდაბლება, დამცირება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია ზევით, მარჯვენა ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით მიმართულია მარცხნივ, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ და ქვევით, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეუსვენებელი** – *მოუსვენებელი, დაუსვენებელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „სიკვდილი“ /„გარდაცვალება“ – მკერდზე მიდებული, მაჯებთან გადაჯვარედინებული ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით მიმართულია სხეულისკენ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

---



**შეუფასებელი** – *შეფასების გარეშე დარჩენილი, ძვირფასი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ვერ“ – ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილია ცერი და ნეკი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეფასება“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეუფერხებელი** – *შეუნელებელი, შეუჩერებელი, გამუდმებული, დაუბრკოლებელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეფერხება“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან და ხელი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეუცვლელი** – *ვისი ან რის შეცვლაც შეუძლებელია, უცვლელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ვერ“ – ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილია ცერი და ნეკი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გაცვლა“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, გაშლილი თითებით სრულდება პოზიციათა მონაცვლეობითი მოძრაობა და ბოლო ფაზაში ზევით მიმართულია ხელისგულები იმავე კონფიგურაციით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**შეუწყვეტელი** – *შეუჩერებელი, განუწყვეტელი, მუდმივი, გაბმული*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დამთავრება“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი ოდნავ ეხება მარცხენა ხელის გაშლილ თითებს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეფასება** – *რისამე ფასის, ღირებულების განსაზღვრა, ფასის დადება, დაფასება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფასი“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიცემა“ – მუშტად შეკრული თითებით და ცერზე შემოხვეული საჩვენებელი თითით მარცხნივ მიმართულია ხელისგული, სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეფერხება** – *ხელის შეშლა, დაბრკოლება, შეჩერება, შეზღუდვა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი  მოძრაობა წინ და უკან და ხელი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეფიქრიანება** – *საგონებელში ჩავარდნა, შეფიქრება, დაფიქრება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „გონება“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და შუბლზე მიდებულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უნდა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ცერი ეხება არათითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია და ზევით აღმართული, სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**შეფიცვა** – *ფიცის დადება, ფიცის მიცემა, ფიცით შეკვრა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები წინაა მიმართული, ცერები ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მომდევნო ფაზაში გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, გაშლილია ცერი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ბოლო ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შექმნა** – *გაჩენა, წარმოშობა, წარმოქმნა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაწყება“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ, მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული, გაშლილი საჩვენებელი თითით მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ზევით მიემართება; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეკაზმვა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითების წვერებს, ორივე ხელით სრულდება შიგნით მიმართული რკალური ტრაექტორიის ორჯერადი მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**შეღავათი** – *ვალდებულების შემცირება, შემსუბუქება, გაიოლება, შვება*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია და ზევით აღმართული, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეღობვა** – *ღობის გავლება, მოღობვა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები გაშლილი, ზევით აღმართული თითებით და ჩაკეცილი ნეკებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეყვარება** – *სიყვარულის გრძნობით გამსჭვალვა, ვისიმე ტრფობა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და მარჯვნივ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი ეხება მკერდს, სრულდება მოძრაობა ქვევით და ბოლო ფაზაში ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეშა** – *დაჭრილი, დახერხილი ან დაპობილი ხე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ხე“ – მარჯვენა ხელისგული სხეულისკენაა მიმართული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული, გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით ხელი ეხება მარჯვენა იდაყვს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შენთება“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართულია არათითი, შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**შეშინება** – *შიშის მოგვრა, დაფრთხობა, დაფეთება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შიში“ – სხეულისკენ და ზევით მიმართულია ხელისგული, შეტყუპებული და წრიულად მოხრილი თითებით ხელი ეხება მკერდს და ზევით მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაცინვა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია ნეკი და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**შეშინებული** – *შიშით მოცული, შიშით ატანილი; ძლიერ შემკრთალი, დამფრთხალი, დაფეთებული*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შიში“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, ერთმანეთთან შეტყუპებული და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით ხელი ეხება მკერდს, სრულდება განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უკვე“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---

**შეშლა** – *გაგიჟება, ჭკუიდან გადასვლა*



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „გონება“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და შუბლზე მიდებულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არევა“ – წინ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**შეშლა** – *დაბრკოლების შექმნა, შეფერხება, დაყოვნება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით, ხელი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეჩერება** – *დროებით მოძრაობის შეწყვეტა, გაჩერება, შეყოვნება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, იმავე კონფიგურაციით წინ მიმართული მარჯვენა ხელი განთავსებულია მარცხენა ხელის მტევანზე. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეცდომა** – *უზუსტობა, უსწორობა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული, გაშლილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, გაშლილი თითებით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**შეცვლა** – *ერთის სხვა რამით შენაცვლება, გამოცვლა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართული და ერთმანეთზე მიდებულია ხელისგულები, გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, საჩვენებელი თითებით სრულდება რკალური ტრაექტორიის მონაცვლეობითი, განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---

**შეციება** – *სიცივის განცდა*

/



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ზამთარი“ „სიცივე“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ორივე ხელი სინქრონულად ასრულებს ნახევრწრის ტრაექტორიულ მოძრაობას და მომდევნო ფაზაში ხელისგულები ზევითაა მიმართული; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ანთება“ – ზევით მიმართულია განზე გაწეული ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით სხეულისკენ და ხელები ეხება სხეულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე და ოდნავ ქვევით.

---



**შემახილი** – *ძახილი, შეძახება, მიძახება*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია ცერი და საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**შეძლება** – *შესაძლებლობა; უნარი, ძალ-ღონე*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით ქვევით მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---





**შეწვა** – *ცეცხლზე წვით საჭმელად რამის მომზადება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ბოლო ფაზაში იმავე კონფიგურაციით ქვევით მიმართული მარჯვენა ხელისგული ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---





**შეწუხება** – *1. თავის შეწყენა, დასაქმება; 2. გულის შეღონება, გულის წასვლა, გრძნობის დაკარგვა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, ფართოდ გაშლილი თითებით ხელი ეხება მკერდს, ბოლო ფაზაში მუშტად შეკრული თითებით მარჯვნივ მიმართულია ხელისგული. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეწყდომა** – *შეჩერება, შეწყვეტა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები, მარცხენა ხელზე გაშლილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელის გაშლილი შუა და საჩვენებელი თითები მაკრატლისებურად ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეჭმა** – *დაღეჭვა და გადაყლაპვა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი და სხეულისკენ მიმართული თითების წვერებს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან და ხელი ეხება ტუჩებს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**შეხედვა** – *მზერის მიპყრობა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.

---



**შეხვედრა** – *1. პირისპირ შეყრა, ნახვა, წაწყდომა; 2. შეგებება, მიგებება; დახვედრა; მიღება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება დაახლოებითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარცხნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**შეხვევა** – *გახვევა, გამოხვევა, შებურვა, შეფუთვნა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა მარცხენა ხელის თითების ირგვლივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეხვევა** – *გეზის, მიმართულების შეცვლა, გადახვევა, გადასვლა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარცხენა ხელისგულზე განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შეხვეწნა** – *მუდარით თხოვნა, ხვეწნა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „მუდარა“ – გაშლილი და ზევით აღმართული თითებით ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთზე მიდებული ხელისგულები; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ხვეწნა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ეხება ყელს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და ყელის დონეზე.

---



**შეხსენება** – *ვინმესთვის დავიწყებულის მოგონება, გახსენება*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ და ხელი ეხება თავს, მომდევნო ფაზაში წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზედა ფალანგებში მოხრილია წინ მიმართული თითები, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.

---



**შეჯამება** – *1. ჯამის გამოყვანა, შეკრება;*
*2. დასკვნის გაკეთება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ირიბ ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება დაახლოებითი მოძრაობა და ბოლო ფაზაში ერთმანეთთან ახლოს მიტანილია ხელისგულები, ცერები ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შველა** – *დახმარება, შემწეობა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დახმარება" – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და გაშლილი ცერით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ზევით და მარცხნივ, მარჯვენა ცერი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დახსნა" – ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ზევით და ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**შვიდი** – *რიცხვი 7, ხუთი და ორი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული  გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, გაშლილი ცერი და საჩვენებელი თითით მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შვილი** – *ადამიანი თავისი მშობლების მიმართ*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ეხება მკერდს და ქვევით ეშვება რკალური ტრაექტორიით. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

---



**შვილიშვილი** – *შვილის შვილი, შთამომავალი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ეხება მკერდს და ქვევით ეშვება რკალური ტრაექტორიით ორჯერ. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

---



**შთაბეჭდილება** – *ადამიანის შემეცნებაში შეგრძნებების გზით მიღებული გარეგამღიზიანებლის კვალი, გავლენა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „აზრი“ – ხელისგული მიმართულია მარცხნივ, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს და ხელი ეხება საფეთქელს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დარჩენა“ – ზევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ბოლო ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ქვევით დაშვებული თითებით. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე,

---



**შთამომავლობა** – *შთამომავლები, მემკვიდრეობით მიღებული გენეტიკა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შვილი“ – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ეხება მკერდს და ქვევით ეშვება რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თაობა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შიგნიდან** – *შიგნითა მხრიდან*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შიგნით“ – წინ და მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მარჯვნივაა მიმართული, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „-დან“ – ზევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა სხეულისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შიგნით** – *შიგა მხარეს, შიგ*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ და მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მარჯვნივაა მიმართული, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

---



**შიმშილი** – *უჭმელობით გამოწვეული შემაწუხებელი გრძნობა, ჭამის მოთხოვნილება, სიყმილი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები სხეულისკენაა მიმართული გაშლილი და ფალანგებში მოხრილი, სხეულისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება მოძრაობა სხეულისკენ და ხელები ეხება მუცელს. ჟესტი წარმოდგენილია მუცლის დონეზე.

---



**შინ** – *სახლში*

ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური, იკონური ჟესტი, გაშლილი ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული და თითების წვერებით ხელები ერთმანეთს ეხება. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**შინაარსი** – *შინაგანი არსი, რაობა, დედაარსი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „აზრი“ – ხელისგული მიმართულია მარცხნივ, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს და ხელი ეხება საფეთქელს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შიგნით“ – წინ და მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მარჯვნივაა მიმართული, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**შინაგანი** – *შიგნით არსებული, შიგნითა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით მარჯვნივაა მიმართული, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ბოლოს ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შინაური** – *სახლის, ოჯახის წევრი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „სახლი“ – გაშლილი ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული და თითების წვერებით ხელები ერთმანეთს ეხება; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შინაგანი“ – ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით მარჯვნივაა მიმართული, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ბოლო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**შიში** – *მოსალოდნელი საფრთხის განცდით გამოწვეული წუხილი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, ერთმანეთთან შეტყუპებული და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით ხელი ეხება მკერდს, სრულდება განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შოვნა** – *მოპოვება, შეძენა, მიგნება, მოხელთება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული წრიულად მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ, ხელი ოდნავ ეხება მარცხენა ხელისგულს და ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შოთი** – *გრძელი თონის პური*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „(პურის) ცხობა“ – მარჯვნივ და წინ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „(შოთი პურის) ფორმა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია ცერები და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ზევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ზევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ზევით, ბოლო ფაზაში ცერები ეხება საჩვენებელი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შორს** – *დიდ მანძილზე, დაშორებით*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შრომა** – *ადამიანის მიზანშეწონილი ფიზიკური თუ გონებრივი მოქმედება, გარჯა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული შუა და საჩვენებელი თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელი ზევითაა განთავსებული, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით, ხელები ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შუა** – *ორი წერტილიდან თანაბარი მანძილით დაშორებული*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით და ქვევით ჩაწეული შუა თითით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და შუა თითით ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შუაზე** – *თანაბარად გაყოფილი, შუაზე გაყოფილი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შუბლი** – *ადამიანის ან ცხოველის სახის ზედა, თვალებს ზევითა ნაწილი*

ერთხელიანი, დინამიკური, მითითებითი ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია ცერი და საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი ეხება შუბლს, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შური** – *წუხილი, სინანული სხვისი სიკეთის გამო*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები და ცერები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ხელები ეხება მკერდს, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელები ეხება მკერდს, ბოლო ფაზაში ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითები და ხელები ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შურისძიება** – *მიყენებული შეურაცხყოფის, დამცირების, მწუხარების ან ვნებისათვის სამაგიეროს გადახდა, შურისგება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შური" – ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები და ცერები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ხელები ეხება მკერდს, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით, ბოლო ფაზაში ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითები და ხელები ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სამაგიეროს გადახდა" – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და გაშლილი თითებით ხელები ერთმანეთს ეხება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შუქი** – *თვალის მიერ აღქმული სხივური ენერგია, რითიც ირგვლივ მყოფი საგნები ხილული ხდება, სინათლე*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება ფალანგებში მოხრილი თითების წვერებს, ბოლო ფაზაში ფართოდ გაშლილია თითები. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**შუქნიშანი** – *სასიგნალო ელექტროფარანი სამი ფერის (მწვანე, ყვითელი და წითელი) მინით, რომელიც გამოიყენება ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის სარეგულაციოდ*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია სახის გასწვრივ განთავსებული ხელისგული, ცერი ეხება ფალანგებში მოხრილი თითების წვერებს, სრულდება სამჯერადი მოძრაობა სხეულისკენ, ბოლო ფაზაში ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართულია თითები. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.

---



**შფოთი** – *ალიაქოთი, არეულობა, აურზაური, ჩხუბი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „გული“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით და ქვევით ჩაწეული შუა თითით, ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნერვიულობა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი, წრიული მოძრაობა და ხელები ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**შხამი** – *საწამლავი ნივთიერება, გესლი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წამალი“ – ქვევით მიმართულია ტუჩების წინ განთავსებული ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, გაშლილი თითებით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



# ჩ



**ჩაბარება** – *შესანახად ან მოსავლელად მიცემა, მიბარება, მინდობა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება მოხრილი თითების წვერებს, ორივე ხელი წინ გადაადგილდება სინქრონულად და ბოლო ფაზაში თითები გაშლილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩაბნელება** – *სინათლის ჩაქრობა სადმე, რამეში*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, ბოლო ფაზაში თითები მოხრილია ფალანგებში. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ჩაგდება** – *იძულებით რამეში მოქცევა, შიგნით მოთავსება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება მოხრილი თითების წვერებს, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა წინ და ბოლო ფაზაში ფალანგებში მოხრილი და წინ მიმართულია მარჯვენა ხელის თითები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩადგმა** – *რამეში დადგმა, ჩაყენება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული გაშლილი და წრიულად მოხრილი თითებით, ზევით აღმართული ცერებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩადება** – *რამეში, რისამე სიღრმეში დადება, მოთავსება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი თითების წვერებს, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩაი** – *მარადმწვანე ბუჩქი, რომლისგანაც ამზადებენ კვების პროდუქტს და იყენებენ ცხელი სასმელის დასამზადებლად*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ და ქვევით მიმართულია პირის წინ განთავსებული ხელისგული, ცერი ეხება შუა და საჩვენებელი თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**ჩაიდანი** – *წყლის ასადუღებელი ან ჩაის დასაყენებელი ლითონის ან ფაიფურის ჭურჭელი, რომელსაც სითხის გადმოსასხმელად ტუჩიანი მილი აქვს*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩაი“ – მარცხნივ და ქვევით მიმართულია პირის წინ განთავსებული ხელისგული, ცერი ეხება შუა და საჩვენებელი თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ, ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ფორმა – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილია ცერი და ნეკი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ჩალაგება** – *ჩაწყობა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება გაშლილი და ზედა ფალანგებში მოხრილი თითების წვერებს, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩამოვარდნა** – *ზევიდან გადმოშვება და დავარდნა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია თავის დონეზე განთავსებული ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილია წინ მიმართული შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით, მომდევნო ფაზაში ზევით მიმართულია ხელისგული იმავე კონფიგურაციით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ჩამოთვლა** – *სათითაოდ დასახელება, მოთვლა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, მომდევნო ფაზაში მარჯვენა ხელისგული ქვევით მიემართება და გაშლილი საჩვენებელი თითით ხდება მარცხენა ხელის თითების თანამიმდევრული მოკეცვა: ჯერ მარჯვენა საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა ნეკს, მერე არათითს, შემდეგ შუა თითს და ბოლოს საჩვენებელ თითს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩამონგრევა** – *ჩამოქცევა, ჩამოშლა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით და ბოლო ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ქვევით დაშვებული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---




**ჩამორიგება** – *სათითაოდ ყველასათვის მიცემა, დარიგება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგულზე განთავსებული მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით სამი მიმართულებით: მარცხნივ, პირდაპირ და მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩამოსვლა** – *ზემოდან ქვემოთ გადმონაცვლება*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ცერზე შემოხვეული საჩვენებელი თითით, სრულდება ირიბი ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



**ჩამოტანა** – *ზევიდან ან შორიდან მოტანა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ და სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით და ცერებზე შემოხვეული საჩვენებელი თითებით, ორივე ხელით სრულდება ირიბი ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა ქვევით და მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ჩამოყვანა** – *ქვევით ან შორიდან მოყვანა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგულის ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული, მარჯვენა ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს და ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით ერთად სრულდება ირიბი ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



**ჩამოცვენა** – *ქვევით ვარდნა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელის თითების რხევით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ჩამოწერა** – *ერთიმეორის მიყოლებით დაწერა, წერილობით ჩამოთვლა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგულზე განთავსებული მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და კლაკნილი ტრაექტორიით მოძრაობს ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩამოჯდომა** – *რისამე კიდეზე დაჯდომა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია ქვევით მიმართული შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ და ხელი გაშლილი თითებით ეხება მარცხენა ხელისგულს, მომდევნო ფაზაში წარმოდგენილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ფორმა – ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩამჩა** – *დიდი, ღრმა კოვზი ქვაბიდან წვნიანის ამოსაღებად*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ქვევით და სხეულისკენ მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ცერზე შემოხვეული საჩვენებელი თითით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩანაწერი** – *რაც ჩაწერეს ან ჩაიწერა, ჩაწერილი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წერა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგულზე განთავსებული მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩანიშვნა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩანჩქერი** – *წყლის ნაკადი, რომელიც ციცაბოზე გადმოდის*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის სამჯერადი მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ჩართვა** – *1. კვების წყაროსთან დაკავშირება; 2. ჩამატება განსაზღვრულ ადგილზე*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარცხნივ და ხელი გაშლილი თითებით ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩარიცხვა** – *ვისიმე ანგარიშზე შეტანა (თანხისა)*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფული“ – ზევით მიმართულია ხელისგული, ცერი განმეორებადი მოძრაობით ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩარიცხვა“ / „ჩადება“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება ფალანგებში მოხრილი თითების წვერებს; მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა წინ, ბოლო ფაზაში წინ მიმართულია ფალანგებში მოხრილი თითები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩარჩო** – *შეკრული ოთხკუთხედი (ან სხვა ფორმის) საგანი, რომელშიც მინას ან სურათს ათავსებენ*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია ცერები და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ჯერ განსვლითი, შემდეგ კი ქვევით მიმართული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ჩასვლა** – ზემოდან ქვემოთ გადანაცვლება

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია წინ მიმართული შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრული მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ჩატანა** – *ზევიდან ქვევით რისამე გადანაცვლება, ჩაზიდვა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტებად შეკრული თითებით და ცერებზე შემოხვეული საჩვენებელი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ირიბი ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.





**ჩაქაფული** – *ცხვრის ხორცის კერძი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი ზედ ადევს მარცხენას, ბოლო ფაზაში მარცხენა ხელი ადევს მარჯვენას. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ჩაქუჩი** – *ხისტარიანი დასარტყმელა რკინის იარაღი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩაყოლა** – *ვინმესთან (რამესთან) ერთად ჩასვლა, ჩადევნება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები მუშტებად შეკრული თითებით და ზევით აღმართული ცერებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ირიბი ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩაყოფა** – *ჩადება, ჩაშვება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, წინ მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩაცმა** – *ტანსაცმლით შემოსვა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება მოხრილი თითების წვერებს, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი წრიული მოძრაობა და ხელები ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩემი** – *პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი მხოლობითი რიცხვისა, რაც მე მაქვს ან ვინც მე მყავს, რაც ან ვინც მეკუთვნის*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩვენება** – *დანახვება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ნახვა" – სხეულისკენ მიმართულია სახის წინ განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩვენება" – მარჯვნივ და ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, სხეულისკენ და ზევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ჩვენი** – *პირველი პირის მრავლობითი რიცხვის კუთვნილებითი ნაცვალსახელი: რაც ჩვენ გვაქვს ან ვინც ჩვენ გვყავს, რაც ან ვინც ჩვენ გვეკუთვნის*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩემი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავლობითობის ნიშანი“ – წინ მიმართულია მარცხენა მხართან განთავსებული ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ და ბოლო ფაზაში ცერი ეხება მოხრილი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩვეულებრივი** – *რაც ან ვინც არ გამოირჩევა სხვებისგან; ისეთი, როგორიც ბევრი სხვაა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ჩივილი** – *მდურვა, სამდურავის, საყვედურის ლაპარაკი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ჩინებული** – *შესანიშნავი, დიდებული, საუცხოო*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები, ცერები ეხება საჩვენებელი თითების წვერებს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება რკალური ტრაექტორიის  განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩინეთი** – *ქვეყანა აზიაში*

ერთხელიანი,  დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება შუა და საჩვენებელი თითების წვერებს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება შუბლს საფეთქელთან. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ჩირქი** – *მყრალი სუნის მქონე მოსქო, მოყვითალო სითხე, რომელიც გამოიყოფა ცხოველური ორგანიზმის სისხლისა და ქსოვილების ელემენტთა დაშლის შედეგად მიკრობების ზემოქმედებით;  ბალღამი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ყვითელი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია ცერები და ნეკები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან, ხელები ნეკებით ეხება ერთმანეთს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაგროვილი“ – ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, ქვევით მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩიტი** – *პატარა გარეული ფრინველი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ნისკარტი“ – სხეულისკენ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართული ნეკი და საჩვენებელი თითი ეხება სახეს ტუჩებთან, დანარჩენი თითები ჩაკეცილია; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „ფრენა“ – ქვევით მიმართულია განზე გაწეული ხელისგულები გაშლილი თითებით და ჩაკეცილი ცერებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ჩიჩინი** – *ერთისა და იმავეს დაჟინებით ლაპარაკი რისამე ჩაგონების მიზნით*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის ორჯერადი, სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ჩონჩხი** – *ძვლების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ხერხემლიანთა სხეულის მყარ საფუძველს*

ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია ცერი, შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩოჩქოლი** – *შეშფოთებით, აღელვებით გამოწვეული მოძრაობა და ყრუ ხმაური*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტვა-ჟესტი „ხმაური“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ყურებთან განთავსებული ხელისგულები, შუა თითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხალხმრავლობა“ / „ბაზარი“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ჩოხა** – *მამაკაცის ნაციონალური სამოსელი, იცვამენ ახალუხს ზევიდან*

ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი ქვემოთ დაშვებული თითებით, მკერდის ზედა დონეზე ცერები ეხება სხეულს, იდაყვები განზეა გაწეული. ჟესტი სრულდება მხრების დონეზე.

---



**ჩუმი** – *ხმადაბალი, დაბალი ხმიერების მქონე, წყნარი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „სიჩუმე“– მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ტუჩზე მიდებულია ზევით აღმართული საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიწყნარე“ – ქვევით მიმართულია ერთად განთავსებული ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში მოხრილი, წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ჩურჩული** – *უხმოდ, მეტისმეტად ხმადაბლა, ჩუმად ლაპარაკი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ყურში თქმა“ / „ჩურჩული“ – მარცხნივ მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული, გაშლილია ცერი, შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ცერი განმეორებადი მოძრაობით ეხება გაშლილი თითების წვერებს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „სიჩუმე“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ტუჩზე მიდებულია ზევით აღმართული საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ჩურჩხელა** – *თათარაში ამოვლებული ნიგვზის, თხილის ან ჩამიჩის ასხმულა*

ერთხელიანი, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, წინ მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, მომდევნო ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩქარა** – *სწრაფად, მცირე დროის განმავლობაში*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, მარჯვენა საჩვენებელი თითი ზემოდან ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩქარი** – *სწრაფი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ზევით აღმართული ცერებით, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით, ხელები ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩქმეტა** – *სხეულზე ხორცის მოწეწკვა თითების მოჭერით, პწკენა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და  ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარჯვნივ, ცერი ეხება საჩვენებელი თითის შუა ნაწილს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებითი მოძრაობა ზევით.  ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩხვლეტა** – *წვეტიანი რისამე ჩარჭობა, გაყრა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი საჩვენებელი თითით ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს, შემდეგ სრულდება მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩხრეკა** – *ქექვა, შემოწმება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩაყოფა“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, წინ მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულაი მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ანალიზი“ / „შემოწმება“ – ხელისგულები წინ და ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჩხუბი** – *უსიამოვნო დავიდარაბა, აყალმაყალი, აურზაური, შეხლა-შემოხლა, ალიაქოთი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია ზევით აღმართული საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, საპირისპირო მოძრაობა: ხან განსვლითი, ხან დაახლოებითი ტრაექტორიით. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---





**ცა** – *დედამიწის ზემოთ არსებული სივრცე, ზეცა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ლურჯი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი და წრიულად მოხრილია საჩვენებელი თითი და ცერი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ზეცა“ – წინ მიმართულია თავთან განთავსებული ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ცალკე** – *სხვებისაგან მოშორებით, განკერძოებით, განცალკევებით*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია სხეულისკენ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ, მარჯვენა ხელი ზედ ადევს მარცხენას და რკალური ტრაექტორიით მოძრაობს მარჯვნივ და ზევით. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

---



**ცარცი** – *რბილი, თეთრი კირქვა, რომელიც გამოიყენება დაფაზე საწერად ან შესათეთრებლად*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თეთრი“ – ხელისგული სხეულისკენაა მიმართული, ცერით და საჩვენებელი თითით იკვრება წრე და ხელი ეხება მკერდს, დანარჩენი თითები გაშლილია, მომდევნო ფაზაში გაშლილია თითები და ქვევით ჩაწეულია შუათითი; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „წერა“ – წინ მიმართულია ხელისგული, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება კლაკნილი ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ცახცახი** – *ძლიერი კანკალი, ძაგძაგი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ყინვა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კბილის კბილზე ცემინება“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებითი, დაახლოებითი მოძრაობა რკალური ტრაექტორიით და ხელები ერთმანეთს ეხება თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცდა** – *მოქმედება რისამე შესასრულებლად, მცდელობა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური  სიტყვა-ჟესტი „ცდა“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული ცერით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ცერი ეხება ნიკაპს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ანალიზი“ / „შემოწმება“ – ხელისგულები წინ და ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ცეკვა** – *ხელოვნების დარგი, მუსიკის გარკვეული ტემპით და ფორმის პლასტიკით მოძრაობა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა, ხელები მაჯაში ტრიალებს. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**ცელქი** – *მხიარული და მოძრავი, ანცი, დაუდეგარი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, გაშლილი თითები ეხება სახეს ცხვირთან, მომდევნო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**ცემა** – *რტყმა, დაკვრა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, მარცხენაზე განთავსებული მარჯვენა ხელი ასრულებს რკალური ტრაექტორიის მოძრაობას მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.



**ცემენტი** – *ფხვიერი საშენი მასალა, მინერალური ნივთიერება, რომელსაც წყალში ზელენ და იყენებენ ბეტონის ან დუღაბის დასამზადებლად*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფხვნილი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერები განმეორებადი მოძრაობით ეხება გაშლილი და ქვევით მიმართული თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ცენტრი** – *წერტილი, რომელიც თანაბარი მანძილით არის დაცილებული წრეხაზის ყოველ წერტილს, რისამე შუაგული, შუა ადგილი, შუა ნაწილი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული ქვევითაა მიმართული, გაშლილი და წინ მიმართულია თითები, ქვევით ჩაწეულია შუათითი, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით ზევითაა მიმართული, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი შუათითით ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცერი** – *ადამიანის ხელისა და ფეხის პირველი, ყველაზე მსხვილი თითი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, მითითებითი ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია ცერი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ქვევით მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა საჩვენებელი თითი მიმართულია მარცხენა ცერისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცეცხლი** – *ალიანი მხურვალება, რაც წვის პროცესში, დანთების შედეგად ჩნდება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, ნეკის და ცერის წვერები ერთმანეთს ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცვალებადი** – *რაც იცვლება, რასაც ცვლილება ახასიათებს*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მხრების დონეზე განთავსებული, წინ წამოწეული ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ბოლო ფაზაში ზევით მიმართულია მკერდთან განთავსებული ხელისგულები იმავე კონფიგურაციით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ცვარი** – *ნამი, ტენიანი ჰაერის გაცივების შედეგად საგანთა ზედაპირზე გაჩენილი წვრილი წვეთები*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ბოლო ფაზაში ცერები ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცვლა** – *შეცვლა, გამოცვლა, შენაცვლება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ბოლო ფაზაში ზევით მიმართულია ხელისგულები იმავე კონფიგურაციით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცვლილება** – *სხვაგვარად ქცევა, გარდაქმნა, გადასხვაფერება, შეცვლა, ცვალებადობა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, გაშლილი თითებით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული, განმეორებითი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ციგა** – *ხელით სატარებელი ან ბავშვთა სასრიალო პატარა მარხილი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგულები, წინ მიმართულია ფალანგებში მოხრილი ცერი და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცივი** – *დაბალი ტემპერატურის მქონე, სითბოს მოკლებული*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ნახევრწრის ტრაექტორიის მოძრაობა და ბოლო ფაზაში ხელისგულები ზევითაა მიმართული. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცისფერი** – *რაც ფერით ცას მოგვაგონებს, ღია ლურჯი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ლურჯი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი და წრიულად მოხრილია საჩვენებელი თითი და ცერი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩამოშლა“ – წინ მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება კლაკნილი ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.

---



**ციხე** – *საპატიმრო, საპყრობილე, სატუსაღო*

ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური, იკონური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, ფართოდ გაშლილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, მარცხენა ხელის თითები ზედ ადევს მარჯვენა ხელის გაშლილ თითებს ოთხკუთხედის ფორმით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცნობა** – *ოფიციალური საბუთი რისამე დასადასტურებლად, მოწმობა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება შუა და საჩვენებელი თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელის გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით, ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცნობისმოყვარე** – *ვისაც ყველაფრის შეტყობის სურვილი აქვს*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საინტერესო“ – წარმოდგენილია ძველი ანბანის ც დაქტილით: წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია ნეკი და არათითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩაყოფა“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, წინ მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცოდვა** – *დანაშაულის ჩადენა ღვთის წინაშე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეცდომა“ – ქვევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული, გაშლილი და მარჯვნივ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, გაშლილი თითებით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სინანული“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული  თითებით და სხეულისკენ მიმართული ცერებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან და ცერები ეხება მკერდს.  ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ცოდვილი** – *ვისაც ცოდვა აქვს, ვინც შესცოდა, ცოდვის ჩამდენი, ცოდვიანი*

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეცდომა“ – ქვევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული, გაშლილი და მარჯვნივ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, გაშლილი თითებით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სინანული“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით და სხეულისკენ მიმართული ცერებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან და ცერები ეხება მკერდს; ჟესტის მესამე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ცოლი** – *ქალი იმ კაცის მიმართ, რომელთანაც ქორწინებით არის დაკავშირებული*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქალი“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ჩაკეცილი ცერით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება ნიკაპს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბეჭედი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა არათითს ბეჭდის ადგილას და მარცხნივ, ზევით მოძრაობს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ცოლ-შვილი** – *ჯალაბობა, სახლეული, ოჯახი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბეჭედი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა არათითს ბეჭდის ადგილას და მარცხნივ, ზევით მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შვილი“ – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ეხება მკერდს და ქვევით ეშვება რკალური ტრაექტორიით. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

---



**ცომი** – *წყალში ან რძეში მოზელილი ფქვილი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით მიმართულია ქვევით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცოტა** – *მცირე რაოდენობა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართული საჩვენებელი თითის წვერი განმეორებითი მოძრაობით ეხება ცერს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცოფი** – *მძიმე, გადამდები დაავადება ცხოველებისა და ადამიანებისა, გადადის კბენით და ნერწყვით, დაავადებულს ახასიათებს წყლის შიში, ძლიერი აღგზნება, სასუნთქი ორგანოების დამბლა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცხოველი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ზევით აღმართული ცერებით, ხელები ეხება მკერდს და ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „გადადება“ / „გადამდები“ – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული, წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, ერთმანეთზე გადაჭდობილია გაშლილი და ფალანგებში მოხრილი საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცოცვა** – *მუცლით ხოხვა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება სპირალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია წელის დონეზე.

---



**ცოცხალი** – *სიცოცხლის მქონე*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელები ეხება სხეულს. ჟესტი წარმოდგენილია წელის დონეზე.

---



**ცრემლი** – *თვალიდან გამონადენი სითხე, რომელსაც გამოყოფს საცრემლე ჯირკვლები*

ერთხელიანი, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია ლოყაზე მიდებული საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ცრუ** – *ვინც სიცრუეს ლაპარაკობს, ტყუის, მატყუარა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცრუ** – *მატყუარა, ვინც ცრუობს*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, მარჯვენა ხელი ზედ ადევს მარცხენას, წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი და ნეკი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცუდი** – *უარყოფითი თვისებების მქონე, უვარგისი, უხეირო*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია წინ, თითები შეკრულია მუშტად, ქვევით მიმართულია გაშლილი ცერი, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცული** – *ხის ტარზე წამოცმული მჭრელპირიანი რკინის იარაღი ხის საჩეხად, ნაჯახი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ცუღლუტი** – *მატყუარა, თაღლითი, უქნარა, მოუსვენარი, დაუდეგარი, ეშმაკუნა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ეშმაკი“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, საჩვენებელი და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია და აღმართულია ზევით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება ლოყას; ჟესტის მეორე ნაწილია სიტყვა-ჟესტი „ძრომიალა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მოძრაობა სრულდება წინ კლაკნილი ტრაექტორიით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და წელის დონეზე.



**ცხადად** – *აშკარად*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანახვა“ – სხეულისკენ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიცხადე“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**ცხარე** – *მეტად მხურვალე, დამწველი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მწარე“ – სხეულისკენ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი თითების რხევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მაგრად“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ცხელი** – *მაღალი ტემპერატურის მქონე, მხურვალე*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ და ბოლო ფაზაში წინ მიმართულია ხელისგული იმავე კონფიგურაციით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.

---



**ცხენი** – *დიდი ტანის ჩლიქგაუყოფელი ცხოველი, რომელსაც იყენებენ შესაჯდომად, შესაბმელად და ბარგის საზიდად*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები მიმართულია ქვევით, მარჯვენა ხელის გაშლილი და ქვევით მიმართული შუა და საჩვენებელი თითები გარდიგარდმო ადევს მარცხენა ხელის გაშლილ და წინ მიმართულ საჩვენებელ თითს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია ორივე ხელზე, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცხვარი** – *წვრილფეხა რქიანი ცხოველი, აშენებენ მატყლის, ხორცისა და რძისთვის*

ორხელიანი, დინამიკური, იკონური ჟესტი, ხელისგულები მიმართულია ქვევით, გაშლილი და თავისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებითი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ცხვირი** – *ადამიანისა და პირუტყვის ყნოსვის ორგანო, ნესტოებიანი შემაღლება სახეზე, თვალებს ქვემოთ*

ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია ცხვირზე მიდებული საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ცხვირსახოცი** – *თხელი ქსოვილის პატარა ოთხკუთხედი ნაჭერი, რომელიც იხმარება ცხვირის მოსაწმენდად*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი საჩვენებელი თითი მიმართულია ცხვირისკენ, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება ორჯერადი მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ცხიმი** – *ქონი, ზეთი, ორგანული ნივთიერება, რომელიც წყალში არ იხსნება*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია წინ, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ცხოველი** – *ცოცხალი არსება, სულდგმული*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცხოველი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ზევით აღმართული ცერებით ხელები ეხება მკერდს და სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დათვი“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი, ქვევით დაშვებული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცხოვრება** – *არსებობა, სიცოცხლე*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელები ეხება სხეულს. ჟესტი წარმოდგენილია წელის დონეზე.

---



**ცხრა** – *რიცხვი 9, სამჯერ სამი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური ჟესტი, წინ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილია შუა, ნეკი, არათითი და საჩვენებელი თითები, ცერი ჩაკეცილია, გაშლილი თითებით მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ცხრილი** – *გარკვეული წესით სვეტებად ჩამოწერილი რისამე ჩამოთვლა ან განაწესი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „რიცხვი“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი საჩვენებელი და ცერი თითები განმეორებადი მოძრაობით ეხება ერთმანეთს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გრაფიკი“ – წინ და მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, ხელისგულები ერთმანეთთანაა განთავსებული, მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს და სამგან ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.

---

# ძ





**ძაზვა** – *1.ჭიმვა, ძაზვა; 2. ვოლტაჟი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დენი“ – ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით წინ მიმართულია მარცხენა ხელისგული, ასევე წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სადენი“ – ირიბ ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები, საჩვენებელი თითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია,ხელები ერთმანეთს ეხება, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ზევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ძაზრი** – *კონუსის მოყვანილობის თავფართო მოკლე მილი, რომელიც იხმარება პირვიწრო ჭურჭელში სითხის ჩასასხმელად*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული ფალანგებში წრიულად მოხრილი თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელზე განთავსებული მარჯვენა ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ზევით, ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელის თითები გაშლილია და მარცხნივ მიმართული. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ძალა** – *კუნთების ენერგია, რომელიც წარმოადგენს მოძრაობისა და მუშაობის წყაროს, ღონე*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა მკლავს, ხელი რკალური ტრაექტორიით გადაადგილდება ქვევით და ისევ ეხება მარცხენა მკლავს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ძალადობა** – *ძალის ხმარება, ძალმომრეობა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ძალა“ – ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა მკლავს, ხელი რკალური ტრაექტორიით გადაადგილდება ქვევით და ისევ ეხება მარცხენა მკლავს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ძალდატანება“ / „იძულება“ – გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით ქვევით მიმართული მარცხენა ხელისგული განთავსებულია მარჯვენა ხელის ქვეშ, წინ და ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ძალიან** – *ძლიერ, ძალზე*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვენა ხელის ქვეშ განთავსებული მარცხენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ზევით, ოდნავ მოხრილი საჩვენებელი თითები და ცერი გამოსახავენ ღია წრეს, ხელი რკალური ტრაექტორიით მოძრაობს მარცხნივ და ზევიდან ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს, ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელისგული წინაა მიმართული. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

---



**ძარღვი** – *სისხლძარღვი, სისხლის სადინარი ელასტიკური მილი ორგანიზმში*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „წითელი“ / „სისხლი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართული საჩვენებელი თითი ეხება ტუჩებს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის შემდეგი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ვენა“ – წინ გაწვდილია ზევით მიმართული მარცხენა ხელისგული ოდნავ მოხრილი თითებით, მარცხენა ხელს მაჯასთან ეხება ფართოდ გაშლილი თითებით ქვევით მიმართული მარჯვენა ხელისგული, მარჯვენა ხელი წინ მოძრაობს კლაკნილი ტრაექტორიით. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.

---



**ძაღლი** – *მგლის მოდგმის მოშინაურებული ცხოველი, რომელსაც იყენებენ ნადირობისას, ქონების დასაცავად*

ერთხელიანი, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერი და ერთად შეტყუპებული, გაშლილი და ზედა ფალანგებში სწორად მოხრილი ოთხი თითი ნაპრალს ქმნის, გაშლილი თითებით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ცერი განმეორებადი მოძრაობით ეხება თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ძახილი** – *ხმამაღლა ხმობა, მოწოდება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ყვირილი“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია ცერი და საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გამოძახება“ – გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელის თითები იხრება ზედა ფალანგებში, ბოლოს ფაზაში სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული და ხელი ეხება მარცხენა ცერს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ძგერა** – *გულის კუნთების პერიოდული შეკუმშვა-გაფართოებით გამოწვეული რიტმული ტოკვა (გულისა)*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „გული“ – ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია სხეულისკენ, ქვევით ჩაწეული შუა თითი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფეთქვა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ძებნა** – *ძიება, პოვნის, მონახვის მცდელობა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები წინ და ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ძეგლი** – *ნაგებობა ან ქანდაკება ვისიმე ან რისამე სამახსოვროდ*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქანდაკება“ – მარცხნივ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული ცერით, სრულდება კლაკნილი ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „(ძეგლის) დგომა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, ქვევით მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**ძერწვა** – *გამოქანდაკება თიხისაგან ან სხვა რამ ცომისებური მოქნილი მასალისაგან*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და  ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, მომდევნო ფაზაში მუშტად შეკრულია თითები, ბოლო ფაზაში კი ცერები გაშლილია და ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ძეწკვი** – *წვრილი ჯაჭვი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი,  სხეულისკენ მიმართულია ყელის წინ განთავსებული ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია ყელის დონეზე.

---



**ძეხვი** – *საქონლის ნაწლავში ჩატენილი დაკეპილ-შეკაზმული ხორცი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული წრიულად მოხრილი თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელის ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ძვალი** – *ხერხემლიანთა სხეულის შემაერთებელი მაგარი კონსისტენციის ქსოვილი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და საჩვენებელი თითები ერთმანეთს ეხება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ძველი** – *დიდი ხნისა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ლოყასთან განთავსებული ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, ხელი ეხება ლოყას, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ძვირი** – *დიდი ფასის მქონე*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი,ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგულზე განთავსებული მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება  გაშლილი თითების წვერებს, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ზევით და ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელის თითები გაშლილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ძვირფასი** – *რაც ძვირად ფასობს, დიდი ფასის მქონე, ძვირად ღირებული*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ძვირი“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგულზე განთავსებული მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება  გაშლილი თითების წვერებს, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ზევით და ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელის თითები გაშლილია; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ფორმა – ზევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება  გაშლილი თითების წვერებს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ძილი** – *სიფხიზლის საწინააღმდეგო ფიზიოლოგიური მდგომარეობა, როდესაც ცნობიერება მოდუნებულია და ორგანიზმი ისვენებს*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული გაშლილი თითებით, სრულდება მოძრაობა სხეულისკენ და ხელი ეხება ლოყას. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ძირითადი** – *მთავარი, ის, რასაც დანარჩენი ემყარება, ყველაზე მნიშვნელოვანი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული ფართოდ  გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ძლიერი** – *დიდი ძალის მქონე, ღონიერი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ძალა“– ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა მკლავს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და საჩვენებელი თითი ისევ ეხება მარცხენა მკლავს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ძლივს** – *გაჭირვებით, ძნელად, ძლივძლივობით, ძალისძალად*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართული საჩვენებელი თითი ეხება ნიკაპს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მაჯაში მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ძმა** – *ერთი დედ-მამის (ან ერთ-ერთი მათგანის) ვაჟიშვილი სხვა შვილების მიმართ*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული, გაშლილი და მარჯვნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართული საჩვენებელი თითი ეხება შუბლს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ძმადნაფიცი** – *ვინც ძმად გაეფიცა, დაუძმობილდა ვისმე, ძმობილი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ძმა“ – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული, გაშლილი და მარჯვნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართული საჩვენებელი თითი ეხება შუბლს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფიცი“ – წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, ბოლო ფაზაში ცერები ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ძმობა** – *ძმად ყოფნა, ურთიერთობა ძმათა შორის*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ძმა“ – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული, გაშლილი და მარჯვნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართული საჩვენებელი თითი ეხება შუბლს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მეგობარი“ – ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, თითების წვერებით ხელები ერთმანეთს ეხება. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ძნელი** – *გასაძლებად ან გასაკეთებლად სამძიმო, მძიმე, რთული*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ძლივს“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართული საჩვენებელი თითი ეხება ნიკაპს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მაჯაში მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მძიმე“ – ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ზევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს, ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელი ზედ ადევს მარცხენას და ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ძროხა** – *მეწველი მსხვილფეხა რქიანი საქონელი, ფური*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია თავთან განთავსებული ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, გაშლილი ცერებით ხელები ეხება თავს, ნეკებიც გაშლილია, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის გამსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ძუა** – *ცხენის კუდის და ფაფრის თმა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცხენი" – ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ქვევით მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ქვევით მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელის გაშლილი თითები მარცხენა საჩვენებელი თითის გარდიგარდმოა განთავსებული, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „(ცხენის) კუდი" – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ქვევით მიმართულია არათითი, შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე და ოდნავ ქვევით.

---



**ძუნწი** – *გაუმეტებელი, კრიჟანგი, ხელმოჭერილი, ქვაწვია*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, გაშლილი ცერებით ხელები ეხება მკერდს, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება მოძრაობა ქვევით, ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, სინქრონული მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ძუძუ** – *ადამიანის (და სხვა ძუძუმწოვარა ცხოველის) სარძევე ჯირკვალი, მკერდი*

ერთხელიანი, დინამიკური, მითითებითი ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, ხელი ეხება მკერდს მარცხნივ, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ და ხელი ისევ ეხება მკერდს, ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ძღვენი** – *საჩუქრად მირთმეული რამ, მოსაკითხი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ზევით წამოწეული, მოხრილი საჩვენებელი თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ძღომა** – *შიმშილის (წყურვილის) მოკვლა, საჭმლით დაკმაყოფილება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარცხნივ და ბოლო ფაზაში მუშტად შეკრული თითებით ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მუცლის დონეზე ქვევით.

---



წ



**წაგება** – *დანაკლისი, ზიანი, ზარალი*

ორხელიანი, დინამიკური, ასიმეტრიული ჟესტი, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით მარცხენა ხელისგული მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია ზევით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წაკითხვა** – *დაწერილი (დაბეჭდილი) ტექსტის გაცნობა*

ორხელიანი, დინამიკური, სიმეტრიული ჟესტი, ზევით მიმართულია ნეკებით ერთმანეთზე მიდებული ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წაკითხული** – *რაც წაიკითხეს, წაკითხვით გაცნობილი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, დინამიკური, სიმეტრიული სიტყვა-ჟესტი „წაკითხვა“ – ზევით მიმართულია ნეკებით ერთმანეთზე მიდებული ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, დინამიკური, სიმეტრიული სიტყვა-ჟესტი „უკვე“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წამალი** – *გარკვეული წესით დამზადებული სამკურნალო საშუალება, მედიკამენტი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, გაშლილი თითებით სრულდება განმეორებითი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**წამდაუწუმ** – *ყოველ წამს, ზედიზედ, ხშირ-ხშირად, წარამარა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, რკალური ტრაექტორიით სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ, მომდევნო ფაზაში ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება კლაკნილი ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**წამება** – *მწვავე ფიზიკური ტკივილის მიყენებით დატანჯვა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, დინამიკური, სიმეტრიული სიტყვა-ჟესტი „ტანჯვა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და სხეულისკენ მიმართულია საჩვენებელი  თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან, საჩვენებელი თითები ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, სიტყვა-ჟესტი „იძულება“ / „ძალდატანება“ – ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს, სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წამი** – *წუთის მესამოცედი ნაწილი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია,  სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**წამოსვლა** – *აქეთ (მოლაპარაკისაკენ) სვლა, ადგილის გადმონაცვლება*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია განზე გაწეული ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, რკალური ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა მარცხნივ და სხეულისკენ.  ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**წამოწევა** – *წინ ან ზევით მოწევა*

ორხელიანი, დინამიკური, ასიმეტრიული ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით და ზევით აწეული ცერებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელით სრულდება კლაკნილი ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წამოწყება** – *დაწყება*

ორხელიანი, დინამიკური, ასიმეტრიული ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ, მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული, გაშლილი საჩვენებელი თითით მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ზევით მიემართება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წამოძახება** – *1. ხმამაღლა თქმა, წამოყვირება; 2. დაყვედრება*

ორხელიანი, დინამიკური, სიმეტრიული ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია ცერი და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წამოხტომა** – *სწრაფად, მოსხლეტით წამოდგომა, წამოვარდნა*

ორხელიანი, დინამიკური, ასიმეტრიული ჟესტი, ფართოდ გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, წინ მიმართული თითებით მარცხენა ხელისგული მიმართულია ზევით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და გაშლილი თითებით ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წამქეზებელი** – *შემგულიანებელი, წამახალისებელი*

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბიძგი“ – ხელისგული მიმართულია ქვევით, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არევა“ – მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ და ქვევით, მარცხენა კი სხეულისკენ და ზევით, ორივე ხელის ფართოდ გაშლილი თითებით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მესამე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**წამწამი** – *ქუთუთოს ბეწვი, თმა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, ქვევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**წარბი** – *თმის ზოლი თვალის ფოსოს ზემო ნაპირზე*

ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია წარბზე მიდებული საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**წართმევა** – *ძალით გამორთმევა, ხელიდან გამოგლეჯა, სხვისი ქონების დასაკუთრება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგულის ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარჯვნივ და ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელის თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---





**წარმავალი** – *წამავალი, რაც წავა, რასაც დრო გაანადგურებს*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დრო“ – ნიკაპზე მიდებულია ცერი, ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითების რხევით ხელისგული მიმართულია მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გასვლა“ – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**წარმატება** – *კარგი შედეგის მიღება, გამარჯვება, წინსვლა, პროგრესი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წინსვლა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბედნიერება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, გაშლილია ცერებიც, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ბოლო ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება შუა და საჩვენებელი თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წარმოება** – *რაიმე საქმიანობის გაწევა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია ფალანგებში მოხრილი შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წარმოთქმა** – *ხმამაღლა თქმა, გამოთქმა, სამეტყველო ბგერის წარმოება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წარმოთქმა“ – ხელისგული მიმართულია წინ, ცერი განმეორებითი მოძრაობით ეხება გაშლილი და წინ მიმართული შუა და საჩვენებელი თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიტყვა“ – მარცხენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, წრიულად მოხრილი საჩვენებელი თითი და ცერი გამოსახავენ ღია წრეს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ხელი რკალური ტრაექტორიით მოძრაობს მარცხნივ და ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**წარმოშობა** – *გაჩენა, წარმოქმნა, ჩამომავლობა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შთამომავლობა“ – ხელისგულები სხეულისკენაა მიმართული, საჩვენებელი თითები გაშლილია და ერთმანეთისკენ მიმართული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საიდან“ – ზევით მიმართულია ხელისგული, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ბოლო ფაზაში გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**წარმტაცი** – *აღტაცებაში მომყვანი, მომხიბლავი, ულამაზესი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „თვალი“ - გაშლილი და ზევით აღმართული საჩვენებელი თითი ეხება თვალს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წარმტაცი“ / „თვალში მოსახვედრი“ – წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ და მარჯვენა საჩვენებელი თითი ეხება მარცხენას. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**წარღვნა** – *წყალდიდობა, რომელმაც მთელი დედამიწა დაფარა წყლით*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წყალი“ – ქვევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ტალღა“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება ტალღური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა წინ და მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**წარწერა** – *რამეზე დაწერილი ან ამოკვეთილი მოკლე შინაარსის ტექსტი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა წინ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წასვლა** – *აქედან იქით სვლა, ადგილის გადანაცვლება*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, რკალური ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წასმა** – *გასმა, შეხებით გატარება რამეზე*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წასული** – *აქედან იქით გამგზავრებული*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წასვლა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, რკალური ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა მარჯვნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უკვე“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, რკალური ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წაქეზება** – *შეგულიანება, წახალისება, გამხნევება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბიძგი“ – ხელისგული მიმართულია ქვევით, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არევა“ – მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ და ქვევით, მარცხენა კი სხეულისკენ და ზევით, ორივე ხელის ფართოდ გაშლილი თითებით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წაქცევა** – *ძირს დაცემა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით ქვევით მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე

---



**წაღება** – *რამის მიტანა აქედან იქით*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტებად შეკრული თითებით და ცერებზე შემოხვეული საჩვენებელი თითებით, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა მარცხნივ და ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წაღმა** – *წინ, პირდაპირ*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი ეხება მკერდს და მაჯაში ტრიალებს, იმავე კონფიგურაციით მარჯვნივ მიმართულია ხელისგული და ხელი ისევ ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წაღმა-უკუღმა** – *წაღმა და უკუღმა, წინ და უკან*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი ეხება მკერდს და მაჯაში ტრიალებს, იმავე კონფიგურაციით მარჯვნივ მიმართულია ხელისგული და ხელი ისევ ეხება მკერდს, ბოლო ფაზაში ხელი ისევ უბრუნდება პირვანდელ პოზიციას: ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წაყვანა** – *თან წაყოლება (სულიერისა)*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, ჟესტი, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ თითებით, წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს, სრულდება მოძრაობა წინ და ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**წაყოლა** – *ვინმესთან (რამესთან) ერთად წასვლა, გადევნება, გაყოლა*

ორხელიანი, დინამიკური, სიმეტრიული ჟესტი, მუშტებად შეკრული თითებით და ზევით აღმართული ცერებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**წაყრუება** – *განზრახ არგაგონება, ყურის არიდება*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, საჩვენებელი თითი სახეს ეხება ყურთან, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ და წინ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**წაშლა** – *გაუქმება, მოშლა, მოსპობა, გაქრობა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და გაშლილი ნეკით მიმართულია სხეულისკენ, მარჯვენა ხელი წინ გადაადგილდება და ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წაშლა** – *გაუქმება, მოშლა, მოსპობა, გაქრობა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, გაშლილი და წინ მიმართული თითებით მარცხენა ხელისგული მიმართულია ზევით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგულზე განთავსებული მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება შუა თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია, მარჯვენა ხელი წინ გადაადგილდება და ბოლო ფაზაში წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წებო** – *ნივთიერება, რითიც სხვადასხვა საგნებს ან საგნების ნაწილებს ერთმანეთზე აკრავენ, ამაგრებენ*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წებო" – ხელისგული მიმართულია წინ, ცერი განმეორებითი მოძრაობით ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოწებება" – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარცხნივ და ქვევით, ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**წევრი** – *ცალკე პიროვნება, როგორც ადამიანთა კოლექტივის შემადგენელი ნაწილი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა მკლავთან განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილია ცერი და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა მკლავს და მარჯვნივ მოძრაობს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წევრი** – *ცალკე პიროვნება, როგორც ადამიანთა კოლექტივის შემადგენელი ნაწილი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგულის ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ქვევით მიმართულია ცერი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და მარჯვენა ცერი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წელი** – *წელთაღრიცხვის ერთეული, დრო, რომელსაც დედამიწა მზის ირგვლივ შემოვლას ანდომებს, თორმეტი თვე, წელიწადი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ტუჩების წინ განთავსებული ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია  ცერი, დანარჩენი თითები მუშტადაა შეკრული, სრულდება წრიული ტრაექტორიის მოძრაობა სახის გარშემო. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**წელიწადი** – *წელი, თორმეტი თვე*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია ცერი, დანარჩენი თითები მუშტადაა შეკრული, სრულდება წრიული ტრაექტორიის მოძრაობა თავის გარშემო. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**წელს** – *ამ წელიწადს, მიმდინარე წელს*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წელი“– სხეულისკენ მიმართულია ტუჩების წინ განთავსებული ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია ცერი, დანარჩენი თითები მუშტადაა შეკრული, სრულდება წრიული ტრაექტორიის მოძრაობა სახის გარშემო; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ახლა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია ცერი და ნეკი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**წერა** – *ასოების გამოყვანა ქაღალდზე ან სხვა საწერ მასალაზე*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, ცერი ეხება გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი თითების წვერებს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წერილი** – *ბარათი, ნაწერი, ქაღალდი ზედ მოთავსებული ტექსტით, რომელიც ვისმე ეგზავნება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „წერა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, ცერი ეხება გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი თითების წვერებს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „(წერილის) გაგზავნა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილი და ქვევით მიმართული შუა და საჩვენებელი თითები მოხრილია ფალანგებში, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წვა** – *მეტისმეტი გახურება, ცხუნება*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითების რხევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**წესი** – *გარკვეული ქცევის ნორმა, რიგი, ჩვეულება, კანონი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**წესრიგი** – *წესის მიხედვით გამართული ვითარება, დისციპლინა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება სპირალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წვეთი** – *სითხის პატარა მომრგვალო ნაწილაკი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მხრებთან განთავსებული ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**წვენი** – *საკვები პროდუქტების ნახარში ან ნაწური*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „დალევა“ – მარცხნივ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული, გაშლილი და წრიულად მოხრილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ტკბილი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ეხება მარჯვენა ლოყას, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**წვერი** – *მამაკაცის ყბებსა და ნიკაპზე ამოსული თმა*

ერთხელიანი, დინამიკური, იკონური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ, ნიკაპის ირგვლივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**წვიმა** – *ატმოსფერული ნალექი, რომელიც წყლის წვეთების სახით ეცემა დედამიწაზე.*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი, სინქრონული მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**წვლილი** – *მონაწილეობა, სხვებთან ერთად შესრულებული საქმე*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია ზევით, მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ქვევით მიმართული ცერით მიმართულია წინ, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წვრილი** – *მცირე დიამეტრის მქონე, ვიწრო, არაფართო, თხელი, გამხდარი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულის წინ ირიბ ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, საჩვენებელი თითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება და ხელები ერთმანეთს ეხება ამ თითებით, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ირიბი ტრაექტორიის განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ზევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---





**წვრილმანი** – *წვრილ-წვრილი, წვრილი, მცირე, უმნიშვნელო*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წვრილმანი" – ზევით მიმართულია ხელისგულები, საჩვენებელი და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავალფეროვნება" – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ფართოდ გაშლილი და ზევით მიმართული თითების რხევით სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---





**წიაღი** – *(მიწის) შიგნითა ნაწილი, სიღრმე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიწა" – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელის გაშლილ თითებს უჭირავთ მარცხენა ხელის გაშლილი ნეკი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელი მარჯვნივ მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქვეშ" – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული ზევით აღმართული და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი თითებით, სხეულთან განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წიგნი** – *ერთად აკინძული ტექსტის შემცველი ნაბეჭდი ფურცლები*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული, განმეორებადი, განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ, მომდევნო ფაზაში ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, იკონური ფორმაა, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით და სხეულისკენ, გაშლილია ცერი, საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წილი** – *ნაწილი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ, მარცხენა – მარჯვნივ, ხელები გაშლილი და ერთმანეთთან შეტყუპებული თითებით ერთმანეთზე ჯვარედინად არის დაწყობილი, მარჯვენა ხელი მარცხენაზეა განთავსებული და ასრულებს რკალური ტრაექტორიის მოძრაობას მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წიგნიერი** – *წერა-კითხვის კარგი მცოდნე, საფუძვლიანად განათლებული, ნაკითხი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წაკითხვა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, სინქრონული მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „განათლებული“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილია ცერი და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**წითელი** – *სისხლისფერი, მოწისფერი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და საჩვენებელი თითი ეხება ტუჩებს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.





**წინ** – *ვისიმე ან რისამე პირის მხარეს, პირისპირ, პირდაპირ*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა სხეულისკენ და საჩვენებელი თითი ეხება ცხვირს, ბოლო ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგული და ქვევით მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**წინააღმდეგი** – *ვინც ეწინააღმდეგება, არ ეთანხმება ვისმე ან რასმე, მოწინააღმდეგე*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულის წინ, ირიბ ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება დაახლოებითი მოძრაობა ერთმანეთის მიმართულებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**წინადადება** – *ენის კანონების მიხედვით ერთმანეთთან შეხამებული სიტყვების ჯგუფი, რომელიც დასრულებულ აზრს გადმოსცემს*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულის წინ ირიბ ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, საჩვენებელი თითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება და ხელები ერთმანეთს ეხება ამ თითებით, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით ერთად სრულდება მოძრაობა მარჯვნივ და ხდება პოზიციათა მონაცვლეობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წინათგრძნობა** – *რისამე მოხდენის ბუნდოვანი მოლოდინი, წინასწარი რწმენა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წინასწარ“ – მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული ცერებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გრძნობა“ – ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ქვევით დაშვებული საჩვენებელი თითი ეხება გაშლილი და ოდნავ მოხრილი თითებით ქვევით მიმართულ მარცხენა ხელისგულის ზურგს, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წინაპარი** – *რამდენიმე თაობის წინ მცხოვრები სისხლით ნათესავი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ძველი“ – ლოყასთან განთავსებული ხელისგული სახისკენაა მიმართული, თითები შეკრულია მუშტად, ხელი ლოყას ეხება და ქვევით მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თაობა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**წინასწარ** – *რამეზე ადრე, რისამე მოხდენამდე, წინდაწინ, ადრევე*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული ცერებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წინასწარმეტყველება** – *წინასწარ განჭვრეტა რისამე; წინასწარ თქმა იმისა, თუ რა მოხდება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წინასწარ“ – მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული ცერებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თქმულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, შუა თითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ბოლო ფაზაში ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართულია თითები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წირვა** – *მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება, რომელიც დღისით სრულდება*

ერთხელიანი, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ქვევით და სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წისქვილი** – *მარცვლეულის საფქვავი საგანგებო მოწყობილობა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, ქვევით მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელი ეხება მარცხენა ხელს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**წიწაკა** – *ბოსტნის კულტურული მცენარე მწარე ნაყოფით, ხმარობენ საჭმლის შესანელებლად*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მწარე“ – სხეულისკენ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითების რხევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „(წიწაკის) ფორმა“ – მარცხნივ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ცერზე შემოხვეული საჩვენებელი თითით, სრულდება კლაკნილი ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მხრებისა და მკერდის დონეზე.



**წიწილა** – *ახლადგამოჩეკილი ქათამი (ვარიობამდე)*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „ქათამი“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „პატარა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ერთმანეთთან შეტყუპებული გაშლილი და ზედა ფალანგებში მოხრილი თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**წიწკნა** – *გლეჯა, დაქუცმაცება, წეწვა-გლეჯა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელის ქვეშ განთავსებული მარცხენა ხელისგული, წინ და ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წიწმატი** – *სპეციფიკური, ცხარე გემოს მქონე მწვანილი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მწვანე" – ხელისგული მიმართულია წინ და მარცხნივ, გაშლილი და ზევით აღმართული საჩვენებელი თითი ეხება ლოყას და ასრულებს განმეორებად მოძრაობას წინ და უკან, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფოთოლი" – ხელისგულები სხეულისკენაა მიმართული, მარჯვენა ხელის ცერით და საჩვენებლი თითით შეკრულია წრე და ხელი ეხება იმავე კონფიგურაციის მარცხენა ხელის თითების წვერებს, მარჯვენა ხელი მარჯვნივ მოძრაობს კლაკნილი ტრაექტორიით, მომდევნო ფაზაში მარჯვენა ხელისგული ზევითაა მიმართული, ცერი და საჩვენებლი თითი მოხრილია, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება კლაკნილი ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---

---



**წკეპლა** – *ხის ფოთლებგაცლილი წვრილი ტოტი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ხე“ – მარჯვენა ხელისგული სხეულისკენაა მიმართული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული, გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით ხელი ეხება მარჯვენა იდაყვს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ფორმა – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული ირიბ ვერტიკალზე, ცერები ეხება გაშლილი თითების წვერებს და ხელები ერთმანეთს ეხება, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ზევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე,

---



**წლიური** – *რაც ერთი წლის განმავლობაში ხდება, თითო წლის ვადით განსაზღვრული, წლისა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გადახდა“ – ხელისგულები გაშლილი თითებით მიმართულია ზევით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი მოძრაობს მარცხენა ხელისგულისკენ, ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელი მარცხენა ხელისგულის ზემოთაა განთავსებული და ცერი ეხება თითების წვერებს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წელი“ – სხეულისკენ მიმართულია ტუჩების წინ განთავსებული ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია ცერი, დანარჩენი თითები მუშტადაა შეკრული, სრულდება წრიული ტრაექტორიის მოძრაობა სახის გარშემო. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.

---



**წმენდა** – *ჭუჭყის მოცილება, გასუფთავება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია ზევით და მარჯვნივ, მუშტად შეკრული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით და მარცხნივ, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წმინდა** – *შეურეველი, ხალასი, ანკარა, სუფთა, წმინდანი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სუფთა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება და ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წმინდანი“ / „შარავანდედი“ – წინ მიმართულია ხელისგულები, ერთმანეთთან ახლოს განთავსებულია ხელები, ცერები ეხება გაშლილი თითების წვერებს, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა ქვევით, ბოლო ფაზაში ურთიერთსაპირისპიროდ მიმართულია ფართოდ გაშლილი თითები ჩაკეცილი ცერებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წნევა** – 1. *ზედაპირის ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა; 2. სისხლის გვერდული დაწოლა სისხლძარღვების კედლებზე*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ზევით და წინ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**წნული** – *დაწნული, მოწნული, ერთმანეთში გადახლართული მთლიანი რამ, ხლართი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ერთმანეთთან ახლოს განთავსებულია ხელები, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ცერზე შემოხვეული საჩვენებელი თითით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ, ხელები ინაცვლებენ პოზიციებს: ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარცხენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წოდება** – *სახელის დარქმევა, დაძახება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სახელი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარცხენა ხელზე გაშლილი და ზევით აღმართულია ცერი, მარჯვენაზე მხოლოდ საჩვენებელი თითია გაშლილი და წინ მიმართული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა საჩვენებელი თითი ასრულებს განმეორებად მოძრაობას წინ და უკან და ეხება მარცხენა ცერს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიცემა“ – ორხელიანი, სიმეტრიული ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტებად შეკრული თითებით და ცერებზე შემოხვეული საჩვენებელი თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წოლა** – *ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ყოფნა, დაწოლილი ყოფნა*

ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგულზე განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წონა** – *სასწორით რისამე სიმძიმის გაგება, სხეულის სიმძიმე*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ქვევით დაშვებული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წრე** – *სიბრტყის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია წრეხაზით*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები მუშტადაა შეკრული, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წრიალი** – *მოუსვენრად მოძრაობა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წუთი** – *დროის მონაკვეთი, რომელიც შეადგენს საათის ერთ მესამოცედ ნაწილს და შეიცავს სამოც წამს*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, რკალური ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა ქვევით და მომდევნო ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**წუთისოფელი** – *ეს ქვეყანა, ამქვეყნიური, მიწიერი ცხოვრება*

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წუთი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, რკალური ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა ქვევით და მომდევნო ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გაქრობა“ – ზევით მიმართული ხელისგულები გაშლილი თითების წვერებით ერთმანეთისკენაა მიმართული, ცერები ეხება გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი თითების წვერებს, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ, ბოლო ფაზაში ცერები ეხება გაშლილი თითების წვერებს; ჟესტის მესამე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცხოვრება“ – ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელები ეხება სხეულს. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**წუმპე** – *მყრალი ლაფი, დაგუბებული უსუფთაო წყალი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარცხენა ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელის თითები გაშლილია, ხელები ინაცვლებენ პოზიციებს და კონფიგურაციებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წუნი** – *ნაკლი, დეფექტი*

ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული, ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წუხილი** – *მოუსვენრობა, დარდი, ჯავრი, ვარამი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ოდნავ მოხრილი თითებით, ხელები ეხება მკერდს, თითები უფრო იხრება ფალანგებში. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წყალდიდობა** – *თოვლის დნობის ან დიდი წვიმების დროს მდინარეების, წყლების ადიდება (და ნაპირების გადმოლახვა).*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წყალი“ – ქვევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადიდება“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**წყალი** – *უფერული, გამჭვირვალე სითხე, რომელიც იხმარება სასმელად, გასარეცხად, დასაბანად, სარწყავად*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**წყარო** – *ზედაპირზე ამოხეთქილი მიწისქვეშა წყლის ნაკადი, მიწიდან ან კლდიდან გამომდინარე წყალი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წყალი“ – ქვევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩანჩქერი“ - ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის სამჯერადი მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.

---



**წყევლა** – *კრულვა, შეჩვენება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სატანა“ – მარჯვნივ მიმართულია თავთან განთავსებული ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, გაშლილია ცერი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მომდევნო ფაზაში გაშლილი თითები ფალანგებში იხრება; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიტყვიერი შეურაცხყოფა“ – ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარცხენა ხელზე განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია ცერი და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**წყენა** – *უკმაყოფილება, უსიამოვნება*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით, ხელი ეხება მკერდს და თითები უფრო იხრება ფალანგებში, ხელი ისევ ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წყენინება** – *საწყენი, არასასიამოვნო, გასაჯავრებელი, გულსატკენი რისამე შეხვედრება ან თქმა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სინდისი“ – მარცხნივ და ქვევით მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა სხეულისკენ და საჩვენებელი თითი ეხება ლოყას; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წყენა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით, ხელი ეხება მკერდს და თითები უფრო იხრება ფალანგებში, ხელი ისევ ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**წყლული** – *ჭრილობა, იარა, სხეულის ჩირქოვანი ფორმა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წყალი“ – ქვევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაგროვილი“ – ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, ქვევით მიმართული თითებით, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს და ასრულებს სამჯერად მოძრაობას ზევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**წყნარი** – *ნელი, აუჩქარებელი, მშვიდი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „სიჩუმე“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ტუჩზე მიდებულია ზევით აღმართული საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიწყნარე“ – ქვევით მიმართულია ერთად განთავსებული ხელისგულები გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი, წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**წყობა** – *ლაგება, დება, განლაგება, განთვსება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება გაშლილი და წინ მიმართული თითების წვერებს, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი, მონაცვლეობითი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**წყურვილი** – *წყლის სმის სურვილი, ნდომა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ყელთან განთავსებული ხელისგული, ცერი ეხება შუათითის წვერს და ხელი ეხება ყელს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება მოძრაობა ქვევით, ბოლო ფაზაში ფართოდ გაშლილია თითები. ჟესტი წარმოდგენილია ყელისა და მკერდის დონეზე.

---



# ჭ



**ჭა** – *ქვით ამოშენებული ღრმა და ვიწრო ორმო, რომელშიც მიწისქვეშა წყალი გროვდება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „(ტარის) ტრიალი" – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქვევით" – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჭამა** – *საკვების მიღება, საჭმლის პირში მოქცევა, ღეჭვა და ყლაპვა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი და სხეულისკენ მიმართული თითების წვერებს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება ტუჩებს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ჭაობი** – *დამდგარწყლიანი ადგილი დაბლობში*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ზევით განთავსებულია მარჯვენა ხელი გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, მარცხენა საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება პოზიციათა და კონფიგურაციათა მონაცვლეობითი მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჭარბი** – *დიდი რაოდენობა, მომეტებული, ზედმეტი, ზომაზე მეტი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, ხელი ეხება სახეს და მარჯვნივ მოძრაობს ნიკაპის გასწვრივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ჭარხალი** – *წითელი ფერის ბოლქვიანი ოსტნეული*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წითელი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და საჩვენებელი თითი ეხება ტუჩებს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „(ჭარხლის) ფორმა“ / „მრგვალი“ – ზევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, ზევით მიმართული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ჭაღარა** – *თმაში გარეული თეთრი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თეთრი“ – ხელისგული სხეულისკენაა მიმართული, ცერი და საჩვენებელი თითი კრავს წრეს და ეხება მკერდს, დანარჩენი თითები გაშლილია, მომდევნო ფაზაში  გაშლილია თითები და ქვევით ჩაწეულია შუათითი; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „თმა“ – თავთან განთავსებული ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით სხეულისკენაა მიმართული, მოძრაობა რკალური ტრაექტორიით სრულდება უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.

---



**ჭაღი** – *კანდელაბრი, ელექტრონათურების (ან სანთლების) დასამაგრებელი ჩამოსაკიდი მოწყობილობა, სანათი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შუქი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება ფალანგებში მოხრილი თითების წვერებს, ბოლო ფაზაში ფართოდ გაშლილია თითები; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „(ჭაღის) ფორმა“ – ზევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ჭაჭა** – *1. ყურძნის ნარჩენი ღვინის დაწურვის შემდეგ; 2. არაყი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ქვევით დაშვებულია ფალანგებში მოხრილი საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ჭერი** – *ოთახის ზედა ჰორიზონტალური ნაწილი, რომელიც უშუალოდ კედლებს ეყრდნობა*

ერთხელიანი, დინამიკური, იკონური ჟესტი, ქვევით მიმართულია თავთან განთავსებული ხელისგული, გაშლილი და მარჯვნივ მიმართულია ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი თითები, სრულდება მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ჭექა-ქუხილი** – *დაქუხება, გრგვინვა-გრიალი*

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ელვა“ – წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ტეხილი, კლაკნილი ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხმაური“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით  აღმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ჯერ მარჯვენა ხელი ეხება მარჯვენა ყურს საჩვენებელი თითით, შემდეგ კი მარცხენა საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა ყურს; ჟესტის მესამე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მაგარი“ – მუშტად შეკრული თითებით სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, სინქრონული მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ჭვარტლი** – *არასრული წვის პროდუქტი შავი ფერფლის სახით*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „შავი“ – სხეულისკენ მიმართულია თავთან განთავსებული მარჯვენა ხელისგული, ფართოდ გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით ხელი ეხება თავს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ზეცა“ – წინ მიმართულია თავთან განთავსებული ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ჭია** – *მატლი, მოგრძო, რბილსხეულიანი (უძვლო) ცხოველი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით, ბოლო ფაზაში საჩვენებელი თითი მოხრილია ფალანგებში. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჭიდაობა** – *ორთაბრძოლა, როცა თითოეული ცდილობს მეორეს მოერიოს და წააქციოს, ძირს დასცეს*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთზე მიდებული ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ხდება პოზიციათა განმეორებითი მონაცვლეობა რკალური ტრაექტორიით: ჯერ მოხრილი მარცხენა საჩვენებელი თითია ზევით აღმართული, შემდეგ – მარჯვენა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჭიკჭიკი** – *ფრინველის ხმიანობა, ჟღურტული*

ერთხელიანი, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი, ცერი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, გაშლილი თითებით სახის წინ სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ცერი განმეორებადი მოძრაობით ეხება საჩვენებელ და შუა თითებს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ჭინჭარი** – *მსუსხავი ბალახი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და მარცხნივ, ბოლო ფაზაში ქვევით მიმართული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს და ასრულებს განმეორებად მოძრაობას მარცხნივ-მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჭიპი** – *მუცლის შუა პატარა ჩაღრმავებული ადგილი, რომელიც რჩება ჭიპლარის მოჭრის შემდეგ*

ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი ჟესტი, ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ჭიპზე მიდებულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მუცლის დონეზე.

---



**ჭირი** – *ვარამი, უბედურება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ძნელი“ – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ზევით აღმართული საჩვენებელი თითი ეხება ნიკაპს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ტანჯვა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და სხეულისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან, ხელები ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჭიქა** – *ცილინდრული ფორმის მინის სასმისი, ჭურჭელი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ, მოხრილია საჩვენებელი თითი და ცერი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ზევით მიმართულია მარჯვენა ხელის ქვეშ განთავსებული მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, მარჯვნივ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჭკვიანი** – *ვისაც ჭკუა აქვს, გონიერი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, შუბლთან განთავსებული ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, ცერი ეხება მოხრილი თითების წვერებს და ხელი ეხება შუბლს, ბოლო ფაზაში სახის წინ განთავსებულია ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ჭკნობა** – *(მცენარის) სინედლის კლება, სინორჩის დაკარგვა, კვდომა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სახესთან განთავსებული ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია სხეულისკენ, ბოლო ფაზაში ფალანგებში მოხრილია თითები. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ჭკნობა** – *მცენარის სინედლის კლება, სინორჩის დაკარგვა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ბოლო ფაზაში მუშტად შეკრულია  თითები. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ჭკუა** – *აზროვნების უნარი, გონება*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, საჩვენებელი თითი ეხება თავს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ჭორფლი** – *მოყავისფრო წვრილი წინწკლები სახეზე (ან ხელებზე)*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სახისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში მოხრილი, ზევით აღმართული თითებით, სრულდება სპირალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ჭორი** – *მონაგონი, ტყუილი ამბავი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჭორიკანა** – *ჭორების მთქმელი და გამავრცელებელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჭორი“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ჭრილობა** – *სხეულზე განაჭერი (ხმლით, ხანჯლით, ტყვიით...)*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „წითელი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართული საჩვენებელი თითი ეხება ტუჩებს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „(სისხლის) დენა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით, ხელი ეხება მკერდს, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ჭურჭელი** – *ნივთები, რომელშიც საჭმელ-სასმელს ათავსებენ*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „თეფში“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული, გაშლილი და წრიულად მოხრილია ცერი და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავალფეროვნება“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ფართოდ გაშლილი და ზევით მიმართული თითების რხევით სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჭუჭყიანი** – *უსუფთაო, ბინძური, დანაგვიანებული*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი, ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით ერთმანეთის მიმართულებით, ხელისგულები ეხება ერთმანეთს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჭყლეტა** – *სრესა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთზე განთავსებული ხელისგულები გაშლილი თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის ურთიერთსაპირისპირო განმეორებადი მოძრაობა და ხდება პოზიციათა მონაცვლეობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



ხ



**ხაზი** – *ვიწრო ზოლი რისამე ზედაპირზე*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, საჩვენებელი თითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელები ერთმანეთს ეხება, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ზევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხაზი** – *ვიწრო ზოლი რისამე ზედაპირზე*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხათრი** – *პატივისცემა, თავაზი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „გული“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით ჩაწეული შუა თითით ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პატივისცემა“ – ზევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია ნეკები და ცერები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ზევით მიმართული რკალური ტრაექტორიის მცირედი განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ზევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხალათი** – *აღმოსავლური გრძელი და ფართო ზედა ჩასაცმელი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია განზე გაწეული ხელისგულები გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება დაახლოებითი, სინქრონული მოძრაობა რკალური ტრაექტორიით და ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელი ზედ ადევს მარცხენას. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხალისი** – *მონდომება, გაკეთების სურვილი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებითა და ზევით აღმართული ცერებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელები ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხალხი** – *ადამიანთა სიმრავლე, მრავალი ადამიანი ერთად, ადამიანები*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ხელი ეხება შუბლს, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ხალხმრავლობა** – *მრავალი ხალხის თავმოყრა, ხალხის სიმრავლე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხალხი“ – მარჯვნივ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ხელი ეხება შუბლს, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბაზარი“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელი მარცხენას ზევითაა განთავსებული, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ხანგრძლივი** – *რაც დიდხანს გრძელდება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დრო“ – მარჯვენა ხელისგული მარცხნივაა მიმართული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითების რხევით, ცერი ეხება ნიკაპს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გაგრძელება“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ხელები ერთმანეთს მსუბუქად ეხება, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ხანი** – *დროის მონაკვეთი, დრო, ჟამი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დრო“ – მარჯვენა ხელისგული მარცხნივაა მიმართული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითების რხევით, ცერი ეხება ნიკაპს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „(დროის) განმავლობა“ – ხელისგული ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის  დონეზე.

---



**ხანძარი** – *დიდი, გამანადგურებელი ცეცხლი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული, ნეკები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია და ზევით აღმართული, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ხანჯალი** – *ბრტყელი, ორპირი, წვეტიანი იარაღი, სატევარი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ და ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, მარჯვენა საჩვენებელი თითი ზედ ადევს მარცხენას და ასრულებს განმეორებად მოძრაობას წინ და უკან, მომდევნო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, წინ  მიმართულია მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარცხენა ხელზე განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ და ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხარბი** – *მეტად ბევრის მსურველი, გაუმაძღარი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხარისხი** – *რისამე შედარებითი ღირსება*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საუკეთესო“ – სხეულისკენ მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი და სახისკენ მიმართული თითების წვერებს, მომდევნო ფაზაში წინ მიმართულია ხელისგული იმავე კონფიგურაციით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხარისხი“ – გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებლი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელისგული სხეულისკენაა მიმართული, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.

---



**ხარშვა** – *დუღებით კეთება, მზადება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხარჯი** – *გასავალი, დანახარჯი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ვერტიკალზე ერთმანეთისკენ  მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხასიათი** – *ადამიანის ფსიქიკურ თვისებათა ერთობლიობა, ზნე*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მკერდს.  ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ხატი** – *ღვთაების ან წმინდანის სურათი.*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ღმერთი“ – მუშტად შეკრული თითებით წინ მიმართულია ხელისგული, ხელი ეხება შუბლს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სურათი“ – ერთმანეთისკენ  მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ბოლო ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგულები იმავე კონფიგურაციით, მარჯვენა ხელი ზევითაა განთავსებული, სახის წინ, მარცხენა კი -მკერდთან. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ხაფანგი** – *ცხოველთა დასაჭერი მოწყობილობა, მახე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ღობე“ / „გარშემორტყმა“ – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით და ჩაკეცილი ნეკებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა და მომდევნო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები იმავე კონფიგურაციით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ხაფანგი“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხაში** – *ძროხის მოხარშული ფაშვის და ჩლიქების წვნიანი კერძი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შიგნეული“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით და ჩაწეული შუათითით, ხელი ეხება მკერდს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჭამა“ – სხეულისკენ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.

---



**ხაშლამა** – *ძროხის მოხარშული ხორცი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ძროხა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია თავთან განთავსებული ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, გაშლილი ცერებით ხელები ეხება თავს, ნეკებიც გაშლილია, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოხარშვა“ – ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელი ქვევითა განთავსებული, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ხაჭაპური** – *პური, რომელსაც გულად აქვს ყველი (ან ხაჭო)*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხბო** – *ძროხის ნაშიერი ერთ წლამდე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ძროხა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია თავთან განთავსებული ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, გაშლილი ცერებით ხელები ეხება თავს, ნეკებიც გაშლილია, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „პატარა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი თითებით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ხე** – *მრავალწლიანი მცენარე, რომელსაც მაგარი ღერო და განშტოებული ვარჯი აქვს*

ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული სხეულისკენაა მიმართული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული, გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით ხელი ეხება მარჯვენა იდაყვს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ხედი** – *გადასახედი, პანორამა, რაც ხედვის არეშია მოქცეული*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის ნახევარწრიული მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ხევსურეთი** – *საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი კუთხე არაგვის, არღუნისა და ასას ხეობებში*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მხართან განთავსებული მარცხენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარცხენა იდაყვთან ოდნავ ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხეივანი** – *1. გზა, რომლის ორივე მხარეს ხეებია ჩამწკრივებული, 2. ლატნებზე გასული ვაზი, ტალავერი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ხე“ – გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მარჯვენა ხელისგული სხეულისკენაა მიმართული, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, მარცხენა ხელისგული ეხება მარჯვენა ხელის იდაყვს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ტალავერი“ – ქვევით მიმართულია ზევით აწეული ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის, მხრებისა და სახის დონეზე.

---

**ხელგაშლილი** – *უხვი, არაძუნწი*



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „გული“ – ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია სხეულისკენ, ქვევით ჩაწეული შუათითი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გაცემა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია ცერები და ნეკები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, რკალური ტრაექტორიით სრულდება ზევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ზევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის

---

**ხელთათმანი** – *ნაქსოვი ან შეკერილი ხელზე ჩასაცმელი*



ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მხართან განთავსებული მარცხენა ხელისგული მოხრილი თითებით, სხეულისკენ მიმართული მარჯვენა ხელისგული მოხრილი თითებით ადევს მარცხენა მტევანს, მარცხენა ხელი ზევით მოძრაობს და ბოლო ფაზაში ფართოდ გაშლილია მარცხენა ხელის თითები, მარჯვენა ხელი მოხრილი თითებით ეხვევა მარცხენა მაჯას. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ხელი** – *ადამიანის ზედა კიდურის ნაწილი მაჯიდან თითების ბოლომდე, მტევანი*

ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართულია თითები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხელისგული** – *ხელის მტევნის შიდა ნაწილი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, მითითებითი ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია ზევით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და წინ მიმართული საჩვენებელი თითით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხელმისაწვდომი** – *რაზედაც ხელი მიუწვდებათ, ადვილად მოსაპოვებელი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზედა ფალანგებში მოხრილი, ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელი ზევითაა განთავსებული, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით, მომდევნო ფაზაში წინ მიმართულია ზედა ფალანგებში მოხრილი თითები და ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხელმოწერა** – *ხელის მოწერა, ავტოგრაფი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია ზევით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ჯერ ზევით, შემდეგ – ქვევით და გაშლილი თითები ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხელმძღვანელი** – *მეთაური, უფროსი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხელმწიფე** – *სახელმწიფოს უმაღლესი გამგებელი, მპყრობელი, მეფე*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით, ხელი ეხება სხეულს მხართან ჯერ მარცხნივ, მერე – მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ხელოვნება** – *მხატვრული შემოქმედება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება საჩვენებელი თითების წვერებს, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით სრულდება ტალღური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ხელფასი** – *შრომის გასამრჯელო, სამუშაო ძალის ფასი, შრომის ფასი, ჯამაგირი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა, არათითი და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ხელ-ფეხი** – *ადამიანის ზედა და ქვედა კიდურები, ხელები და ფეხები*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „ხელი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართულია თითები, ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „ფეხი“ – გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით სხეულისკენ მიმართულია ფეხთან განთავსებული ხელისგული, სრულდება განმეორებითი მოძრაობა წინ და უკან და ხელი ეხება ფეხს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და ფეხის დონეზე.

---



**ხელშეკრულება** – *ორ ან რამდენიმე მხარეს შორის დადებული შეთანხმება, პირობა, ურთიერთვალდებულება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხელცარიელი** – *ვისაც ხელები ცარიელი აქვს, ხელში არაფერი უჭირავს*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხერხემალი** – *ჩონჩხის მთავარი ნაწილი, მალებისაგან ასხმული ძვლოვანი ღერძი, რომელშიც მოთავსებულია ზურგის ტვინი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „ბეჭი“ / „ზურგი“ – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, სრულდება მოძრაობა რკალური ტრაექტორიით და ხელი ეხება მარჯვენა ბეჭს; ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მალა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ბოლო ფაზაში საჩვენებელი თითი მოხრილია ფალანგებში. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ხვალ** – *დღევანდლის მომდევნო დღეს, დღეის შემდეგ დღეს*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი ცერი ეხება ლოყას, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ხვედრი** – *განგება, სვე, წერა, ბედი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელი მიმართულია სახისკენ, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, საჩვენებელი თითით შუბლზე ჯვარს გამოისახავენ. ჟესტი სრულდება სახის დონეზე.

---



**ხვევნა** – *გადახვევა, ალერსი, ჩახუტება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის ზევით მიმართული ურთიერთსაპირისპირო, სინქრონული მოძრაობა და ბოლო ფაზაში ერთმანეთზე გადაჯვარედინებული, მუშტებად შეკრული ხელები ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხველება** – *ხველა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, მარცხნივ მიმართული თითებით, ხელი ეხება ყელს, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია ყელის დონეზე.

---



**ხვეწნა** – *დაბეჯითებული თხოვნა, მუდარა, ვედრება*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ეხება ყელს. ჟესტი წარმოდგენილია ყელის დონეზე.



**ხვნა** – *მიწის დამუშავება გუთნით ან სხვა იარაღით, მოხვნა, მიწის გაფხვიერება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, წინ მიმართული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა სხეულისკენ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ხიდი** – *ნაგებობა მდინარეზე ან სხვა რამეზე ზევიდან გადასასვლელად*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება ერთმანეთისკენ მიმართული შუა და არათითის წვერებს, ზევით აღმართულია ნეკი და საჩვენებელი თითები, ხელები ერთმანეთთან ახლოსაა განთავსებული, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ხიზილალა** – *თევზის ქვირითი, საჭმელად გამზადებული*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ხელები ერთმანეთს მსუბუქად ეხება, მარჯვენა ხელით სრულდება სპირალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხილი** – *ზოგიერთი მცენარის ტკბილი და წვნიანი, საჭმელად ვარგისი ნაყოფი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ფორმა – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართული ცერი ეხება ყელს მარცხნივ, შემდეგ ასრულებს რკალური ტრაექტორიის მოძრაობას მარჯვნივ და ეხება ყელს მარჯვენა მხარეს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავალფეროვნება“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ფართოდ გაშლილი და ზევით მიმართული თითების რხევით სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხილი** – *მცენარის საჭმელად ვარგისი, ტკბილი და წვნიანი ნაყოფი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ვაშლი“ – ზევით და სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავალფეროვნება“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ფართოდ გაშლილი და ზევით მიმართული თითების რხევით სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ხილული** – *რისი დანახვაც შეიძლება, მხედველობისთვის, თვალისთვის მისაწვდომი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დანახვა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გამოცხადება“ / „ვიზუალობა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია ფალანგებში წრიულად მოხრილი ცერები და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხინკალი** – *პურის ცომში გახვეული და მოხარშული დაკეპილი ხორცი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ქვევით დაშვებული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ, ბოლო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხლეჩვა** – *გასკდომა, გაპობა, გახლეჩვა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, სხეულისკენ და მარცხნივ მიმართულია ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხმა** – *ყურით აღსაქმელი ტალღისებრი რხევა ჰაერისა, ბგერა*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი საჩვენებელი თითით ეხება ყელს. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ხმარება** – *გამოყენება, რამეთი სარგებლობა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, წინ და ქვევით მიმართულია მარცხენა ხელის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული, საჩვენებელი და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება და ამ თითებით ხელი ეხება მარცხენა არათითს, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხმაური** – *არეულ-დარეული, შეუწყობელი ხმები*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, შუა და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია და ზევით აღმართული, სახის დონეზე ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---

**ხმელეთი** – *მიწა, მშრალი ადგილი*



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიწა“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, მარჯვენა ხელს გაშლილი თითებით უჭირავს გაშლილი მარცხენა ნეკი, მარცხენა ხელის დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელები მარჯვნივ მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მინდორი“ – ხელისგული ქვევითაა მიმართული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---

**ხმელი** – *სისველეს მოკლებული, მშრალი, გამხმარი*



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სუნი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება განმეორებითი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება ცხვირს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გამხმარი“ / „მშრალი“ – მუშტად შეკრული თითებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან, ხელები ერთმანეთს ეხება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---

**ხმის მიცემა** – *არჩევნის გაკეთება და არჩევნებში მხარდაჭერა*



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხმა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი საჩვენებელი თითით ეხება ყელს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიცემა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება ფალანგებში მოხრილი თითების წვერებს, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ხომალდი** – *დიდი საზღვაო გემი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, გაშლილი და წინ მიმართული თითებით ზევით მიმართულია ხელისგულები, თითების წვერებით ხელები ერთმანეთს ეხება, ორივე ხელით სრულდება სხეულისკენ მიმართული, განსვლითი მოძრაობა, ბოლო ფაზაში ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი, წინ მიმართული თითებითა და ჩაკეცილი ცერებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხორბალი** – *მარცვლოვანთა ოჯახის უმთავრესი პურეული მცენარე, რისგანაც აცხობენ პურს*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პური“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი ზედ ადევს მარცხენას და ასრულებს განმეორებად მოძრაობას წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მარცვალი“ – ზევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი საჩვენებელი თითის წვერს, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხორცი** – *დაკლული ცხოველის ან ფრინველის სხეული, რომელსაც საჭმელად იყენებენ*

ერთხელიანი, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია ქვევით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ, ხელი ეხება ყელს. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ხოტბა** – *ქება-დიდება, შექება*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი ზევით აღმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ზევით აწეული ცერით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხოცვა** – *ბევრის მოკვლა, სიცოცხლის მოსპობა, შეწყვეტა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მუშტად შეკრული თითებით მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით, ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხრამი** – *კლდიანი ღრმა ხევი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის წრიული მოძრაობა მარჯვნივ, მომდევნო ფაზაში სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხროვა** – *მტაცებელ ცხოველთა გუნდი, ერთად თავმოყრილი ცხოველები*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია ზევით, მარჯვენა ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით მიმართულია მარცხნივ, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ და მომდევნო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, შემდეგ ფაზაში წინ მიმართული მარჯვენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით ასრულებს რკალური ტრაექტორიის მოძრაობას მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხუთი** – *რიცხვი 5, ორი და სამი*

ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია სხეულისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ხუთშაბათი** – *კვირის მეოთხე დღის სახელწოდება*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია სხეულისკენ, სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ხუმრობა** – *ენამახვილობა მსმენელთა გასამხიარულებლად, ოხუნჯობა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მასხარა“ – მარჯვნივ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ცერი ეხება ცხვირის წვერს, დანარჩენი თითები ირხევა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თამაში“ – ზევით მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება გაშლილი და ზევით მიმართული თითების წვერებს, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ხურდა** – *რისამე ყიდვის დროს მსხვილი ფულიდან მიღებული ნაშთი, წვრილი ფული*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფული“ – ხელისგული ზევითაა მიმართული, საჩვენებელი და შუა თითების წვერებს განმეორებითი მოძრაობით ეხება ცერი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხურდა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა საჩვენებელი თითი ზედ ადევს მარცხენას და სამჯერ ასრულებს რკალური ტრაექტორიის განმეორებით მოძრაობას სხეულისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ხუჭუჭა** – *ვისაც ხუჭუჭი თმა აქვს, ხუჭუჭთმიანი, თმახუჭუჭა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ოდნავ მოხრილია თავის დონეზე განთავსებული საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია თავის დონეზე.

---



**ხშირი** – *1. ახლო-ახლო, ზედიზედ ამოსული, მიჯრილი; 2. რაც ზედიზედ მეორდება, მრავალგზისი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება და წრეს კრავს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება კლაკნილი ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

# ჯ





**ჯაგრისი** – *ხის, ძვლის ან პლასტმასის ღერი ხშირი ჯაგრით, იხმარება კბილის საწმენდად*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია პირის წინ განთავსებული ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ცერზე შემოხვეული საჩვენებელი თითით, სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ჯაგრისი** – *ხის, ძვლის ან პლასტმასის ღერი ხშირი ჯაგრით, იხმარება რისამე საწმენდად*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ცერზე შემოხვეული საჩვენებელი თითით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ მარცხენა ხელის ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჯადო** – *ისეთი ნივთი ან წამალი, რაც ვნებს, შეკრავს, შებოჭავს მას, ვისაც გაუკეთებენ, ვის სახელზედაც გააკეთებენ; თილისმა*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით ზევითაა მიმართული, მარჯვენა ხელისგული ქვევითაა მიმართული, გაშლილია თითები და ქვევით ჩაწეული შუათითი ეხება მარცხენა ხელისგულს, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჯადოსნური** – *რასაც ჯადოს ძალა აქვს, სასწაულებრივი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გამოგონება“ / „ფანტაზია“ – ხელისგულები მიმართულია ერთმანეთისკენ, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა სახის წინ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გამოგონება“ / „ფანტაზია“ – სახის წინ განთავსებული მარჯვენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია სხეულისკენ, ზევით მიმართულია ქვევით განთავსებული მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით; ჟესტის მესამე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჯადოსნობა“ – ზევით მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება გაშლილი და ზევით აღმართული თითების წვერებს, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი, მონაცვლეობითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ჯადოქარი** – *ვისაც ჯადოთი შეკვრა შეუძლია, გრძნეული, ჯადოსანი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჯადო“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით ზევითაა მიმართული, მარჯვენა ხელისგული ქვევითაა მიმართული, გაშლილია თითები და ქვევით ჩაწეული შუა თითი ეხება მარცხენა ხელისგულს, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ჯავრი** – *დარდი, საწუხარი, საფიქრალი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მწუხარება“ – მუშტად შეკრული თითებით ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, ხელი ეხება მკერდს, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიძულვილი“ – სახის წინ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ზევით აღმართული საჩვენებელი თითი ეხება ლოყას თვალთან, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ბოლო ფაზაში წინ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ჯაზი** – *ამერიკული გასართობი და საცეკვაო მუსიკა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გიტარა“ – მარჯვენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით მიმართულია სხეულისკენ, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, მარცხნივ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბანდა“ / „ჯგუფი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წრიულად მოხრილი თითებითა და ზევით აღმართული ცერებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება მოძრაობა ერთმანეთისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჯამი** – *მიმატების შედეგად მიღებული რიცხვი, რისამე საერთო რაოდენობა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ირიბ ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება მოძრაობა ერთმანეთისკენ, ბოლო ფაზაში ცერები ეხება გაშლილი თითების წვერებს და ხელები ერთმანეთს მსუბუქად ეხება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჯამი** – *ნახევარსფეროს ფორმის ჩაღრმავებული ჭურჭელი წვნიანი კერძის დასასხმელად*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ერთმანეთზე ნეკებით მიდებული ხელისგულები გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჯანმრთელი** – *ჯანსაღი, ჯანიანი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მაგარი“ – ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ხელები მსუბუქად ეხება მკერდს, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება მოძრაობა წინ, მომდევნო ფაზაში მუშტებად შეკრულია თითები; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---



**ჯანმრთელობა** – *ჯანმრთელად ყოფნა, ჯანის სიმრთელე, სიჯანსაღე*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ხელები მსუბუქად ეხება მკერდს, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება მოძრაობა წინ, მომდევნო ფაზაში მუშტებად შეკრულია თითები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჯანღი** – *ავდრის მომასწავებელი, შავი ღრუბელი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „შავი“ – სხეულისკენ მიმართულია თავთან განთავსებული მარჯვენა ხელისგული, ფართოდ გაშლილი თითებით ხელი ეხება თავს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ღრუბელი“ – წინ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**ჯარი** – *შეიარაღებული ადამიანების ერთობლიობა, ლაშქარი, არმია*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ჯარიმა** – *1. ფულის გადახდევინება სასჯელად; 2. სპორტსმენის დასჯა თამაშის წესის დარღვევისათვის*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია არათითი, შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ჯარისკაცი** – *რიგითი სამხედრო მოსამსახურე*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჯარი“– მუშტად შეკრული თითებით ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**ჯაშუში** – *1. პირი, რომელიც რომელიმე მთავრობის დავალებით იგებს სხვა სახელმწიფოს სამხედრო საიდუმლოს; 3. მაბეზღარი ადამიანი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ამბის მიტანა“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, მარჯვენა საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“– ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**ჯაჭვი** – *ერთმანეთში გაყრილი ლითონის რგოლების მწკრივი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება საჩვენებელი თითების წვერებს წრეების ფორმით, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელები ერთმანეთს ჯაჭვურად ებმის ცერებით და საჩვენებელი თითებით, ბოლო ფაზაში ხელები ერთმანეთს სცილდება იმავე კონფიგურაციით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ჯგუფი** – *რამდენიმე ერთმანეთთან ახლოს მყოფი ვინმე (ან რამე), გუნდი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წრიულად მოხრილი თითებითა და ზევით აწეული ცერებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება მოძრაობა ერთმანეთისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჯემი** – *შაქრით მოხარშული და აზელილი ხილი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ტკბილი“– სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, საჩვენებელი და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ეხება მარჯვენა ლოყას, სრულდება მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „წასმა“ – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის ორჯერადი მოძრაობა სხეულისკენ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ჯერ** – *პირველ რიგში, სხვაზე ადრე, პირველად, უწინ*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება ნიკაპს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ჯერჯერობით** – *ჯერ კიდევ, აქამდის*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჯერ“ – ზევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება ნიკაპს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დროებით“ – წინ და მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება ლოყას.ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ჯვარი** – *ქრისტიანული კულტის სიმბოლო – გრძელი ვერტიკალური ღერო, რომელზედაც პერპენდიკულარულად არის გადაჭდობილი მეორე, უფრო მოკლე ღერო*

ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური, იკონური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩები თითები შეკრულია მუშტად, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩები თითები შეკრულია მუშტად, საჩვენებელი თითები ერთმანეთს ეხება და გამოსახულია ჯვრის ფორმა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჯიბე** – *ტანსაცმელზე მიკერებული პატარა პარკი რამის ჩასადებად*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, სრულდება მოძრაობა ქვევით, ხელი ეხება გვერდს. ჟესტი წარმოდგენილია წელის დონეზე.

---



**ჯიგარი** - *ჟარგონული სიტყვა სამეტყველო ქართულში – გემრიელი, კარგი ადამიანი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ვაჟკაცი“– სხეულისკენ მიმართულია ულვაშთან განთავსებული ხელისგული, ცერი განმეორებადი მოძრაობით ეხება გაშლილი და ზევით აღმართული შუა და საჩვენებელი თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნამდვილი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ჯილდო** – *საპატიო საჩუქარი დამსახურების, ღვაწლის აღსანიშნავად*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ქვევით მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჯიუტი** – *კერპი, თავნება, უტეხი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ზევით აღმართულია ფალანგებში მოხრილი საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ, ხელი მსუბუქად ეხება თავს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

---



**ჯიში** – *მოდგმა, ჩამომავლობა, ჯილაგი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გენი“ – იდაყვში გაშლილი და წინ გაწვდილია ზევით მიმართული მარცხენა ხელისგული ოდნავ მოხრილი თითებით, ამ ხელს მაჯასთან ზევით-ქვევით განმეორებადი მოძრაობით ეხება მარჯვენა ხელის გაშლილი საჩვენებელი თითი, მარჯვენა ხელის დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად და ხელისგული მიმართულია ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თაობა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია წელისა და მკერდის დონეზე.

---



**ჯობნა** – *უპირატესობის, გამარჯვების მოპოვება*

ორხელიანი ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, წინ მიმართულია მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით. მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჯოჯოხეთი** – *ადგილი საიქიოში, სადაც საშინელ ცეცხლში იტანჯებიან ცოდვილთა სულები*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ეშმაკი“ – სხეულისკენ მიმართულია თავთან განლაგებული ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, გაშლილი და სახისკენ მიმართულია ცერი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მომდევნო ფაზაში საჩვენებელი თითი მოხრილია; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქვევით“ – ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---





**ჰავა** – *ამა თუ იმ ადგილისათვის ჩვეულებრივი მეტეოროლოგიური პირობების ერთობლიობა, კლიმატი*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჰაერი“ / „ამინდი“ – ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით ერთმანეთისკენაა მიმართული, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ, ბოლო ფაზაში ხელები ჯვარედინად გადაიკვეთება იმავე კონფიგურაციით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სინესტე“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია წინ და ერთმანეთისკენ მიმართული თითები, ბოლო ფაზაში ცერები ეხება არათითების წვერებს, დანარჩენი თითები გაშლილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჰაერი** – *ჟანგბადის, აზოტისა და სხვა უფერული გაზების ნარევი, რომელიც ქმნის დედამიწის ატმოსფეროს*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები  გაშლილი და ზევით აღმართული თითებით ერთმანეთისკენაა მიმართული, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ, ბოლო ფაზაში ხელები ჯვარედინად გადაიკვეთება იმავე კონფიგურაციით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჰალსტუხი** – *მამაკაცის ყელზე შემოსახვევი აქსესუარი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ვერტიკალზე განთავსებული ხელისგულები, მოხრილია ცერები და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ხელები ეხება მკერდს, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი ზევით გადაადგილდება, მარცხენა – ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჰამაკი** – *ხეებზე გასაბმელი ბადისებურად მოქსოვილი საწოლი*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული, ერთმანეთზე გადაჭდობილი თითებით, ორივე ხელით ერთად სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჰარმონია** – *სხვადასხვა საგნების, სხვადასხვა ნაწილების მწყობრი შეხამება*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება საჩვენებელი თითების წვერებს, დანარჩენი თითები გაშლილია და ზევით აღმართული, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჰიგიენა** – *ჯანმრთელობისა და სისუფთავის დაცვის პრაქტიკულ ღონისძიებათა ერთობლიობა*

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა მაჯასთან განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელი მარჯვნივ მოძრაობს და ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჰომოსექსუალი** – *ვინც განიცდის ლტოლვას თავისივე სქესის არსებისადმი*

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და წინ მიმართული საჩვენებელი თითით, მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარჯვენივ, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჰოროსკოპი** – *ადამიანის დაბადების მომენტისათვის მნათობთა განლაგების ტაბულა, რომელსაც ასტროლოგები ადგენდნენ ადამიანის ბედის გასაგებად*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თვე“ – წინ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, გაშლილი და ზევით აღმართული ცერი ეხება შუბლს, შემდეგ რკალური ტრაექტორიით ქვევით გადაადგილდება და ეხება ნიკაპს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხასიათი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

---



**ჰიმნი** – *საზეიმო საგალობელი (მიღებული სახელმწიფოებრივი ერთიანობის სიმბოლოდ)*

ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით, ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჰობი** – *საყვარელი და სასიამოვნო საქმიანობა*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „გული“ – ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია სხეულისკენ, შუა თითი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დამოკიდებულება“ – ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელისგული ქვევითაა მიმართული გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ქვევით ჩაწეული შუა თითი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს, ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---



**ჰონორარი** – *ხელოვანის შრომის გასამრჯელო*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხელფასი“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა, არათითი და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული დინამიკური სიტყვა-ჟესტი „(სახელფასო) დანამატი“ – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი თითების წვერებს, წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

---



**ჰორიზონტი** – *წარმოსახვითი ხაზი, რომლის გასწვრივ თითქოს უერთდება ცის გუმბათს დედამიწის ზედაპირი, ცის დასალიერი, თვალსაწიერი*

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია ცერი და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება მოძრაობა წინ და ბოლო ფაზაში გაშლილი თითები ერთმანეთს ეხება. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

---



**ჰორიზონტალური**
– *ჰორიზონტის პარალელურად მდებარე*

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჰორიზონტალური“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქვევით“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით; ჟესტის მესამე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ზევით“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

---




**ჰოსპიტალი** – *სამხედროთა საავადმყოფო*

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჯარი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საავადმყოფო“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა საჩვენებელი თითი ჯვარს გამოსახავს მარცხენა მკლავზე. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

---